

გ რ უ ლ შ ი გ ა მ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი ა ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ა ქ ტ ი - კ ი ს ჩ ა მ ი ყ ა ლ ი ბ ე ბ ი ს ა დ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე - ლ ი ვ ა ნ ი გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ი . ა მ დ ა ს ხ ვ ა ს ა ქ მ ე თ ა მ ო ძ ე ბ ნ ა შ ე ს ა ძ ლ ე - ბ ე ლ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს უ ზ ე ნ ა ე ს ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს ვ ე ბ - გ ვ ე რ დ ზ ე : http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

პირადი განცხადების საფუძველზე ორსული ქალის
სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების
შემოხევა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ბს-463-451(კ-13)

18 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წერებულება (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად (ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და გა-
ნაცდურის ანაზღაურება)

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ნ. მ-ე

მოპასუხე: ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სარჩევის სახე: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
22-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სარჩევის საგანი:

1. ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემ-
რულებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანების ბათილად
ცნობა;

2. სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაუ-
რება.

სარჩევის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2012 წლის 16 ოქტომბერს ქარელის მუნიციპა-
ლიტეტის გამგებლის მ/მ №307 ბრძანებით მოსარჩევე დაინიშ-
ნა ქარელის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის –
ფცის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის თანამდებობაზე.

2012 წლის 14 დეკემბერს ფცის ტერიტორიული ორგანოს
რწმუნებულის მითითებით დაწერა განცხადება სამსახურიდან
გათავისუფლების თაობაზე.

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანებით 6. მ-ე გათავისუფლდა სამსახურიდან.

მოსარჩელის მტკიცებით, იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს უკანონოდ, გათავისუფლების ბრძანებაში მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მოხელეს სამსახურიდან თავისუფლდება პირადი განცხადების საფუძველზე. მოსარჩელის მტკიცებით, მართალია, განცხადება მისი დაწერილი იყო, მაგრამ არ გამოხატავდა მის ნებას, ნება, გამოვლენილ იქნა ძალდატანებისა და მოტყუძების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ორსულად იყო, პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, არასდროს მიუღია შენიშვნა ან საყვედური. მოსარჩელის მოსაზრებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იყო ის გარემოება, რომ მისი მეუღლე იყო ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი.

სამართლებრივი: მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.1 მუხლი.

მოპასუხე – ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შესაგებლით სარჩელი არ ცნოდა მიუთითა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2012 წლის 14 დეკემბერს 6. მ-ემ შეიტანა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რომელიც გამგებელმა დააკმაყოფილა 2013 წლის 8 იანვარს, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე და 95-ე მუხლების საფუძველზე 6. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საქმის გარემოებები:

6. მ-ემ 1999 წელს დამთავრა თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

2012 წლის 16 ოქტომბერს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ №307 ბრძანებით დაინიშნა ქარელის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის – ფცის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 14 დეკემბერს ფცის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა აცნობა, რომ ქარელის ახლად არჩეული გამგებლის მითითება იყო, ფცის ტერიტორიული ორგანოში მომუშავე ყველა თანამშრომელს დაეწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ხოლო შემდეგ თავიდან მოხდებოდა მათი დანიშვნა. აღნიშნულს ჰქონდა

ფორმალური ხასიათი, რის გამოც იმავე დღეს – 14 დეკემბერს დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. განცხადებები დაწერეს ასევე სხვა თანამშრომლებმაც, თუმცა მხოლოდ ის გათავისუფლებს სამსახურიდან.

მოსარჩელის მითითებით, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, ერთ-ერთი ტელევიზიის გადაცემაში განაცხადა, რომ ყველა თანამშრომელს დააწერინა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო:

საშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ნ. მ-ე, 2012 წლის 16 ოქტომბრიდან გათავისუფლების დღემდე მუშაობდა ქარელის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ფცის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენდა – 560 ლარი;

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანებით, ნ. მ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რა დროსაც იყო ორსულად.

ნ. მ-ის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი 2012 წლის 14 დეკემბრის ნერილობითი განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ;

გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერისას, მის მიმართ მუქარა, ძალდატანება, ან განცხადების დაწერაზე უარის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგზე მინიშნება არ ყოფილა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა ის გარემოება, რომ ნ. მ-ის მიერ დაწერილი განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, არ გამოხატავდა მის ნამდვილ ნებას, განცხადების დაწერა მას ურჩია ფცის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ა. ჯ-მა, რომელმაც უთხრა, რომ გათავისუფლების შემდეგ ხელახლა დაინიშნებოდა იმავე თანამდებობაზე.

სასამართლოს დასკვნები – რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

სადავოდ მიჩნეული ფაქტების შეფასება:

რაიონული სასამართლოს შეფასებით, ა. ჯ-მა, გ. კ-მ და მ. ბ-მა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩვენების მიცემისას, არ დაადასტურეს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხა-

დებების დაწერა, ასევე ნ. მ-ისათვის ვინმეს მიერ რჩევის მიცემა ან მასზე ზეგავლენა ასეთი განცხადების დაწერის მიზნით – როგორც მოსარჩელე მიუთითებს.

სადავო არ არის გარემოება, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ყველა თანამშრომელს დააწერინა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, მაგრამ მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, იგულისხმებოდა გამგებლის თანამშრომლები და არა – ტერიტორიული ორგანოს მუშაკები.

რაიონული სასამართლოს დასკვნით, საჯარო მოხელის მიერ აღნიშნული განცხადება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით და არ უნდა ჩაითვალოს უშუალოდ ქმედების აღიარებად, მით უმეტეს, ნ. მ-ე არ მიუთითებს, რომ განცხადება გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დააწერინა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან თავისი ინიციატივით გათავისუფლებისას, ორსულობა ხელისშემსლელი გარემოება არ არის და სადაც ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

სამართლებრივი შეფასება / კვალიფიკაცია/:

რაიონულმა სასამართლომ სარჩელის არ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლებად მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი, მე-19 მუხლის პირველი ნაწილი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი.

აპელანტი: ნ. მ-ე

მონინაალმდეგე მხარე: ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა

აპელაციის საგანი და მოცულობა:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაქმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა ის ფაქტი, რომ გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერისას მის მიმართ მუქარა, ძალდატანება ან განცხადების დაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგზე მინიშნება არ ყოფილა. სასამართლომ დადგენილად არ ცნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოხელე მოატყუეს, კერძოდ, თითქოს გათავისუფლების

შესახებ განცხადების დაწერა სავალდებულო იყო, ჰქონდა მხოლოდ ფორმალური ხასიათი და შემდგომ ახლიდან მოხდებოდა მათი დანიშვნა. აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტი გამიზნული იყო იმისათვის, რომ შემდგომ განცხადების საფუძველზე მომხდარიყო მისი განთავისუფლება. აპელანტი აღნიშნავს, რომ არა მოტყუება, იგი არ დაწერდა განცხადებას.

სამართლებრივი: ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. ასევე არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და გადაწყვეტილება მიიღო იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელსაც არ ჰქონდა მტკიცებულების ძალა. კერძოდ: სასამართლომ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას. თუმცა სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოები და საქმეში არსებული მტკიცებულებები, რითაც დადგინდებოდა, გამოხატვდა თუ არა მისი განცხადება ნამდვილ ნებას. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ: სატელევიზიო ჩანაწერები, სადაც ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აღნიშნავდა, რომ მან გამგებლის ყველა თანამშრომელს დააწერინა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ასევე არ გაითვალისწინა მოწმეთა არასწორი ჩვენება, სადაც უარყვეს ის ფაქტი, რასაც თავად ი. ო-ე საჯაროდ აცხადებდა და მხოლოდ მოწმეთა არასწორი ჩვენების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება. აღნიშნული მოწმეები სასამართლოს ინიციატივით იყვნენ დაბარებული, რათა დადასტურებულიყო, ნამდვილად მოხდა თუ არა განცხადებების დაწერა განთავისუფლების თაობაზე, თუმცა აღნიშნული ფაქტი ყველა მათგანმა უარყო და სასამართლოს არასწორი ჩვენებები მისცეს.

აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოწმეების მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება აშკარად ყალბი იყო, სასამართლომ მტკიცებულების ძალა მიანიჭა მხოლოდ მათ ჩვენებას, არ გაითვალისწინა არც მისი ახსნა-განმარტება და არც ის ჩანაწერი, სადაც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აღნიშნავდა, რომ გამგებლის ყველა თანამშრომელს დააწერინა განცხადება განთავისუფლების თაობაზე.

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები არ იყვნენ საჯარო მოხელეები და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულიც და მთავარი სპეციალისტებიც წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გამგეობა (მერია) შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოებისაგან“. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლების და გამგეობის თანამშრომლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა არასწორია და ეს არ უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი გარემოება მისი მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმისა. აღნიშნული საკითხის შეფასებისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რაც არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ.

აპელანტის მითითებით, სასამართლოს მსჯელობა, რომ სადაცო აქტი გამოცემულია „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, არასწორია, ვინაიდან მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის დროს დაირღვა, როგორც „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის დროს არ იქნა ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება, არ იქნა დადგენილი ის ფაქტი, გამოხატავდა თუ არა განცხადება მის ნამდვილ ნებას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეიძლებოდა თუ არა ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლება და ა. შ.

„ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ: უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება, ქალის მიერ ფეხმძიმბის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შევებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამონურვისას“.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება“.

აპელანტის მოსაზრებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, რაც არ გაიზიარა რაიონულმა სასამართლომ და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 თავი ანესებს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს. თუმცა, კანონმდებლობა იცავს ორსული მოხელის შრომით უფლებებს და ქმნის მთელ რიგ გარანტიებს მისი შრომითი უფლებების დაცვის კუთხით. კერძოდ, აღნიშნული კანონის 111-ე მუხლი მიუთითებს, რომ ქალი, რომელიც ორსულადაა არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუნარობისა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. მიუხედავად ყველაფრისა, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მოხდა მისი, 7 თვის ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლება, უკანონიდ და მოტყუების საფუძველზე. აპელანტი აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის საფუძველზე უფლება ჰქონდა ესარგებლა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, რომლის გამოყენებასაც აპირებდა, რატომ დაწერდა განცხადებას გათავისუფლების თაობაზე, როდესაც შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით. ის ფაქტი, რომ ამჟამად დავა მიმდინარეობს სასამართლოში მისი უფლების დასაცავად, ადასტურებს, რომ მისი განცხადება არ გამოხატავდა მის ნამდგილ წებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინებით ნ. მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ნ. მ-ეს, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა ურჩია ფცის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ა. ჯ-მა, გარდა ნ. მ-ისა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება

დაწერა ფცის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ა. ჯ-მა და მისმა ყველა თანამშრომელმა: გ. კ-ამ და მ. ბ-მა. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მონმეების – ა. ჯ-ის, გ. კ-ასა და მ. ბ-ის ჩევნებები არ არის თანმიმდევრული და სარწმუნო, თუმცა აღნიშნა, რომ სხვა სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა 6. მ-ის ნების გამოვლენაზე რაიმე ზემოქმედების ფაქტი, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

რაც შეეხება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ი. ო-ის მიერ ტელეკომპანია „...“ ეთერში გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმად ყველა თანამშრომელს დაანერინა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არ წარმოადგენს 6. მ-ის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერისას, მოტყუების, მუქარის ან სხვა სახის რაიმე უმუალო ზემოქმედების დამადასტურებელ გარემოებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯაარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის თანახმად, პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 08 იანვრის №25 ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა 2012 წლის 14 დეკემბრის 6. მ-ის განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 6. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას და ჰქონდა თუ არა ადგილი მოტყუების ან სხვა რაიმე ზემოქმედების ფაქტს. რაც შეეხება საქმეში არსებულ მტკიცებულებას: სატელევიზიო ჩანაწერს, რომლითაც დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ი. ოემ გამგეობის ყველა თანამშრომელს მოსთხოვა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა, არ წარმოადგენს იმგვარ მტკიცებულებას, რომლითაც დადასტურდება 6. მ-ის ნების გამოვლენაზე უმუალო ზემოქმედების ფაქტი. ად-

მინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირის მხრიდან უკანონო მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო მოხელეს არ ეკისრება ამგვარი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ამჟამად დავა მიმდინარეობს სასამართლოში მისი უფლების დასაცავად, ვერ დგინდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. მ-ის განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებში არ იგულისხმება ტერიტორიული ორგანოს მუშაკები. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მეორე და მე-8 პუნქტების თანახმად, გამგეობა (მერია) შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოებისაგან. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ გახდება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მოქმედი კანონმდებლობა იცავს ორსული მოხელის შრომით უფლებებს და ქმნის მთელ რიგ გარანტიებს მისი შრომით უფლებების დაცვის კუთხით. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლი მითითებს, რომ ქალი, რომელიც ორსულადაა არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. თუმცა აქვე განმარტა, რომ ნ. მ-ის გათავისუფლება საქართველოს არ მომხდარა შტატების შემცირების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ატესტაციის შედეგების საფუძვლით, იგი გათავისუფლდა სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

კასატორი: ნ. მ-ე

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე): ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა

კასაციის საგანი და მოცულობა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმება

და სარჩელის დაკმაყოფლება.

კასატორი საკასაციო საჩივარს ამყარებდა ძირითადად იმავე საფუძვლებზე, რაზეც მიუთითებდა საპელაციო საჩივარში.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამდღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადგინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს წანილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით, ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს წანილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტილდება ბათილად იქნეს ცნობილი ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანება და ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო სარჩელი დანარჩენ წანილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები არასრულყოფილად გამოიკვლია და არასწორი სამართლებრივი შეფასებები მისცა მათ, შესაბამისად, საქმეზე დაადგინა დაუსაბუთებელი და უკანონო განჩინება.

განსახილველი საკასაციო საჩივრის მოტივი, საჯარო შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოხელის მიერ ნების გამოვლენის ნამდვილობის სამართლებრივი შეფასება, შედეგის (სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) კანონიერების დადგენა, შესაძლებელია, მხოლოდ სადაც სამართლურთიერთობის სუბიექტების სტატუსის, უფლება-მოვალე-

ობების და ამგვარ სამართალურთიერთობებში კანონით განსაზღვრული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამდვრები, არის საგულისხმი და განსაკუთრებული, შესაბამისად, მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი.

წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით, კერძოდ, საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს:

1. სადავო სამართალურთიერთობაში საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთობის ფორმების და მისი სამართლებრივი შედეგების როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმებით განსაზღვრულ წესთან შესაბამისობას, ასევე, საერთაშორისო და საერთველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სტანდარტების გამოყენების ხარისხს.

2. უნდა განიმარტოს საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი და შეფასება მიეცეს საქართველოს საჯარო სამსახურის დაწესებულებებში მთელ რიგ ტენდენციებს და დამკვიდრებულ პრაქტიკას;

3. ევროპის ქვეყნებში შრომის უფლება და კონკრეტულად ქალთა შრომის უფლება, დაცვის განსაკუთრებულ კატეგორიას განვითარება, საკასაციო სასამართლო უნდა იმსჯელოს, რამდენად არის დაცული ქალთა შრომითი უფლებები საჯარო დაწესებულებებში და რამდენად პასუხობს საქართველოს სახელმწიფოს საჯარო მმართველობა და სასამართლო სისტემა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებულ ვალდებულებებს, როგორც ნორმატიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით.

4. განიმარტოს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოსამსახურის გათავისუფლების გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის სამართლებრივი წესი და განისაზღვროს მისი მიღების სტანდარტი.

5. სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს საჯარო მოხელის ნების გამოვლენის ნამდვილობას.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საჯარო შრომითსამართლებრივ სფეროში, საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ წინამდებარე გადაწ

ყვეტილებით უნდა განიმარტოს არა მხოლოდ რიგი სამართლებრივი საკითხებისა, არამედ გაანალიზდეს საქართველოს სახელმწიფოს საჯარო სამსახურის ფუნქციონირებაში წამოჭრილი უმწვავესი პრობლემები, რომლებიც განპირობებულია საჯარო სამსახურის არსისა და ამოცანების გააზრების არაადეკვატური მსოფლიხედგელობით, სამართლის უზენაესობის სტანდარტის სრული უგულებელყოფით, საჯარო სამსახურის პირადი და პარტიული ინტერესების მომსახურების ასპარეზად მიჩნევით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული უპატივცემულობით, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების დეფიციტით, თავად საჯარო მოხელეთა მხრიდან პერსონალური პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობით, დაბალი პროფესიული კვალიფიკაციით, რაც საბოლოო ჯამში, აფერხებს ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ქართველი ერის სამსახურში ჩაყენებას, მისი ჯანსაღი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მისწრაფებების რეალიზების ჯეროვან მომსახურებას, შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ მისი განვითარების პერსპექტივები შექმნას, არსებობს საფრთხე, რომ საზოგადოების წინსვლის დამაბრკოლებელ ფაქტორად მოგვევლინოს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრებულ ხასიათს იძენს თვითმმართველობის სისტემის ორგანოებში, რომელთა სიმრავლე, ათეულობით მუნიციპალური სამსახურის ფუნქციონირება თავისთავად გულისხმობს არაერთგვაროვან მიდგომებს, ნორმატიული სტანდარტების სხვადასხვა გაგება-გამოყენებას, რაც საჯარო მმართველობის კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დარღვევით განხორციელებას იწვევს.

საკასაციო სასამართლო თანამედროვე ევროპული სტანდარტებისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ სწორად ორგანიზებული და ფუნქციონირებადი საჯარო სამსახური არის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტური მმართველობის განხორციელების წინაპირობა. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესების, მიკერძოებულობის, არაეთიკური ქცევისა და დისკრეციის არ დაშვების გარეშე. საზოგადოების თანამონაწილეობის ხარისხი და მასშტაბი მმართველობის განხორციელებაში დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოსადმი, მისი ინსტიტუტებისადმი ნდობის, რჩმენის ხარისხზე. მოსახლეობის ნდობის კოეფიციენტს კი რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, გამ-

ჭვირვალობა, კანონიერება, პროფესიონალიზმის დაფასება, ხელშეწყობა, წახალისება, ობიექტურობა და ა. შ.

წინამდებარე საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლითაც საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა თანამედროვე საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში ბიუროკრატიის როლს, მის მნიშვნელობას საქართველოს სახელმწიფოს და მმართველობის ავტორიტეტის შექმნაში, კერძოდ: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე საქართველოს საჯარო მოსამსახურებს ეკუთვნით გადამწყვეტი სიტყვა, თუ რომელი ტიპის სახელმწიფოს შექმნის ქართველი ერი XXI საუკუნეში. სწორედ პროგრესულ საჯარო მოსამსახურეთა კასტა უზრუნველყოფს მთელი ერის ინტერესების მსახურების სტანდარტის და სამართლებრივი ტრადიციის დამკვიდრებას, სწორედ მათი პრინციპულობა და შეუვალობა განსაზღვრავს საზოგადოების სწორი განვითარების დინამიკას, კანონიერი ადმინისტრირების შექმნის და დაფუძნების, ადამიანის უფლებების დაცვის უმნვავესი პრობლემების გადაწყვეტას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.^{*}

ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სამოხელეო სამართალი, პრინციპებთან, როგორიცაა – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის, საქვეყნობის, საიდუმლოების და ა. შ. სრულ შესაბამისობაშია 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული - საქართველოში საჯარო სამსახურის პრინციპები, კერძოდ:

* საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება;

* საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მო-

ვალეობების განხორციელებისას;

* ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;

* საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად;

* მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

* საქვეყნოობა;

* საჯარო სამსახურის უპარტიობა და საერო ხასიათი;

* მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;

* მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

აღნიშნული პრინციპების დადგენით კანონმდებელი ხაზს უსვამს საჯარო სამსახურის მიზნის და დანიშნულების მნიშვნელობას, მის გავლენას საზოგადოების ინტერესებზე, ხოლო საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი და მორალური ვალდებულებები ამავე პრინციპების კონტექსტში კონცენტრირებულია საჯარო მოსამსახურის ფიცის ტექსტში /მუხლი 28./

საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერ აღსრულებას ემსახურება ქცევის ზოგადი წესების ანუ სპეციალური ეთიკის განსაზღვრა კანონის ახალი – VII თავის ნორმების დადგენით /2010 წლის 1 იანვარი/.

მითითებული ნორმების შინაარსი აყალიბებს თანამედროვე საქართველოს საჯარო მოსამსახურის პროფესიულ სახეს, მთლიანად საჯარო სამსახურის იმიჯს“.

1. საკასაციო სასამართლო საჯარო შრომით-სამართლებრივ დაეგბზე მოცულობითი პრაქტიკის შესწავლა-გაანალიზების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული დავის კანონიერად გადაწყვეტისა და განმაზოგადებელი სასამართლო დასკვნის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სამართლებრივად შეფასდეს საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთობათა ფორმის ფეხმოკიდებული არაჯანსაღი ტენდენციები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის თაობაზე საჯარო მოხელეთაგან რაიმე განსხვავებულ დანაწესს. საქართველოს სახელმწიფოებრიბის რამდენიმე საუკუნოვანი წყვეტის გამო, არც ტრადიცია ჩამოყალიბებულა და ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ დაწესებულების მარ-

თვის ზოგადი ეროვნული სტანდარტი, ამ დრომდე შეუმუშავებელია, შესაბამისად, მართვის სტილი დამოკიდებულია პერსონების შეხედულებებს, განწყობებსა და უნარ-ჩვევებზე. ამგვარი ვითარება ბუნებრივია, სუბიექტურობითა და არაერთგვაროვნებით ხასიათდება, რაც ლოგიკურად აისახება მთლიანად დაწესებულების ამოცანების შესრულების ხარისხზე.

საკასაციო სასამართლო საჯარო სამსახურის როლის და მისი საქმიანობის შედეგების საზოგადოების განვითარებაზე გავლენის მასშტაბიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, საუკეთესო გაგებით არის (უნდა იყოს) არა მხოლოდ ამ დაწესებულების ფუნქციური პროფილის კარგი მცოდნე, სპეციალისტი, კვალიფიციური პროფესიონალი, არამედ, განსაკუთრებული ორგანიზაციორული უნარ-ჩვევების მქონე პირი. ორგანიზაციორული უნარ-ჩვევები თავისითავში მოიცავს იმგვარ თვისებათა ერთობლიობას, როგორიცაა: ავტორიტეტულობა, გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების უნარი, კოლეგიალიზმი, სამართლიანობა, კანონმორჩილება, ობიექტურობა, პრობლემების მიმართ შემოქმედებითი მიღვომა, პროგრესულობა და ა.შ.

დაწესებულების ადმინისტრაციისათვის შეუძლებელი იქნება დასახული ამოცანებს შესრულება, თუ თავად საჯარო მოხელეთა კორპუსი გარანტირებული არ იქნება თავისი უფლებების პატივისცემით. სწორედ ხელმძღვანელის ვალდებულებაა დაწესებულებაში იმგვარი სამუშაო ატმოსფეროს შექმნა, სადაც ურთიერთპატივისცემა, სოლიდარობა, თანადგომა, დაფასება, განსხვავებული შეხედულებისა და აზრების მოსმენისა და გათვალისწინების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

საკასაციო სასამართლო დაბეჭითებით თვლის, რომ სწორედ ამგვარ სტანდარტს უნდა დაეფუძნოს საჯარო დაწესებულებაში საჯარო მოხელეთა საქმიანობა, რაც ჯაჭვური რეაქციით აისახება საჯარო მოსამსახურეთა მიმართ მათი დამქირავებლის – ხალხის ნდობისა და განწყობის ფორმირებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო სამსახურის დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთობა, რასაკვირველია, სუბორდინაციულ ხასიათს ატარებს, თუმცა, აღნიშული არავითარ შემთხვევებში, არ უნდა იქნეს გაგებული ერთგვარი „პატრონულური“ ურთიერთობის შემცველად (რის პრეცენდენტებიც არც თუ იშვიათია), საჯარო მოხელის როლის უბრალო, „მორჩილი შემსრულებლის“ სტატუსამდე დაყვანად, რაც საჯარო მოხელეს შემოქმედებითი პროცესიული საქმიანობიდან მექანიკურ დასაქმებულ პირამდე აქ-

ცევს, ეს კი მის დემორალიზაციას იწვევს და აღარ გააჩნია თვითგანვითარებისა და ერის მსახურებისათვის საკმარისი მოტივაცია.

ხელმძღვანელისა და საჯარო მოსამსახურის ურთიერთობის მოდელი დიდწილად არის დამოკიდებული ობიექტურობასა და მიუკერძობლობაზე პირის სამსახურში მიღებიდან – გათვისუფლების სტადიის ჩათვლით. საჯარო სამსახურის ფუნქციონირების პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დაძლებული ნებოტიზმი, თანამდებობათა ვიწრო პარტიული და კორუფციული მიზნებისათვის გამოყენება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ხელმძღვანელი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას წარმოადგენს კანონშესაბამისი, ჰუმანურობისა და სამართლიანობის, მაღალკუალიფიციური და მაღალზნეობრივი, საზოგადოებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ღირებულებებით გაუღენთილი სამუშაო გარემოს შექმნა.

განსახილეველ დაგაში, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა სამსახურიდან ისე გაათავისუფლა 7 თვის ორსული ქალი – საჯარო მოსამსახურე, რომ არც დაინტერესებულა რამ განაპირობა ქვეყანაში, მით უფრო, რეგიონებში გამეფებული საყოველთაო უმუშევრობის ფონზე, მის მიერ განცხადების დაწერა გათავისუფლების თაობაზე. რატომ არ იყენებდა კანონით მინიჭებულ უფლებას დეკრეტული შევებულების აღების თაობაზე, განცხადება დაწერა თუ არა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად და ა.შ. არ ჩაუტარებია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური აქტის გამოსაცემად, რა დროსაც იგი ვალდებული იყო მიუკერძობებლად გამოევლია ყველა ფაქტობრივი გარემოება კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ამგვარი ქცევისა და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების მიზეზების, საფუძვლის შესწავლას მივყავართ შეფასებამდე, რომელიც თანაბარნილად მოიცავს, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების საჯარო დაწესებულების მართვის სტანდარტებში გათვითცნობიერებულობის, ასევე, ხელმძღვანელისათვის აუცილებელი ისეთი ადამიანური თვისებების, როგორიცაა – გულისხმიერება, ყურადღება, თანაგრძობა, სრულიად დაუშვებელ დეფიციტს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს იმგვარი საჯარო ინტერესი,

საჯარო მიზანი, რომლის მისაღწევად გამართლებული იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა, იგნორირება. საჯარო მმართველობა საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხორციელდება. ხოლო საზოგადოების ინტერესების განხორციელება საზოგადოების წევრების (თუნდაც ერთი წევრის) უფლებების შელახვის ხარჯზე სრული ნონსენსი და თანამედროვე ეპოქისათვის შეუფერებელი, დრომოქმული შეხედულება და მიდგომაა.

სხვადასხვა მმართველობითი სისტემების ანალიზი ადასტურებს, რომ ამგვარი მიდგომა დამახსასიათებელი იყო საბჭოთა, ფაშისტური, ზოგადად, ავტორიტარული და ტოტალიტარული ტიპის მმართველობისათვის, რომლის შეფასება პროგრესული კაცობრიობის მიერ დიდი ხნის ნინ, ხოლო მათი დამანგრეველი შედეგების დაძლევა კი არნახული ძალისხმევით მოხდა. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების გამოცდილება ცხადყოფს მმართველობის დემოკრატიული სტილის მდგრადობის მიღწევის სირთულეს, პრობლემათა მთელ სკექტჩს, მათ ძორის, მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელის პოლიტიკური ნებისა და საჯარო მოსამსახურეთა (იგულისხმება პროფესიული ნიშნით საჯარო მოხელე) შორის ურთიერთგაგების დეფიციტის (დასახული მიზნების განსხვავებიდან გამომდინარე) პირობებში (რასაც ადასტურებს მაგ. პოლონეთის სახელმწიფოს გამოცდილება), მოსალოდნელია საჯარო დაწესებულებებში მმართველობითი კრიზისის ელემენტების გაჩენა, რაც თავის მხრივ, იწვევს საჯარო სამსახურის ეფექტურობის შემცირებას (დაქვეითებას) გადაწყვეტილებათა მიღებისა და მათი აღსრულების კუთხით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ საჯარო სამსახურში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა შეუძლებელია საჯარო მოხელეთა უფლებების დაცვის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სტანდარტის შემუშავებისა და განხორციელების გარეშე, ვინაიდან, კვალიფიციური პირების საჯარო სამსახურში მოზიდვა, შენარჩუნება, მუშაობის სამართლიანი შეფასებისა და კარგი შედეგების სათანადო დაფასების კულტურის დამკვიდრება უზრუნველყოფის საერთო სტანდარტის შესრულების ხარისხს. ეს ფუნქცია და პასუხისმგებლობა სწორედ დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობითი ვალდებულებაა, ასეთის გაუცნობირებლობა კი ხელმძღვანელის სათანადო უნარ-ჩვევების უქონლობის დასტურია, რადგან საჯარო სამსახურის დაწესებულების მართვა სხვა კონსტიტებთან ერთად გულისხმობს ობიექტური შეფასების სისტემის საფუძველზე მოხელის კვალიფიკაციის დადგენის, და-

წინაურების, ასევე სხვადასხვა სახის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიების ერთობლიობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს საჯარო სამსახურის სწორი ორგანიზება, მისი ქართველი ხალხის სამსახურში ჩაყენება, ზუსტი ინსტიტუციონალური და ფუნქციური სისტემის შექმნა განმსაზღვრელი იქნება ქვეყნის მმართველობითი სისტემის ტიპის და ქართული ბიუროკრატიის მოდელის კლასიფიკაციისათვის.

საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოება მიისწნეა ფვის რა საერთაშორისო თანამეგობრობაში კუთვნილი, ღირსეული ადგილის დასამკაიდრებლად, უდიდეს ძალისხმევას დებს ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ინსტიტუტების მშენებლობისათვის, ახალგაზრდა თაობებისათვის თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების ასათვისებლად, რაც სავსებით უსასარგებლო აღმოჩნდება, თუ ქვეყნის მმართველობის სტილი, წესი და მეთოდები ჰარმონიაში არ იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან, ვინაიდან, სწორედ მმართველობითი სისტემა განაპირობებს ადამიანის უფლებების დაცვის და შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხს. ხოლო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ხარისხი განსაზღვრავს სახელმწიფოს იმიჯს, სტატუსს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სწორედ თანამედროვე ქართული ბიუროკრატია, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, განხორციელებული მოქმედებანი აყალიბებს საქართველოს სახელმწიფოს იმიჯს და ამ პასუხისმგებლობის გასიგრძეგანება თითოეული საჯარო მოსამსახურის (წებისმიერი რანგის) საჯარო და პერსონალურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის სწორი მსოფლმხედველობის ფორმირების, საჯარო სამსახურის მიზნებისა და როლის ჯეროვანი გაცნობიერების გარეშე შეუძლებელი გახდება ქვეყანაში კანონიერი ადმინისტრირების ორგანიზება, რომლის რეალიზების ხარისხი განაპირობებს საქართველოსა და მისი მოსახლეობის პროგრესულ განვითარებას ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს საჯარო სამსახურებში დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოსამსახურეს შორის ურთიერთობა-თა ფორმები მკაცრად რეგლამენტირებულ საკანონმდებლო ჩარჩოში უნდა მოექცეს, კეთილსინდისიერი ადმინისტრირების სტანდარტიდან გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს მას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ საჯარო მოსამსახურის მიმართ მიღებუ-

ლი გადაწყვეტილებები, არა მხოლოდ ადმინისტრაციული სა-მართლის კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გამოიცეს, არა-მედ ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტს და უნდა ითვა-ლისწინებდეს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სამართლებრივ ინსტიტუტებს და სტანდარ-ტებს.

საჯარო მოსამსახურის მიერ განცხადების დაწერა სამსახუ-რიდან გათავისუფლების თაობაზე არის მისი ნების გამოვლენა, თუმცა, ნება გამოვლენილი უნდა იყოს თავისუფლად, შეუზღუ-დავად, არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან დაცული. ამ-დენად, ნების თავისუფალი გამოვლენის საკითხი გამოკვლევას და შეფასებას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო ურ-თიერთობებში ნების გამოვლენის განმარტების სამართლებრივ ნანამდლვრებს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომ-ლის მიხედვით ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტომდენ გამოთქმის სიტყვასიტყვით აზრიდან. აღსანიშნავია, რომ სა-მოქალაქო კოდექსი ბათილად მიიჩნევს გარიგებას, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ენინაალ-მდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს (მუხლი 54), ასე-ვე ბათილად შეიძლება ჩაითვალოს გარიგება თუ ხელშეკრულე-ბის ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საპაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძი-მე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა ურთიერთობა და-ფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის არაერთ გა-დაწყვეტილებაში განიმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის დათქმა მიუთითებს იმაზე, რომ ნების შინაარსი უნდა დადგინდეს კონკრეტული გარიგების ყველა ნიშან-თვისებების გათვალისწინებით, რა დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ეკონომიკურ თუ იურიდიულ ინტერესს, რომლის მიღწევას მხა-რები ამ გარიგებით ისახავდნენ (www.supremecourt.ge).

სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი კრძალავს უფლების ბო-როტად გამოყენებას, კერძოდ, სამოქალაქო უფლება უნდა გან-ხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამო-ყენება მარტომდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

განსახილველ შემთხვევაში, არც საჯარო სამსახურის ადმი-ნისტრაციას და არც სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ და არ შეუფასებიათ 6. მ-ის განცხადება შეესაბამებოდა თუ არა ნების გამოვლენის თავისუფლების და კეთილსინდისიერი მარ-

თლწესრიგის სტანდარტს.

2. საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი საქართველოში დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციური ნორმებით, ხოლო კონკრეტიზირებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დანაწესებით. საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების თაობაზე გადაწყვეტილებათა მომზადების, მიღებისა და გამოქვეყნების წესები, პროცედურები კი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებით. საჯარო შრომით-სამართლებრივი დავების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოში ათწლეულების მანძილზე თავს იჩენს ურთიერთობების კანონის მიღმა „მოწესრიგების“ რიგი შემთხვევები, რომლებიც ტენდენციის სახეს იღებს და ფაქტობრივად, დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ასე მაგ: ევროპული ქვეყნებსაგან განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობით, ჯერ კიდევ არ არის გამიჯნული საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების კატეგორიები პროფესიული საჯარო მოხელის და ვადიანი ადმინისტრაციულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნიშნით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროფესიული საჯარო მოხელე ეპროცესული გამოცდილების მიხედვით არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება ან აირჩევა საჯარო მმართველობის განმახორციელებელ დანესებულებაში შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელის თანამდებობაზე. აღნიშნული კატეგორიის მოხელე თავის პროფესიულ კარიერას იწყებს საჯარო სამსახურში ქვედა პოზიციიდან და მიინებს ზევით თავისი პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და შეფასების სისტემის შედეგების გათვალისწინებით. პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი დაფუძნებულია კარიერის პრინციპზე და აღნიშნული სტატუსის მქონე მოხელეები დაცული არიან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების პოლიტიკური გადაწყვეტილებებისგან. პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი არის საჯარო სამსახურის სტაბილურობის გარანტი, ხოლო მეორე კატეგორია აერთიანებს პირებს, რომელიც საჯარო მმართველობის განმახორციელებელ საშტატო თანამდებობაზე ინიშნება პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით, რადგან მას უკავია ისეთი თანამდებობა, რომლის ფუნქციათა განხორციელებაც პოლიტიკური თანამდებობის პირის შეხედულებებსა და მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს. აღნიშნულ შემთხვევები არსებითია არა პირის კარიერული წინსვლის შედეგად მიღებული გამოცდილება, არამედ ის კვალიფიკაცია და უნა-

რები, რომელიც აუცილებელია პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებაში მხარდასაჭერად. აღნიშნულ პირებთან შრომითი ურთიერთობა წესრიგდება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმით, რამდენადაც სუბიექტზე ხდება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების დელეგირება და ის ექცევა საჯარო სამსახურის პრინციპების მოქმედების სფეროში (მაგ: ერთგულების პრინციპი, სამსახურებრივი შეუთავსებლობა) და მათზე ვრცელდება სამართლებრივი დაცვის გარანტიები – ადმინისტრაციული მართლმსაჯულება.

აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის გამო აბსოლუტური უმრავლესობით საჯარო სამსახურში ხელმძღვანელის შეცვლა საქართველოში იწვევს საჯარო მოხელეთა მთელი კორპუსის შეცვლას, რასაც თან სდევს დანესხებულების პარალიზება, არა-ეფექტური მუშაობა და ადამიანის უფლებების შეღახვა.

საკასაციო სასამართლოს მააჩინია, რომ საჯარო სამსახურის თვისობრივ რეფორმამდე სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებების საფუძველზე უნდა მოხდეს საჯარო მოსამსახურეთა დიფერენცირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო სამსახურის ჯეროვანი ფუნქციონირება, კერძოდ, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილება ხელს არ უნდა უშლიდეს ორგანიზაციის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირების განგრძობადობას, ახალი პოლიტიკური დღის წესრიგით გამოწვეული მკვეთრი ცვლილებები ორგანიზაციული მართვის პროცესში ეფექტურად უნდა აისახოს ძვირფასი დროისა და რესურსების დამატებითი ხარჯვის გარეშე, საჯარო მოხელეთა ამგვარი აკუმულირებული ცოდნისა და გამოცდილების, ასევე დაწესებულების ინსტიტუციური მეხსიერების პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია მოხელეთა უვადოდ დანიშვნის, მისი დაცვის სამართლებრივი გარანტიების რეალურად პრაქტიკაში დამკვიდრების გარეშე, რაც უზრუნველყოფს სწორედ საჯარო მმართველობის განხორციელების უწყვეტობას და შოხელის გამოცდილების, როგორც ძვირადღირებული რესურსით სარგებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემას ორი ათეული წლის გამოცდილება უკვე გააჩინია, ჯერ კიდევ მიუღწევებია საჯარო მოხელეების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, ასევე, არ არსებობს პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებისაგან მათი შრომის უფლების დაცვის გარანტია.

ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ განხილულ იქნა

ასობით შრომით-სამართლებრივი დავა, სადაც საჯარო მოხელის გათავისუფლების საფუძველს დაწესებულების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია წარმოადგენდა. აღნიშნულ დავებზე სასამართლოებმა დაადგინეს, რომ რეალურად სახეზე არ იყო ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციისათვის კანონისმიერი სავალ-დებულო სამართლებრივი შემადგენლობა, მაგ: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 18 ივლისის განჩინება ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-290-276(კ-06) 6. ხ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის - ქ. თბილისის მერიის მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-641-610(კ-07) ი. ჭ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის - აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – საარქივო სამმართველოს მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-641-610(კ-07) მ. შ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის - ქ. ბათუმის მერიის მიმართ, მესამე პირების: რ. შ-ის, გ. ჩ-ის, ხ. მ-ისა და გ. მ-ის მონაწილეობით, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განკარგულების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

ე.წ. ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის მანკიერი, უკანონობრაქტიკა, როგორც საშუალება – საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გასათავისუფლებლად კიდევ უფრო ააშკარავებს საჯარო სამსახურის უმწვავეს პრობლემას. ახალი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი „ვერ მუშაობს“ ორგანიზაციის არსებულ სტრუქტურაში და თავის საქმიანობას ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებით იწყებს. სინამდვილეში, უმრავლეს შემთხვევაში, ეს ფსევდო ცვლილებებია და ამა თუ იმ სტრუქტურული დანაყოფის დასახელების შეცვლას ნიშნავს, რომლის მიზანს არასასურველ საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლება და სასურველ პირთა დანიშვნა წარმოადგენს. ეს პროცესი, ბუნებრივია, ღრმა მიკერძოებულობითა და ნეპოტიზმით ხასიათდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საჯარო მოსამსახურეთა პირადი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების თა-

ობაზე განცხადებათა დაწერის მასშტაბური ტენდენცია. საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციის ცვლილებას საქართველოს პირობებში, თან სდევს დაწესებულების საჯარო მოსამსახურის მხრიდან მასიურად გამოვლენილი ნება განთავისუფლების შესახებ, ასევე, უიშვიათესია შემთხვევა, როცა დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თუნდაც რამდენიმე საჯარო მოხელემ უარი თქვა ნებაყოფლობით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართვაზე. სასამართლოებში დავების განხილვისას საჯარო მოხელეები აცხადებდნენ, რომ განცხადებები მოტყუებით, იძულებით, მუქარით, სამსახურში ხელახლა დანიშვნის დაპირებით დაწერეს.

საკასაციო სასამართლო ამგვარი პრეცენდენტების მიზეზების კვლევისას ასკვნის, რომ პრობლემა სამართალუროთობის ორივე მონაწილის, ერთი მხრივ, ხელმძღვანელის და მეორე მხრივ, საჯარო მოსამსახურის საკუთარი სტატუსის სრული გაუცნობიერებლობისა და უბატივცემულობის, კანონისმიერი ჩარჩოს დაუმორჩილებლობისა და უგულებელყოფის, პროცესიული თავმოყვარეობისა და ადამიანური ღირსების დეფიციტის შედეგია.

საჯარო მმართველობის არადემოკრატიული სტილის შედები, ვიდრე მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებზე, ფენებზე, ცალკეულ წევრებზე იქონიებს გავლენას, უპირველესად ზემოქმედებს დაწესებულებათა შიდა სივრცეში დასაქმებულ პირებზე. აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, დაწესებულების ხელმძღვანელი არ თავილობს ძალადობის სხვადასხვა ფორმებით - ფსიქოლოგიური, მატერიალური, დისციპლინური, გენდერული და სხვა მანიპულირებას, მეორე მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსი შეეგუა ადმინისტრაციის თვითნებობას და მეტიც, კონფორმიზმის მეშვეობით მაქსიმალურად ადაპტირდა გარემოში, რაც უმეტესწილად გამოიხატება ხელმძღვანელის ნებისმიერი, მათ შორის, სრულიად კანონსაწინააღმდეგო განკარგულებათა უკრიტიკო მიღებასა და შესრულებაში. აღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის საკმარისია რამდენიმე წლის განმავლობაში სასჯელალსრულების სისტემასა და საპოლიციო სტრუქტურებში სისტემურ კრიზისად აღიარებული საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემაში ამგვარი ტენდენციების შეფასება საჯარო სამსახურებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების ჯეროვანი გაცნობიერების, შესწავლის და

დამკვიდრების გარეშე უშედეგო, ხოლო აღმოფხვრა შეუძლებელი იქნება.

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონშია რეგულარენტირებული, დიდწილად გამომდინარეობს საქართველოს მიერ ნაკისრო საერთაშორისო ვალდებულებათა სპექტრიდან, საქართველოს კონსტიტუციიდან, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლით სახელმწიფო დაადგინა შრომითი უფლებების დაცვის, შრომის სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობების, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობების კანონით განსაზღვრის ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით გარანტირებული შრომის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოფილ იყოს პიროვნების მიერ სამუშაოს საკუთარი სურვილისამებრ არჩევის უფლება, მათ შორის, არ მოხდეს პირისათვის მუშაობის უფლების უკანონოდ წართმევა. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ პიროვნების და მისი ღირსების პატივისცემა გამოიხატება სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებაშიც, რაც ხელს უწყობს პიროვნების განვითარებასა და მის სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოში საჯარო სამსახურის ამოცანების მიღწევა წარმოუდგენელია საჯარო მოსამსახურის უფლებებისა და ღირსების პატივისცემისა და დაცვის ვალდებულების სტანდარტის უპირობო დამკვიდრების გარეშე.

საჯარო მოსამსახურე, იურიდიული თვალსაზრისით, უფლებრივ დონეზე დაცულია კანონით, თუმცა მის რეალიზაციასა და დაცვაზე ზრუნვა ასევე წარმოადგენს მისივე უფლებას. საჯარო მოსამსახურე, რომელსაც არ შესწევს ძალა, სიმტკიცე და პრინციპულობა იბრძოლოს თავისი უფლებების დასაცავად, შეუძლებელია საჯარო ინტერესების, საზოგადოების თითოეული წევრის უფლებების პატივისმცემლად და დამცველად მოგველინოს. საჯარო მოსამსახურე არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, არამედ, ამავდროულად, მაღალი პიროვნული

და მორალური პრინციპების, ღირებულებების მატარებელი პირია, რადგან სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობის მქონე ადამიანებს ძალუბთ იმ მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა, დაძლევა, რომლის წინაშეც დგას ქართული საზოგადოება და ქართული სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სტატუსის მიღების მომენტიდან ყოველი საჯარო მოსამსახურე დგება მისი პერსონის ამ სტატუსთან შესაბამისობის, პროფესიული კვალიფიკაციის, ნებისყოფის, ხასიათის სიმტკიცის არაერთი გამოცდის წინაშე, რა დროსაც უპირველესად, თავად უნდა იყოს საკუთარი უნარ-ჩვევების ობიექტური შემფასებელი, თავად უნდა გააკეთოს სამართლიანი დასკვნა, რამდენად არის ზემოთ ჩამოთვლილ თვისებათა ერთობლიობის მატარებელი პერსონა. მაღალი პირადი პასუხისმგებლობის დეფიციტი საჯარო მოხელეთა კორპუსში უმძიმეს შედეგებს ინვევს საზოგადოებისათვის, რამდენადაც ადამიანის უფლებების უხეში შელახვის მიზეზი ხდება.

3. წინამდებარე საქმეში მოსარჩელე თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე ქალია, რომელმაც შვიდი თვის ორსულ მდგომარეობაში მყოფმა დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რაც ადმინისტრაციის მხრიდან ფორსირებული წესით დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადაც სამართალურთიერთობის შინაარსი საჭიროებს ასევე განმაზოგადებელ მსჯელობას, რამდენად არის დაცული ქალთა შრომითი უფლებები, კონკრეტულად, საჯარო სამსახურის დაწესებულებებში, რამდენად პასუხობს სახელმწიფოს საჯარო მმართველობის სისტემა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებულ ვალდებულებებს, როგორც ნორმატიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, რამდენადაც განვითარებულ მსოფლიოში, მათ შორის, ევროპული სტანდარტებით ქალთა შრომის უფლება სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელოდ რეკომენდირებული სასამართლო შეფასებები და დასკვნები დღემდე სასამართლო აქტებში არ ასახულა, რის გამოც იგი ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემის მომავალი პრაქტიკისათვის და საჯარო მოხელეთა უფლებების განმტკიცებისათვის.

1. საერთაშორისო სტანდარტი:

დღეისათვის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს მთელი რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც უზრუნველყოფს სამსახურში აყვანისას ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მოპყორბას, თანაბარი სამუშაოსათვის, თანაბარი ანაზღაურების გაცემას, სამსახურში სექსუალური შევიწროვების აკრძალვასა და ამ პრობლემასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების არსებობას, დეკრეტული შვებულებისა და ანაზღაურების გაცემას. ამ ნორმათა ერთობლიობა შრომით ურთიერთობებში ქალებისათვის დაცვის სათანადო გარანტიების მყარ ბაზას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ისეთ მკვეთრად ლიბერალურ სახელმწიფოშიც კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, ქალთა შრომითი უფლებები მკაცრი საკანონმდებლო მოწესრიგებისა და პოლიტიკური დისკუსიების საგანია. აშშ-ში ქალთა შრომით უფლებებს არაერთი საკანონმდებლო აქტი იცავს, მათ შრომისაა ორსულობისა და დისკრიმინაციის 1978 წლის აქტი, თანაბარი ანაზღაურების 1963 წლის აქტი, საგულისხმოა, რომ ამერიკული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვას არა მხოლოდ შრომითი ურთიერთობების დამყარების პერიოდში, არამედ სამსახურში აყვანის სტაზიც.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლით დადგენილია, რომ განსაკუთრებული დაცვა უნდა ჰქონდეთ ქალებს ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ გონივრული პერიოდის მანძილზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 1 ივლისის №1876-რს დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა „ეგრობის სოციალური ქარტია“, დადგენილების მიხედვით საქართველომ სავალდებულოდ აღიარა ქარტის მუხლების გარკვეული ნაწილი სპეციალური დათქმის გაკეთებით.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება ქალის მიერ ორსულობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის დასრულებისას. მითითებული

ვალდებულების დადგენის მიზანს წარმოადგენს ორსულთა და მცირენლოვანი შვილის/შვილების დედების შრომის უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტის დაწესება სახელმწიფო ებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო აღნიშნულ პუნქტს არ აღიარებს სავალდებულოდ, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 6.2 მუხლის საფუძველზე, გაცხადებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის (რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 22 სექტემბრის №651 დადგენილებით) მე-11 მუხლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას დასაქმების სფეროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

ა) შრომის უფლება, როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება; ბ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევის, თანამდებობრივი დანინაურების და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე სამუშაოს ყველა შელავათის და პირობების გამოყენების, ასევე, პროფესიული მომზადების და გადამზადების, მათ შორის, მონაცეობის, გაზრდილი დონის პროფესიული მომზადების და რეგულარული გადამზადების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ხშირად გამოთქვამს კრიტიკას იმ ქალების უთანასწორო რიცხვთან დაკავშირებით, რომლებიც დასაქმებულები არიან დაბალ თანამდებობაზე, დაბალ ანაზღაურებად სამუშაოებზე, ხაზს უსვამს, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი მაღალ გადაწყვეტილებების მიმღებ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. კომიტეტის მკაფიო შეფასების – დაგმობის არეალში მოხვდა ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ორსულობისა და დეკრეტული პერიოდის გამო; ბავშვის მოვლის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და სხვა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „დედობის შესახებ“ №183 კონვენცია, ეხება რა დედობის დაცვის საკითხებს, ადგენს რიგ უფლებებს, რომელიც დაცული უნდა იყოს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში ორსულთა მიმართ. კონვენციის პრეამბულის მიხედვით ორსულ ქალთა დაცვა მიჩნეულია სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივ ვალდებულებად.

კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სამსახურიდან ორსულ ქალთა გათავისუფლება შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც უკანონო ქმედება ქალთა მიმართ, ხოლო მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს დამსაქმებელს.

ეროვნული სტანდარტი:

ეროვნული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად საკასაციო სასამართლო ასკენის, რომ ქალთა, მათ შორის, ორსულ ქალთა შრომით უფლებებთან დაკავშირებით დადგენილია დაცვის მინიმალური სტანდარტი, კერძოდ, ქართული ნორმატიული ბაზა არ ცნობს თანაბარი ანაზღაურების გარანტიებს, გენდერული დისკრიმინაციისა და სამსახურში სექსუალური შევიწროვების ამკრძალავ ეფექტურ ნორმებს, მექანიზმებს; ასევე შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან, დასაქმებულ ქალთა დეკრეტული პირობების დამდგენი ნორმები და ვერ პასუხობს სამართლიანი პირობების სტანდარტს, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის და სოციალური ვითარების ფონის გათვალისწინებით ეროვნული კანონმდებლობა არასაკმარისად იცავს ქალთა შრომით უფლებებს, როგორც ბავშვის დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ პერიოდშიც. შესაბამისად, ქვეყანაში ქალის ერთ-ერთი ფუნდამენტური - დედობის უფლების სათანადო რეალიზაცია უკიდურესად პრობლემატურია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როგორც საჯარო, ასევე კერძო შრომით სამართლებრივი ურთიერთობების მომწერიგებელი ნორმატიული აქტები უცილობლად საჭიროებს ქალთა უფლებების დაცვის ნორმების მისადაგებას საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა ნორმატიულ დონეზე აღმოფხვრილ იქნეს გენდერული დისკრიმინაციის თეორიული დაშვება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“.

საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლის მიხედვით: „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით“.

საქართველოს კონსტიტუციის 36.3 მუხლის მიხედვით: „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“. სხვა დემოკ-

რატიული ქვეყნების კონსტიტუციური ანალიზი აჩვენებს, ქალის უფლებების დაცვის გარკვეული გარანტიები თვით კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რომლის დეკლარირებულ საფუძვლებზე მიიღება შესაბამისი კანონმდებლობა.

კონსტიტუცია ზოგადად მიუთითებს ქალთა სხვა უფლებებზე, არ ადგენს მათი დაცვის რამები გარანტიებს და მათი მოწესრიგება კანონების არეალშია დათქმული.

გენდერული პრობლემატიკის კონკრეტულ საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს მომწესრიგებელ ნორმებს, ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუნქციონირების პირობებში არ განერილა გენდერული თანასწორობის დაცვის გარანტიების შესახებ საკანონმდებლო ნორმები.

ქალთა შრომითი უფლებები მოწესრიგებულია ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ (კერძო სამართლებრივი ურთიერთობების) და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით (საჯარო სამართლებრივი ურთიერთობები), რომელთა დახვეწინა და ჰარმონიზირება საერთაშორისო ნორმებთან სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს.

შრომის კოდექსი აღიარებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ ელემენტებს:

1. მხარეთა თანასწორუფლებიანობა;
2. ნების თავისუფალი გამოვლენა;
3. შეთანხმება.

შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.

აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ამ მეტუძრი ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად (14.5 მუხლი).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 41¹-ე მუხლი შედარებით უკეთეს სტანდარტს ადგენს საჯარო მოსამსახურე ქალის ორსულობისა და მშობიარობის გამო შევბულების, დახმარებისა და კომპენსაციის ანაზღაურების თვალსაზრისით.

ამავე კანონის 111.2 მუხლის შესაბამისად, მოხელე (ქალი)

არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ შეიცავს გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვისა და უზრუნველყოფის დამდგენ ნორმებს, არ არსებობს მათი შესრულების მონიტორინგის სისტემა, გენდერული თანასწორობის შესახებ არსებულ ვითარებაზე ანგარიშვალდებულება რომელიმე ინსტიტუტის წინაშე.

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 24 ივლისის „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“ მხოლოდ პრინციპების დონეზე შეიცავს ნორმებს გენდერულ საკითხთა დაცვის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუ ნორმატიული თვალსაზრისით, ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ქალთა შრომითი უფლებების დაცვისა და რეალიზების მინიმალურ სტანდარტს, გენდერული პრობლემატიკის არასათანადო გააზრდებისა და არაჯეროვანი აქტუალიზაციის გამო გაცილებით მწვავე შეფასებას იმსახურებს პრაქტიკაში არსებული შიდგომები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი ქალებთან მიმართებით დისკრიმინაციული შინაარსის ნორმას არ ადგენს, ნორმათა ხარვეზის და ბუნდოვანების გამო დამსაქმებელს ეძლევა თეორიული შესაძლებლობა, კანონი დისკრიმინაციულად გამოიყენოს, რაც პრაქტიკაში იშვიათობას არ წარმოადგენს.

კერძოდ, იკვეთება ტენდენცია, რომ დასაქმებული პირის უფლებების რეალიზაცია მთლიანად დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რაც გამოიხატება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საუკეთესო ნორმატიული დანართებიც კი ფორმალური ხასიათის მატარებელი იქნება, თუ პრაქტიკაში ვერ შეიძინა რეალური მნიშვნელობა, თუ მისი სწორად დამკვიდრება და გამოიყენება არ მოხდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების საყოველთაოდ გაცხადებული პოლიტიკური ნება ეკროპულ ოჯახში დაბრუნებასა და ადამიანის უფლებების პრიორიტეტიზაციის შესახებ ასახვას უნდა ჰპოვებდეს არა მხოლოდ კანონშემოქმედებაში, არამედ მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის შესაბამისი გარემოც ჩამოყალიბდეს.

ეს უკანასკნელი უნდა დაექვემდებაროს მკაცრ და სისტემა-ტურ, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ასევე საპარ-ლამენტო, მმართველობით და სასამართლო კონტროლს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი შემ-თხვევა შესწავლილ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, შედეგად შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია „ქარელის მუ-ნიციპალიტეტის გამგებიდან ორსულ ქალთა სამსახურიდან გა-თავისუფლების თაობაზე“ და მიიჩნია, რომ „ორსული ქალბატო-ნის განთავისუფლების საქმეში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო მოხელის მიერ საერთაშორისო კონვენციებით და ადგილობრი-ვი კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური და მატერი-ალური ნორმების დარღვევას“.

მოცემული საქმის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომ-დინარე, საკასაციო სასამართლო უკიდურესად კრიტიკულად მიიჩნევს რა ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობებს და შე-ფასებებს, ასკვნის:

სასამართლო ხელისუფლება ადმინისტრაციული მართლმსა-ჯულების მემგეობით თავისი არსით ორ უმნიშვნელოვანეს კონ-სტიტუციურ ფუნქციას ახორციელებს:

1. კონფლიქტის (დავის) მოგვარება/გადაწყვეტა კანონიერად და სამართლიანად;

2. სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველო-ბითი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე, რაც თავის მხრივ, ემსახურება სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს, კანონიერი საჯარო მმართველობის ფუნქციო-ნირების უზრუნველყოფას.

ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები არა მხო-ლოდ, იურიდიულად დაუსაბუთებელი და უკანონოა, არამედ ვერ პასუხობს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ამოცა-ნას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანა-ნილების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპი-რობებული სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამარ-თლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრე-ბულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სა-მართალწარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავები) გადაწყვეტას, არამედ – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორ-

განოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას.

მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებების, ქმედებების /მოქმედება, უმოქმედობა/ გასაჩივრება საერთო სასამართლოში, რა დროსაც სასამართლოს ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, რათა ალადგინოს დარღვეული წონასწორობა პირსა და ოფიციალურ სტრუქტურას შორის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრების, კერძოდ, 1996 წ. 13-15 ნოემბერს მადრიდში გამართული შეხვედრის დასკვნების თანახმად, ადმინისტრაციული აქტების კონტროლი დემოკრატიისა და კანონის უზრავასობის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქნა მიჩნეული, ვინაიდან სახელმწიფოსა და მისი მრავალი ადმინისტრაციული ორგანოს მომწესრიგებელი ან ინდივიდუალური აქტები რეგულარულად ზემოქმედებს მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ საკითხებზე და უშუალო ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე. სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს გონივრული კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე. ყველა ადმინისტრაციული აქტი უნდა ექვემდებარებოდეს მოსამართლის მიერ გადასინჯვას; მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი და კომპეტენტური; სამართალწარმოება უნდა იყოს უფრო მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; გადაწყვეტილები უნდა მიღებოდეს გონივრულ ვადაში; გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს დროულად.

სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზრავასობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტური დაცვის რეალიზაციას და ა.შ.

თანამედროვე ევროპული სამართლებრივი ტენდენციის თანახმად, სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. გათვა-

ლისწინებულია რა საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პირებს შორის არსებულ უფლებამოსილებათა დისბალანსი, შესაბამისად, ეს ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული პირების უფლების აღდგენის მიზნით, რომ არ შეიძლება საუბარი კანონის უზენაესობაზე, როდესაც თავად სახელმწიფო და მისი ადმინისტრაციული ორგანოები არ ემორჩილებიან კანონს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მიუკერძოებელ, ობიექტურ და სამართლიან ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებას უდიდესი როლი გააჩნია საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში, მეტიც, ეფექტურმა მართლმსაჯულებამ შეუქცევადი უნდა გახადოს ქვეყანაში დემოკრატიული ლირებულებების დამკვიდრება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების სამართლით ბოჭვა, სახელმწიფო ინსტიტუტების ავტორიტეტის და ნდობის, ეროვნული სახელმწიფოს განცდის სარისხის ამაღლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც კრიტიკას ვერ უძლებს ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობები და შეფასებები სადაც სამართლურთიერობასთან დაკავშირებით, კერძოდ, რაიონული სასამართლოს შეფასებით: „ა. ჯ-მა, გ. კ-ამ და მ. ბ-მა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩვენების მიცემისას, არ დაადასტურეს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერა, ასევე ნ. მ-ისათვის ვინმეს მიერ რჩევის მიცემა ან მასზე ზეგავლენა ასეთი განცხადების დაწერის მიზნით – როგორც მოსარჩელე მიუთითებს, თუმცა, აქვე უთითებს, რომ სადაც არ არის გარემოება, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ყველა თანამშრომელს დაანერინა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, მაგრამ მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, იგულისხმებოდა გამგეობის თანამშრომლები და არა – ტერიტორიული ორგანოს მუშაკები, რაზეც სასამართლოს დასკვნა ამგვარად შედგა: საჯარო მოხელის მიერ აღნიშნული განცხადება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით და არ უნდა ჩაითვალოს უშუალოდ ქმედების აღიარებად, მით უმეტეს, ნ. მ-ე არ მიუთითებს, რომ განცხადება გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დაანერინა. ასევე, რაიონული სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანო-

ნის 95-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან თავისი ინიციატივით გათავისუფლებისას, ორსულობა ხელისშემშლელი გარემოება არ არის და სადაც ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით“, აღნიშნულის შეფასებისას სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: „საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 6. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას და ჰქონდა თუ არა ადგილი მოტყუების ან სხვა რაიმე ზემოქმედების ფაქტს. რაც შეეხება საქმეში არსებულ მტკიცებულებას: სატელევიზიო ჩანაწერს, რომლითაც დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ი. ო-ემ გამგეობის ყველა თანამშრომელს მოსთხოვა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა, არ წარმოადგენს იმგვარ მტკიცებულებას, რომლითაც დადასტურდება 6. მ-ის ნების გამოვლენაზე უმუალო ზემოქმედების ფაქტი. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირის მხრიდან უკანონო მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო მოხელეს არ ევისრება ამგვარი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ამჟამად დავა მიმდინარეობს სასამართლოში მისი უფლების დასაცავად, ვერ დგინდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 6. მ-ის განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებში არ იგულისხმება ტერიტორიული ორგანოს მუშაკები. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მეორე და მე-8 პუნქტების თანახმად, გამგეობა (მერია) შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოებისაგან. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ გახდება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მოქმედი კანონმდებლობა

იცავს ორსული მოხელის შრომით უფლებებს და ქმნის მთელ რიგ გარანტიებს მისი შრომითი უფლებების დაცვის კუთხით. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლი მიუთითებს, რომ ქალი, რომელიც ორსულადაა არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. თუმცა აქვე განმარტა, რომ 6. მ-ის გათავისუფლება სამსახურიდან არ მომხდარა შტატების შემცირების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ატესტაციის შედეგების საფუძვლით, იგი გათავისუფლდა სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე“, არ შეესაბამება სსსკ-ის 105 მუხლით დადგენილ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს, კერძოდ, მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ განსახილველ შემთხვევაში ქვემდგომმა სასამართლოებმა საერთოდ არ გამოიკვლიეს და არ იმსჯელეს 6. მ-ის ნების გამოვლენის თავისუფლების, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და ორსულ ქალთა დაცვის განსაკუთრებული საერთაშორისო სტანდარტის სრული უგულვებელყოფის თაობაზე.

4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დაცვის კანონიერად გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია განიმარტოს საჯარო შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოსამსახურის განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის სამართლებრივი წესი, განისაზღვროს სტანდარტი, რომელიც არა მხოლოდ სამოხელეო სამართლის, არამედ ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპების და პროცედურების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრეამბულის საფუძველზე განმარტავს, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, ანესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. კან-

ნის მე-13 მუხლით განისაზღვრა რა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. სამოხელეო სამართლი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და, შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერებს პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიღება საჯარო მოსამსახურებს (მათ შორის, თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შედაგათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. ასევე აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დაწინაურების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 თავი განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის უფლებები და გარანტიები, ხოლო X თავის ნორმებით დადგენილია სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები და წესი. კანონის 112-ე მუხლით გარანტირებულია მოხელის მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში, კერძოდ, მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდე-

ბობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გა-
სამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამ-
დებობრივი სარგოს ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოსამ-
სახურის თანამდებობაზე დაწიშვნისა და გათავისუფლების გა-
დაწყვეტილება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კო-
დექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედ-
ვით დეფინირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამარ-
თლებრივ აქტს, საკასაციო სასამართლო საჯარო მოსამსახუ-
რის თანამდებობაზე დაწიშვნისა და გათავისუფლების ფორმის
სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზე-
ნაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში ად-
მინისტრაციულ საქმეზე №პს-713-300(კ-05) (ნ. ხ-ის სარჩელი-
სა გამო მოპასუხის თელავის რაიონულ სასამართლოში მოპა-
სუხე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ) ჩამოყალიბებულ
სამართლებრივ დასკვნას, კერძოდ, დიდი პალატა აღნიშნავს:
„1997წ. 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის
ნორმების, კერძოდ, 26.1. და 110.1. მუხლების მიხედვით თანამ-
დებობაზე ანანიშვნა და გათავისუფლება ფორმდება ბრძანე-
ბით, განკარგულებით ან დადგენილებით, ანუ სახეზეა საჯარო
დაწესებულების მიერ წების ცალმხრივი გამოვლენა. ამავე
თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამავე კანო-
ნის 95-ე მუხლის დებულება: „პირი თავისი ინიციატივით თავი-
სუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფ-
ლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დაკმაყოფილებს მის
წერილობით განცხადებას“. აღნიშნულით ცხადა, რომ პირი თა-
ვისი ინიციატივის პირობებშიც სამსახურიდან გათავისუფლდე-
ბა იმ შემთხვევაში, თუ ამის სათანადო წებას გამოავლენს სა-
ჯარო დაწესებულება, პირის განცხადების დაკმაყოფილების სა-
ხით, რაც ასევე კანონის 110.1. მუხლის საფუძველზე დაკავში-
რებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან“.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-
ნონის ნორმების ანალიზის შედეგად განმარტავს, რომ კანო-
ნით განსაზღვრული არ არის საჯარო მოსამსახურის თანამდე-
ბობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცე-
დურა, თუმცა საჯარო სამსახურის ადმინისტრაცია ვალდებუ-
ლია გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დად-
გენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ამ-
გარი გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმი-
ნისტრაციულ სამართლებრივ აქტს, იგი უნდა პასუხობდეს აქ-
ტის მომზადებისა და გამოცემის ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანებით ნ. მ-ე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე (პირადი განცხადება) გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალებიდან და საკასაციო საჩივრიდან გამომდინარე დადგენილად მიაჩნია, რომ ნ. მ-ემ ნამდვილად დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, მაგრამ ვერ გაიზიარებს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოტივს, ვინაიდან სადავო ბრძანება გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო ვალიდებული ჩატარებინა ადმინისტრაციული წარმოება და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანება ნ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. კერძოდ, ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეწყდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩელესა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შორის. სადავო აქტში ბრძანების გამოცემის საფუძლად მითითებულია: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალების თანახმად ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა პირადი განცხადების საფუძველზე მოსარჩელე, რომ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, ის გარემოება, თუ რატომ გადაწყვიტა მოსარჩელემ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა, აღნიშნული წარმოადგენდა თუ არა მისი ნამდვილი ნების გამოხატვას, თუ იგი გამოწვეული იყო რაიმე გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით, ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც სრულიად კანონსანინააღმდეგოა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პრო-

ცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილეობი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წარმომადგენლობის მიზანის მიხედვით. რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინის-

ტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამ-დე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნ-ველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირ-ღვევა სამართლის ნორმის და აღმინისტრაციული ორგანოს მი-მართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების გან-ცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითხებობა, მაშინ როცა ადმინისტრა-ციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდო-ბის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებ-რივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც კასატორის განმარტებით, მის მიერ განცხადების დაწერა არ იყო ნამდვილი ნების გამოხატვა, იგი არ დაწერდა განცხადებას, რომ არა შემდეგი გარემოება: მის-თვის ფცის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისგან – ა. ჯ-ისგან გახდა ცნობილი ქარელის ახლად არჩეული გამგებლის მ/შ ი. ო-ის მითითების შესახებ, რომ ფცის ტერიტორიული ორგა-ნოს ყველა თანამშრომელს უნდა დაეწერა განცხადება სამსა-ხურიდან გათავისუფლების თაობაზე, ხოლო შემდგომ ახალი გამგებლის მიერ ახლიდან მოხდებოდა დანიშვნა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლა-მენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილე-ბის განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამო-სილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულის-ხმიბს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებ-ლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხე ადმი-ნისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტებას, რომ სადაც ბრძანების გამოცემის საფუძველი იყო მოსარჩელის პი-რადი განცხადება, აღნიშნულის გამო ადმინისტრაციულმა ორ-განომ არ ჩათვალა მიზანშენონილად ადმინისტრაციული წარ-მოების ჩატარება, მიიჩნია, რომ აღნიშნულით მოსარჩელემ გა-მოხატა ნება სამსახურიდან წასვლის თაობაზე. საკასაციო სა-სამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოე-ბა, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ად-გენს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თა-ობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინის-

ტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით სადაც ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღმინისტრაციულმა ორგანომ ჩატარა აღმინისტრაციული წარმოება 6. მ-ის განცხადების განხილვასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სადაც აქტის კანონიერების შეფასებისას ქვემდგომმა სასამართლოებმა საერთოდ არ იმსჯელეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ კანონიერებაზე, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებაზე, რის გამოც დაარღვიეს სსსკ-ის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მრომით სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოსამსახურის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი ნესით უნდა პასუხობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, კერძოდ, 51-52-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მისი გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა.

ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას – ადმინისტრაციულმა

ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრებელის შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არა-ერთგზის განმარტა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთების გალდებულება, ხოლო ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში აქტის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დაგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა სრული უგულებელყოფით, რის გამოც სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით განსაზღვრული სადაცო საკითხის გა-

დაუწყვეტლად ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის და-ვალების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პრო-ცესუალური საფუძვლები.

სასამართლო გადაწყვეტილების აღნიშნული სახით მიღება გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის ხელახ-ლა გამოცემისას უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გა-რემოვებები და მიღლოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს, რო-გორც ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე საერთო სასამარ-თლოებში პრობლემატურ საკითხად რჩება საჯარო მოხელის ნე-ბის გამოვლენის ნამდვილობის კანონშესაბამისი გამოკვლევა და ობიექტური სამართლებრივი შეფასება, რასაც წინამდება-რე საქმეც ადასტურებს.

საჯარო შრომით სამართლებრივი ურთიერთობები, რომე-ლიც თავისი არსითა და ფორმით სუბორდინაციულ სამართა-ლურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება, მოწესრიგებუ-ლია ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის სამოხე-ლეო სამართლის კანონმდებლობით, რაც, თავის მხრივ, გამომ-დინარეობს და ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და სა-ერთაშორისო აქტებით აღიარებულ და გარანტირებულ ადამია-ნის უფლებებსა და თავისუფლებების სტანდარტს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს საჯა-რო მოსამსახურის ცნებას, მის სამართლებრივ მდგომარეობას, უფლებებს და მოვალეობებს, სადაც თავისი სამართლებრივი ფუნქცია გააჩნია საჯარო მოსამსახურის ნების გამოვლენას, სა-ჯარო შრომით სამართლებრივი ურთიერთობის კანონიერება ემ-ყარება პირის ნებას – გახდეს საჯარო მოსამსახურე, კანონის-მიერი კრიტერიუმების დაგმაყოფილების პირობებში. ასევე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარ-მოადგენს პირის ნება, განთავისუფლდეს სამსახურიდან /მუხ-ლი 95-ე.

საკასაციო სასამართლო, საკუთარი ინიციატივით სამსახუ-რიდან გათავისუფლების საფუძვლის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ სამარ-თლებრივ შეფასებას საჭიროებს მოხელის ნების გამოხატვის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება, მათ შო-რის, სპეციფიკის გათვალისწინებით.

1. მოსამსახურის სურვილი, აღარ იყოს საჯარო მოსამსახუ-რე გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თა-ვისუფალია, აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს პირის უფლე-

ბას თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება, მისი ნების სანინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს, პირის ეს უფლება, ეს სტანდარტი აღიარებულია საერთაშორისო აქტებით.

2. პირის სურვილი, აღარ იყოს დასაქმებული საჯარო სამსახურში (კონკრეტულ პოზიციაზე), წარმოადგენს მის კონსტიტუციურ უფლებას და არავის აქვს უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა, მისი ნების სანინააღმდეგოდ, ითვლებოდეს საჯარო მოსამსახურედ და ასრულებდეს საჯარო მოვალეობებს.

3. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საჯარო სამსახურის ადმინისტრაციას აქვს კანონისმიერი ვალდებულება უტყუარად და სარწმუნოდ დაადგინოს პირის ნების გამოხატვის ნამდვილობის საკითხი, რაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან – გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საქმის გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე.

4. ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენა ემსახურება ნების გამოხატვის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული ქმედება, არჩევანი, გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს პირის ნამდვილ ნებას, იგი არ უნდა იყოს პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირების და სხვა, სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული.

საკასაციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში უკვე მიუთითა საქართველოს საჯარო სამსახურში გამოკვეთილ მანერი ტრადიციებსა და პრაქტიკაზე, მათ შორის, მასიურად საჯარო მოხელეთა მხრიდან სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით გამოვლენილ ნებაზე, თუმცა განცხადების დაკაყოფილების და სამსახურიდან გათავისუფლების შედეგად თავს მიიჩნევენ უფლებადარღვეულად და სასამართლო წესით ითხოვენ მათი ნების გამოხატვის ნამდვილობის შემოწმებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს საჯარო სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომ ერთი მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსი დაკომპლექტებული იყოს პრინციპული და მტკიცე ნებისყოფის პირებისგან, მეორე მხრივ, გამოირიცხოს საჯარო მოსამსახურეთა ნების ფორმირებაზე ვინმეს, განსაკუთრებით უშუალო დაქვემდებარების ვერტიკალის წარმომადგენელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი, შესაბამისად, კანონისაწინააღმდეგო ზემოქმედება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების

ინტერესებიდან გამომდინარე, იდენტურ სამართლებრივ და-ვებში სასამართლო ორგანოების ამოცანას წარმოადგენს გამიჯ-ნობ შემთხვევები, როცა პირის ნება ფორმირებულია მისი გან-წყობებით, დამოკიდებულებებით, პერსპექტიული გეგმებით, თვითშეფასების ხარისხით და სხვა, და როცა ნების ფორმირება განპირობებულია, ერთი მხრივ: ა) საჯარო სამსახურებრივი ვალ-დებულებების დაბალი შეგნებით, ადმინისტრაციის მიმართ უპი-რობო მორჩილების გამოხატვის, ბ) ანგარების (დაწინაურება, ხელფასის მომატება, პრემიის გადაცემა და სხვა) და მეორე მხრივ; ა) საჯარო მოსამსახურის იძულებით, მუქარით, მისი გან-საკუთრებული მდგომარეობის (ჯანმრთელობა, მძიმე სოცია-ლური მდგომარეობა, ოჯახური სტატუსი და სხვა ამგვარ). აღ-ნიშნული ფაქტების დადგენის გარეშე შეუძლებელი გახდება სა-სამართლო წესით დაცვის უფლების რეალიზაცია.

ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ მოწმეთა, რომლებიც თავად არიან საჯარო მოსამსახურები და სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებიან მოპასუხესთან, ჩვენებით და ტრაფარეტული, სტანდარტული მიდგომით, რომ არ დასტურდება პირის ნების გამოვლენაზე იძულება, რის გამოც სასამართლოებმა ჩამოაყა-ლიბეს დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე, ვერ უძ-ლებს კრიტიკას და არასაქმარისია სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფაზე. სასამართლოებს საერთოდ არ უმსჯელიათ მოსარჩელის ნების გამოვლენა ნამდვილობის გა-სარკვევად დაეკავშირებინათ მის განსაკუთრებულ მდგომარე-ობასთან. დადგენილია, რომ განცხადების დაწერის მომენტში 6. მ-ე იყო 7 თვის ორსული, სასამართლოს არ გამოუკვლევია, რის საფუძველზე მოხდა მისი ნების ფორმირება, მოსამსახუ-რები, რომელსაც კანონით უფლება პქონდა, ესარგებლა დეკრე-ტული შვებულებით, არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რაც სა-თანადო ობიექტური საფუძვლის გარეშე (ასეთი საფუძველი საქ-მის მასალებით არ გამოკვეთილა და დადგენილა), ქვეყნის სო-ციალური პირობების გათვალისწინებით, ლოგიკას არ ექვემდე-ბარება. ამდენად, სასამართლოს დასკვნები, რომ მოხელის გან-ცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ნების ნამ-დვილი გამოვლენის შედეგია, ვერ ასახავს სადაცო სამართალურ-თიერთობის ჭეშმარიტ არსს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საერთაშორისო აქ-ტებით ორსულ ქალთა და მათი უფლებების განსაკუთრებული დაცვის სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა ობიექტური მდგომა-რეობითაა განპირობებული. ორსული ქალის სიცოცხლე, ჯან-

მრთელობა, ფსიქიკა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. ორსულობა – (სამედიცინო ტერმინოლოგიით გესტაცია, ან გრავიადულობა) ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესი გრძელდება 40 კვირა, რაც არა მხოლოდ ქალისთვის, არამედ მთელი ოჯახისთვის განსაკუთრებული პერიოდია, რადგან ორსულის ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები მათ ცხოვრებაზეც აისახება, ორსულობის ყველა ტრიმესტრს თან ახლავს, როგორც სხეულის, ისე ფსიქოემოციური სფეროს დამახასიათებელი ცვლილებები. სპეციალური სამედიცინო ლიტერატურა, სამეცნიერო კვლევები მიძღვნილი ორსულთა განსაკუთრებული სტატუსისადმი ადასტურებს სპეციფიკური დამოკიდებულების სისტემის აუცილებლობას, მათ შორის, სამართლებრივი თვალსაზრისით. ორსული ქალის, როგორც განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალის მიმართ პრაქტიკულად ყველა დარგის კანონმდებლობა ითვალისწინებს საგამონაკლისო სტანდარტს, მათ შორის შრომის სამართალი. სამიქალაქე სამართალი განქორწინების დაუშვებლობის საფუძვლად მიიჩნევს ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში

მოთხოვნას განქორწინების თაობაზე – ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თახხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1123.2). სისხლის სამართალი ორსული ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულს განიხილავს, როგორც პასუხისმგებლობის დამამდიმებელ, ხოლო ორსული ქალის მიერ ჩადენილი დანაშაულის – პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად (სისხლის სამართლის კოდექსი).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფსიქოემოციური სფეროს ცვლილებების გამო აუცილებელია მისი ნების ნამდვილობის გამოკვლევა არა სტანდარტულ, არამედ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეფასებას დაექვემდებაროს. ქალის მგრძნობიარობის შეკვეთი ზრდა ორსულობის მომენტში უპირველესად, მის გუნება-განწყობაზე ზემოქმედებს, რის გამოც როგორც ადმინისტრაციულმა ორგანოებამ, ისე სასამართლოებმა ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენისას უნდა იმსჯელონ არა მხოლოდ იმაზე, რომ ნება იძულებით ან მუქარით არ ფორმირებულა, არამედ იმაზეც, თუ რამდენად არის სასარგებლონ ეს მისი და ბავშვის ინტერესებისათვის, აღნიშნულიდან გამომდინარე, ორსული ქალის ნების გამოვლენის ნამდვილობა საჭიროებს სრულიად სპეციფიურ გამოკვლევას, თუ რა გარემოებებით არის გამოწვეული სურვილი სამსახურიდან გათავისუფლე-

ბის თაობაზე, რა შედეგების მომტანია ეს მისთვის, ბაგშვის ინტერესებისათვის, სრულად აცნობიერებს თუ არა ნების გამოვლენის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილების შედეგებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნინამდებარედასკვნა არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, რომ ორსული ქალის ან მეძუძური დედის ნების გამოვლენა არსებითად განსხვავდება ქმედუნარიანი პირის ნების გამოვლენისგან, არამედ, ორსულ ქალთა სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული სტანდარტი საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით უნდა გამოვლინდეს მტკიცების ტვირთის სპეციფიკური გადანაწილებით.

ეროვნულმა სასამართლოებმა საერთაშორისო სტანდარტის დამკიდრების და პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით ორსული ქალის ნების გამოვლენის ნამდვილობის გამორკვევა უნდა დაუკავშირონ მართლწესრიგის კეთილსინდისიერების სტანდარტს. საჯარო მმართველობის კანონიერებისთვის, ზოგადად, საჯარო წესრიგისთვის შეუწყისარებელია ორსული ქალის უფლებებისადმი მოუფრთხილებელი, გულგრილი ან დაუდევარიდამოკიდებულების ლეგიტიმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა კვლევისა და დადგენის საპროცესოსამართლებრივი მექანიზმები თითოეულ შრომითსამართლებრივ დავაში მიმართული უნდა იყოს იქეთკენ, რომ პირის ნების ფორმირება – შინაგანი სურვილი და მისი გარეგნული გამოხატულება თანხვედრაშია თუ არა, მისი მიზანი დანამდვილებით არის თუ არა შრომითი ურთიერთობიდან გასვლა, ადმინისტრაციის (დამსაქმებლის) უფლება – დააკმაყოფილოს პირის ნება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, მართლზომიერად არის თუ არა გამოყენებული. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ვინაიდან მოცემულ დავაში ადმინისტრაციას საერთოდ არ შეუსწავლია 6. მ-ის ნების გამოვლენის ნამდვილობა, ფორსირებული წესით დაკმაყოფილებული განცხადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება მართლზომიერად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება გულისხმობს კანონით დადგენილი ყველა პროცედურის მეშვეობით კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას, რაც თავის მხრივ, კანონიერი საჯარო მმართველობის სტანდარტის მიღწევას ემსახურება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწ

ყვეტილება, რომლითაც ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათოლად იქნეს ცნობილი ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანება, სადაც საკითხის გადაუწყვეტილად და დაევალოს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად მიღლოს გადაწყვეტილება, კანონით დადგენილ ვადაში, ნ. მ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. მ-ის საკასაციო საჩივრის მოტივები გასაჩივრებული განჩინების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე საფუძვლიანია და გაზიარებული უნდა იქნეს, საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა გასაჩივრებული აქტის კანონშეუსაბამობის თაობაზე საფუძვლიანია და ექვემდებარება ნაწილობრივ გაზიარებას, ვინაიდან სადაც აქტი, როგორც გამოცემული ფორმალური და მატერიალური კანონმდებლობის დანაწესების სრულ უგულებელყოფით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რამდენადაც სახეზეა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეავეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად, სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. მ-ის განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მეშვეობით საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და იმ სტანდარტების გათვალისწინებით, რაც წინამდებარე გადაწყვეტილებაში დაადგინა

საკასაციო სასამართლომ.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოსილების გამოყენება გამორიცხავს მოცემულ სტადიაზე მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნების საფუძვლიანობის განხილვა-გადაწყვეტის პროცესუალურ შესაძლებლობას და აღნიშნულზე უნდა იმსჯელოს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე – ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ უ ვ ი თ ა:

1. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 8 იანვრის №25 ბრძანება, სადაც საკითხის გადაწყვეტლად და დაევალოს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება, კანონით დადგენილ ვადაში;
5. მ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისროს 100 ლარის გადახდა სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი შეუთავსეპლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

გადაცყველება საქართველოს სახელით

№ბს-69-67(კ-14)

29 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდუ-
რის ანაზღაურება.

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: თ. ტ-ე;

მოპასუხე: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 4 ივ-
ნისის №988 ბრძანების ბათილად ცნობა;

2. სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაუ-
რება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
გამგებლის 2011 წლის 4 თებერვლის №94 ბრძანებით დაინიშნა
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ... განყოფილების
უფროსის თანამდებობაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 2 აპ-
რილის №550 ბრძანებით გაათავისუფლეს დაკავებული თანამ-
დებობიდან შტატების შემცირების მოტივით, აღნიშნული ბრძა-
ნება მოსარჩელემ გაასაჩივრა საგარეჯოს მაგისტრატ სასამარ-
თლოში.

2013 წლის 3 ივნისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებ-
ლის №978 ბრძანების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი
2013 წლის 2 აპრილის №550 ბრძანება და მოსარჩელე აღდგე-

ნილ იქნა სამსახურში, რის შემდეგაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ სასამართლოში იმუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება.

მოსარჩელის განმარტებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავისი 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანებით კვლავ გაათავისუფლა სამსახურიდან, ამჯერად გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39.3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, 44.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.3 მუხლი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.1 მუხლი და 13.2 მუხლები.

სამართლებრივი: მოსარჩელის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად „სამსახურებრივი შეუთავსებლობა ეხება სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელსაც უფლება აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს“, რასაც მის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ასევე დაუსაბუთებელია ზემოაღნიშნული კანონის 104-ე მუხლზე მითითება, რომელიც ითვალისწინებს სამსახურიდან გათავისუფლებას სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, ვინაიდან, იგი სამსახურში დანიშნული იყო 3-თვიანი გამოსაცდელი ვადით და ამავე კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვითი წარდგენილი ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტი. ამასთან, მოსარჩელის მტკიცებით, 104.2 მუხლის შესაბამისად, რატომ არ მიეცა ვადა ამ დარღვევის აღმოსაფხვრელად ან ეს დარღვევა როდის აღმოაჩინა, როდესაც მისი სამსახურში აღდგენისა და შემდეგ გათავისუფლებამდე გასული იყო 24 საათი.

მოსარჩელის მოსაზრებით, ასევე არასწორია გათავისუფლების ბრძანებაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილზე მითითება, რომლის შესაბამისად, „ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება“. მოსარჩელის განმარტებით, არ შეიძლება კანონის დარღვევად იყოს მიჩნეული ადვოკატთა ასოციაციის წევრობა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ადვოკატთა ასოციაციის მიერ გამართულ ტრეინინგების

ზე სიარული. ამასთან, მის მიერ დაკავებული თანამდებობა არ შედის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მე-2 მუხლში მითითებულ თანამდებობის პირთა ჩამოხათვალში, აღნიშნულ მუხლში მითითებულია მხოლოდ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებზე და პირველ მოადგილებზე, ხოლო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თანამდებობის პირები არიან გამგებელი, მისი მოადგილე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები. განყოფილების უფროსს კანონი თანამდებობის პირად არ მოიხსენიებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევე სარჩელის დაკავილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127.3 მუხლებზე.

მოპასუხე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაგებელი

ფაქტობრივი: მოპასუხე ძირითადად დაეთანხმა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

სამართლებრივი: მოპასუხის შეფასებით, სადაცო ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“, მოპასუხის შეფასებით, კანონის აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის მიზანია, დაიცვას საჯარო სამსახური ნებისმიერი ინტერესთა შეუთავსებლობისაგან, რომელიც შეიძლება, წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მოსამსახურე იმავდროულად ასრულებს ორ ან ორზე მეტ ანაზღაურებად საქმიანობას სხვა დაწესებულებაში. მართალია, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციით და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, თუმცა 64-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, თუ როდის შეიძლება, საჯარო მოსამსახურეს ეკავოს შეთავსებით სხვა თანამდებობა, ამა-

ვე მუხლის თანახმად, ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

მოპასუხის შეფასებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის განმარტება, რომ თუკი მას სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, როგორც ამას ახდენს მოსარჩევე, გამოიწვევს ნინააღმდეგობას კანონის მიზნებთან – დაიცვას საჯარო სამსახური ინტერესთა შეუთავსებლობისგან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულებაა უზრუნველყოს საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივი უსაფრთხოება, რათა არ მოხდეს საჯარო სამსახურში კერძო ინტერესების, ასევე განსხვავებული საჯარო ინტერესების აღრევა. თუ დავუშვებთ, რომ 64-ე მუხლი მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურებს ეხება, მაშინ დაუცველი აღმოჩნდება საჯარო სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებებში ხორციელდება. საყურადღებოა ისიც, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახური საქართველოში ერთიანია, შესაბამისად, სამსახურებრივი შეუთავსებლობის ერთიანი მოთხოვნები წაეყინება ყველა მოხელეს, მიუხედავად იმისა, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურებს. გარდა ამისა, სამსახურებრივი შეუთავსებლობა ეხება არა მარტო 64-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ თანამდებობას (სახელმწიფო სამსახური, სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში, წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოებში), არამედ სხვა ნებისმიერ თანამდებობას, გარდა სამეწარმეო სუბიექტის საკონტროლო, სამეთვალყურეო, სარეზისტრო ორგანოს წევრობისა და მუდმივმოქმედი ხელმძღვანელისა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-60 მუხლი). მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს 64-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, რომელიც წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას და დასაშვებად მიიჩნევს შეთავსებით სხვა ნებისმიერი თანამდებობის დაკავებას მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში. საჯარო სამსახური ესაა საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, სასაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექ-

მნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა. საჯარო ხელისუფლების განხორციელება საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით ვლინდება. ამასთანავე, საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობა განსხვავდება კერძო – სამართლებრივი ურთიერთობისაგან იმ ძირითადი ნიშნით, რომ საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობა იმპერატიული ხასიათისაა და ეფუძნება ლეგალურობის და კანონით ბოჭვის პრინციპს, განსხვავებით კერძო – სამართლებრივი ურთიერთობისგან, სადაც უპირატესად მოქმედებს პირადი ავტონომიის პრინციპი. საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობა არეგულირებს მოქალაქესა და საჯარო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულებათა შორის ურთიერთობას. უდავოა, რომ მოსარჩევე თ. ტ-ე 2011 წლის 17 იანვრიდან დღემდე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, შესაბამისად, ახორციელებს საადვოკატო უფლებამოსილებას. საადვოკატო უფლებამოსილება ხორციელდება როგორც მხარეთა ნების ავტონომიის ისე იმპერატიული პრინციპების საფუძველზე.

მოპასუხის შეფასებით, ის ფაქტი, რომ მას აქვს გავლილი ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები აშკარად მიუთითებს, რომ იგი ადვოკატთა ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია, რადგან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნტით, ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, მათ შორის ის ნორმაც, რომელიც ცალსახად აღნიშნავს, „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომიდნარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირის ინტერესებზე მაღლა“ (მათ შორის, საჯარო დაწესებულების ინტერესებზეც).

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საადვოკატო საქმიანობა კი მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა; კლიენტის

წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლინეტის სახელით წებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონი კი ცალსახად მიუთითებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებს. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამის კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი საკონსტიტუციული და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის შეფასებით აშკარაა, რომ საადვოკატო საქმიანობა ხორციელდება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონასწორების საფუძველზე, კერძო პირთა ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით. საადვოკატო საქმიანობა, რომლის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს აწესრიგებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, თავისი არსით ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის ინტერესებს. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობა წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევას. საადვოკატო საქმიანობა არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებათა სისტემაში, ამგვარად, გამორიცხულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის

მე-3 პუნქტის გამოყენების შესაძლებლობაც.

მოპასუხებ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლი არასწორადაა გამოყენებული, ვინაიდან, როგორც მოსარჩელე მიუთითებს მან სამსახურში მისაღებად წარადგინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს მოხელის გათავისუფლების საფუძველი, მაგრამ არა 104-ე მუხლით, არამედ 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლი ეხება სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევებში საჯარო სამსახურიდან პირის გათავისუფლების შემთხვევებს. შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან კანონის არასწორ გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

ასევე არასწორია მოსარჩელის „ადვოკატთა კანონის“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტზე მითითება, რის დასტურადაც მოჰყავს მოცემული მუხლის არასწორი ციტირება, რეალურად აღნიშნულ ნორმატიულ აქტში ცალსახადა განმარტებული, რომ „ადვოკატი არ შეიძლება, იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომლებსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. მოსარჩელე შეგნებულად უგულებელყოფს კანონის მითითებას, რომ საადვოკატო საქმიანობა ეკრძალება არა მარტო თანამდებობის პირებს, არამედ სხვა პირებსაც. „სხვა პირებში“ კი მოიაზრება ის თანამდებობის პირები თუ საჯარო მოსამსახურები, რომელთა საქმიანობა არსებითად ეწინააღმდეგება საადვოკატო საქმიანობის ძირითად პრინციპებს, რაც გამორიცხავს ერთდროულად საადვოკატო საქმიანობას და შესაბამის საჯარო სამსახურში სამსახურებრივი ფუნქციის განხორციელებას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73⁴ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, განაცხადოს ინტერესთა შეუთავ-

სებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე (არჩევამდე) ან დანიშვნის (არჩევის) შემდეგ, როგორც კი ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გახდა. მოსარჩელემ აღნიშნული იმპერატიული მოთხოვნა დაარღვია, ვინაიდან იგი 2011 წლის იანვრიდან წარმოადგენდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სრულუფლებიან წევრს და ვალდებული იყო, განეცხადებინა აღნიშნულის თაობაზე, რამდენადაც საადვოკატო საქმიანობა წარმოადგენს საჯარო სამსახურთან შეუთავსებელ საქმიანობას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2011 წლის 4 თებერვლიდან 2013 წლის 4 ივნისამდე თ. ტ-ე მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

თ. ტ-ე 2011 წლის 17 იანვრიდან დღემდე ირიცხება სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში №5179 საერთო სპეციალიზაციით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანებით თ. ტ-ე გათავისუფლდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების უფროსის თანამდებობიდან.

სასამართლოს მიერ სადაცვოდ მიჩნეული ფაქტები:

სადაცვო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ტ-ის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონის აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს იმპერატიულ მოთხოვნას, რომ-

ლის მიზანია, დაიცვას საჯარო სამსახური ნებისმიერი ინტერესთა შეუთავსებლობისგან, რომელიც შეიძლება, წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მოსამსახურე იმავდროულად ასრულებს ორ ან ორზე მეტ ანაზღაურებად საქმიანობას სხვა დაწესებულებაში. მართალია, იმავე მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, თუმცა 64-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, თუ როდის შეიძლება საჯარო მოსამსახურეს ეკავოს შეთავსებით სხვა თანამდებობა. კერძოდ, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის განმარტება, თუკი მას სიტყვა-სიტყვით განვიხმარტავთ, როგორც ამას ახდენს მოსარჩევე, გამოიწვევს წინააღმდეგობას კანონის მიზნებთან – დაიცვას საჯარო სამსახური ინტერესთა შეუთავსებლობისგან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დანიშნულებაა, უზრუნველყოს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივი უსაფრთხოება, რათა არ მოხდეს საჯარო სამსახურში კერძო ინტერესების, ასევე განსხვავებული საჯარო ინტერესების აღრევა. თუ დავუშვებთ, რომ 64-ე მუხლი მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურებს ეხება, მაშინ დაუცველი აღმოჩნდება საჯაროსამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებებში ხორციელდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახური საქართველოში ერთიანია, შესაბამისად, სამსახურებრივი შეუთავსებლობის ერთიანი მოთხოვნები წაეყენება ყველა მოხელეს, მიუხედავად იმისა, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურებს. გარდა ამისა, სამსახურებრივი შეუთავსებლობა ეხება არა მარტო 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ თანამდებობებს (სახელმწიფო სამსახური, სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებებში, წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოები), არამედ სხვა ნებისმიერ თანამდებობას, გარდა სამეცნარმეო სუბიექტის საკონტროლო, სამეცნალყურეო, სარევიზიო ორგანოს წევრობისა და მუდმივმოქმედი ხელმძღვანელისა („საჯარო სამსახუ-

რის „შესახებ“ კანონის მე-60 მუხლი). აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, რომელიც წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას და დასაშვებად მიიჩნევს შეთავსებით სხვა ნებისმიერი თანამდებობის დაკავებას მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო სამსახური ესაა საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა. საჯარო ხელისუფლების განხორციელება კი საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით ვლინდება. ამასთანავე, საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობისგან იმ ძირითადი ნიშნით, რომ საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობა იმპერატიული ხასიათისაა და ეფუძნება ლეგალურობის და კანონით შებოჭვის პრინციპს – განსხვავებით კერძო – სამართლებრივი ურთიერთობისგან, სადაც უპირატესად მოქმედებს პირადი ავტონომიის პრინციპი. საჯარო – სამართლებრივი ურთიერთობა არეგულირებს მოქალაქესა და საჯარო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულებათა შორის ურთიერთობას. უდაბოა, რომ თ. ტ-ე 2011 წლის 17 იანვრიდან დღემდე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, შესაბამისად, ახორციელებს საადვოკატო უფლებამოსილებას. საადვოკატო უფლებამოსილება ხორციელდება, როგორც მხარეთა ნების ავტონომიის, ისე იმპერატიული პრინციპების საფუძველზე.

სასამართლოს მსჯელობით, თ. ტ-ის მიერ სარჩელში მოყვანილი გარემოებები, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ მას აქვს გავლილი ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები აშერად მიუთითებს, რომ მოსარჩელე ადვოკატთა ასოციაციის სრულფასოვანი წევრია, რადგან „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებული იურიდიული განათლების პროგრამაში. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ადვოკატთა შესა-

ხებ“ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ადვოკატი ვალდებულია, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, მათ შორის ის ნორმაც, რომელიც ცალსახად აღნიშნავს – „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირის ინტერესებზე“. მათ შორის, საჯარო დაწესებულების ინტერესებზეც.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საადვოკატო საქმიანობა კი მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციი დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განვენას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საადვოკატო საქმიანობა ხორციელდება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონასნორების საფუძველზე კერძო პირთა ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით. საადვოკატო საქმიანობა, რომლის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს აწესრიგებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი, თავისი არსით ენინააღმდეგება საჯარო სამსახურის ინტერესებს. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობა წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევას. საადვოკატო საქმიანობა არ შედის ადგილობრივი თვითშპართველობის დაწესებულებათა სისტემაში, ამგვარად, გამორიცხულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესაძლებლობაც.

სასამართლომ არ გაიზიარათ. ტ-ის პოზიცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის არასწორი გამოყენების თაობაზე. როგორც მოსარჩელე მიუთითებს, მან სამსახურში მისაღებად წარადგინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაცია. მოცემული მუხლის შესაბამისად, ამგვარ დოკუ-

მენტებს წარმოადგენს: 1) განცხადება; 2) CV; 3) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა; 4) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 5) სამედიცინო წარკოლოგიური შემოწმების ცნობა; 6) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს მოხელის გათავისუფლების საფუძველი, მაგრამ არა 104-ე მუხლის, არამედ 98-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად: მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 104-ე მუხლი ეხება სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევებში საჯარო სამსახურიდან პირის გათავისუფლების შემთხვევებს. შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან კანონის არასწორ შეფარდებას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევის მითითება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის არასწორად გამოყენებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. აღნიშნულ ნორმატიულ აქტში ცალსახადაა განმარტებული – „ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება“. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საადვოკატო საქმიანობა ეკრძალება არა მარტო თანამდებობის პირებს, არამედ სხვა პირებსაც. „სხვა პირებში“ კი მოიაზრება ის თანამდებობის პირები თუ საჯარო მოსამსახურეები, რომელთა საქმიანობა არსებითად ეწინააღმდეგება საადვოკატო საქმიანობის ძირითად პრინციპებს, რაც გამორიცხავს ერთდროულად საადვოკატო საქმიანობას და შესაბამის საჯარო სამსახურში სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებას.

სასამართლომ არ გაიზიარათ. ტ-ის განმარტება იმის თაობაზე, რომ მოხელე არ ექვემდებარება განთავისუფლებას, თუ განთავისუფლების საფუძველი აღმოიფხვრა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას არ მიეცა საშუალება და შესაბამისი გადა, რათა არსებობის შემთხვევაში აღმოეფხვრა გათავისუფლების საფუძველი. აღნიშნულთან მიმართებით, სასამართლომ განმარ-

ტა, რომ იგი გათავისუფლების მომენტისათვის არ იყო დანიშნული შესაბამის თანამდებობაზე, არამედ მოხდა მისი სამსახურში აღდგენა. შესაბამისად, ხარვეზის აღმოფხვრის 10-დღიანი ვადის ათველა, რომელზედაც აპელირებს მოსარჩელე, დაიწყო არა მისი აღდგენის მომენტიდან, არამედ მისი სამსახურში შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თ. ტ-ე დანიშნული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და შესაბამისად, მას როგორც შესაბამისი კვალიფიკის მქონე მოხელეს თავად უნდა განესაზღვრა ამა თუ იმ პირთა დაკავებულ თანამდებობასთან შეუთავსებლობის საკითხი. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად: „თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა“. ხოლო იმავე კანონის მე-9 პუნქტის თანახმად, „თანამდებობის პირი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ საბუთებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე კადრების შესაბამის სამსახურს“.

გარდა ამისა, სასამართლომ არ გაიზიარა თ. ტ-ის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ იგი ირიცხებოდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრთა სიაში, იქიდან გამომდინარე, რომ მის მიერ სხვა დოკუმენტებთან ერთად ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის დროს, წარდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ გაცემული სერთიფიკატი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ სერთიფიკატის აღება ან/და ქონა არ გულისხმობს, რომ აღნიშნული პირი ავტომატურად ხდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და უფლებამოსილი არის განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა, ვინაიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის

ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასო-ციაციაში”.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზემო-აღნიშნული სერთიფიკატის მისაღებად თ. ტ-ემ წარმატებით ჩა-აბარა ტესტირება 2006 წლის 28 ნოემბრს, ხოლო ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა 2011 წლის 17 იანვარს, რაც წინააღ-მდეგობაში მოდის თ. ტ-ის მიერ მითითებულ გარემოებებთან მოცემულ საკითხთან მიმართებით და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების ჩაბარება ავ-ტომატურად არ გულისხმობს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევ-რიანებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ ასევე არ გაიზია-რა თ. ტ-ის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ გა-ნუხორციელებია რა ანაზღაურებადი საქმიანობა, არ არსებობ-და დაკავებულ თანამდებობასთან მისი შეუთავსებლობის კა-ნონით დადგენილი წინაპირობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, საადვოკატო საქმია-ნობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, არ ითვლება სამენარმეო საქმიანობად, მაგ-რამ თ. ტ-ეს არ ჰქონდა რა შეჩერებული საადვოკატო საქმიანო-ბა, მას წებისმიერ დროს შეეძლო განეხორციელებია ანაზღაუ-რებადი სამუშაო მისი პროფესის (ადვოკატის) გათვალისწინე-ბით. აღნიშნულთან მიმართებით კი საგულისხმოა ის გარემოე-ბაც, რომ დაკავებულ თანამდებობასთან პირის საქმიანობის შე-უთავსებლობის აღმოვჩევრის 10-დღიან ვადას აწესებს რა კა-ნონმდებლობა შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის და არა კონკრეტული შედეგის (ინტერესთა შეუთავსებლობა) დადგო-მის მომენტიდან, გარკვეული სახით წინასწარ განსაზღვრავს სამომავლოდ შესაძლო დაბრკოლების თავიდან აცილების შე-საძლებლობას.

ასევე თ. ტ-ემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობი-სათვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ იგი ირიცხებოდა საიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, სანინააღმდეგოდ ამი-სა კი მოპასუხებ წარმოადგინა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის 2013 წლის 29 მაისით და-თარიღებული შეტყობინება.

ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საგარეჯოს მუნი-ციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანება თ. ტ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემუ-ლია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათი-

ლად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

აპელაციი: თ. ტ-ე;

მოწინააღმდეგე მხარე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები:/

გასაჩინიერებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მსჯელობით, სასამართლომ არ გა-ითვალისწინა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი. განსახილველ საქმეზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ წარმო-ადგინა მტკიცებულება იმ ფაქტთან დაკავშირებით, ეწეოდა თუ არა თ. ტ-ე სამენარეო საქმიანობას და ასრულებდა თუ არა ანაზღაურებად სამუშაოს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა და დაეყრდნო მხოლოდ მოპასუხის მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან წარ-მოდგენილ ცნობას, როთაც დასტურდება, რომ თ. ტ-ე არის ად-ვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ სადაც არ გაუხდია, რომ მას, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრს, გავლილი აქვს ტრენინგები ადვოკატთა ასოციაციაში, ასევე ამერიკის იურის-ტთა ასოციაციაში.

საინტერესოა, რატომ არ მისცა სასამართლომ შეფასება იმ ფაქტს, რომ პირად საქმეში არსებობს სერთიფიკატები, დათა-რილებული 2012 წლით, ასევე გამგეობაში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება, სადაც მითითებულია ნომერი №5179, ასევე ინტერვიუ კახეთის საინფორმაციო სამსახურთან 2013 წლის 02 აპრილს, რომ თ. ტ-ე არის ადვოკატი.

სა „...“ №126 საგარეჯოს ფილიალიდან წარმოდგენილი ანგა-რიშის დახურვის შესახებ დოკუმენტი და ამონანერი პირადი ან-გარიშიდან 01.01.11-31.07.13 პერიოდისათვის ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელს არ გაუწევია არაზარი ანაზღაურებადი მომ-სახურება, რაც ეკრძალება საჯარო მოსამსახურეს.

სამართლებრივი: სასამართლო უთითებს „საჯარო სამსა-ხურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებზე თანმდებობ-რივი შეუთავსებლობის შესახებ, მაგრამ იმას აღარ ითვალისწი-ნებს, რომ აღნიშნულ მუხლებში საუბარია თანამდებობის პი-რებზე და არა განყოფილების უფროსებზე, რომელიც არც გამ-გეობას თავის შესაგებელში და არც მოსამართლეს გადაწყვე-ტილებაში არ დაუსაბუთებია, განყოფილების უფროსი ითვლე-

ბა თუ არა თანამდებობის პირად, რადგან იგივე კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალში თანამდებობის პირში იგულისხმებიან რაიონის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელ-მძღვანელები და აგრეთვე რაიონის ადგილობრივი აღმასრულე-ბელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოად-გილები. სასამართლომ არ მისცა შეფასება მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვით-მმართველობის შესახებ“ მე-20 მუხლში ფართოდაა განმარტე-ბული თუ ვინ ითვლება ადგილობრივ თვითმმართველობაში თა-ნამდებობის პირებად. ასევე არ მიაქცია ყურადღება საგარე-ჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-11 მუხლს, სადაც გამგეობის თანამდებობის პირების ჩამონათვალია.

მოწინააღმდეგე მხარეს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას სააპელაციო სასამართლოში წერილობითი შესაგე-ბელი არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზო-ლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა; გაუქმდა სილ-ნალის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტ-ში მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს გადაწ-ყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ტ-ის სარჩელი დაკ-მაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალი-ტეტის გამგებლის 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანება თ. ტ-ის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გა-თავისუფლების შესახებ; თ. ტ-ე აღდგენილ იქნა საგარეჯოს მუ-ნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე; მოპასუხე – საგა-რეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თ. ტ-ისათვის იძულებითი განაცდურის სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპე-ლაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტი-ვები. პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების არ გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავის სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. თ. ტ-ე არ არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სუბიექტი შემდეგი მიზეზების გამო: 1. იგი არ არის სახელმწიფო მოსამსახურე და 2. ასეც რომ იყოს, მას არ უკავია სხვა თანამდებობა და იგი არ ასრულებს ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, არ არის ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ტ-ე სადაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მომენტში სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა თვითმმართველ ერთეულთან – საგარეჯოს მუნიციპალიტეტთან, შესაბამისად, იგი წარმომადგენდა არა სახელმწიფო, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს.

პალატის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი არ საჭიროებს განმარტებას, ნორმა არ არის ბუნდოვანი, ორაზროვანი, ნორმა არ ენინაალმდეგება კანონის მიზნებს; დაუშვებელია, რომ ნორმის განმარტების გზით მისი მოქმედება გავრცელდეს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეებზე; ნორმის ამგვარი განმარტების პირობებში ხდება ნორმის ნამდვილი შინაარსის არასწორი გაგება, კანონმდებლის ნამდვილი ნების უარყოფა, ნორმის არასწორად გამოყენება; კანონმდებლის ნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ტერმინების, ცნებებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების (რომელიც ასახულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლ, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებში) გამოყენების გზით შესაძლებელი იქნებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების/აკრძალვების გავრცელება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეებზეც და რადგან კანონმდებელმა მის

ხელთ არსებული საკანონმდებლო ტექნიკის სხვადასხვა საშუალებების არგამოყენების (ან პირიქით – გამოყენების) პირობებში 64-ე მუხლის 1-ლ პუნქტში აკრძალვის/მოთხოვნის ერთადერთ სუბიექტად მოიხსენია მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურე, ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს მისი სიტყვასიტყვით (და არა განვირცობით) ნაკითხვის გზით.

გასათვალისწინებელია, რომ 64-ე მუხლი მოქცეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავში (სამსახურებრივი მოვალეობანი); მე-4 თავში გაერთიანებული 52-68-ე მუხლების ერთობლიობაში ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ თავით დადგენილი მოვალეობების სუბიექტები, უმრავლეს შემთხვევაში არიან როგორც სახელმწიფო, ისე – ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურები; კერძოდ, მე-4 თავში გაერთიანებულ ნორმათა (და არა მარტო ამ თავის, არამედ მთლიანად კანონის სხვა თავებშიც გაერთიანებული ნორმების) უმეტეს ნაწილში კანონმდებელი იყენებს ზოგად ტერმინს „მოსამსახურე“, რომელშიც მოიაზრება ორივე კატეგორიის მოსამსახურე; მხოლოდ რამოდენიმე ნორმაში – 61-ე, 62-ე, 65-ე, 67-ე და ასევე – 64-ე მუხლში კანონმდებელი, ნაცვლად განმაზოგადებელი ტერმინისა „მოსამსახურე“, იყენებს უფრო კონკრეტული შინაარსის ცნებას – „სახელმწიფო მოსამსახურე“, რაც იმას ნიშავს, რომ უშუალოდ ამ ნორმებით დადგენილი ვალდებულებების, მოთხოვნებისა და აკრძალვების სუბიექტები არიან მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურები; პალატა მიიჩნევს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერმინებით, ცნებებითა და სამართლებრივი ინსტიტუტებით ამგვარი მანიპულაციის პირობებში კანონმდებლის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო სამსახურში მყოფ პირებს (მოხელეთა ჯგუფების) შორის ამა თუ იმ სახის უფლებებისა და მოვალეობების უნიფიკაცია, ან პირიქით – გამიჯვნა/დაყოფა.

სააპელაციო პალატის შეფასებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის არც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება, არც ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანო, ანუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის ისეთი დაწესებულება (ორგანიზაცია), რომელშიც საქმიანობა და თანამდებობაზე ყოფნა აკრძალული აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო მოსამსახურეს. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, იმავე მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: ა) საკრებულო; ბ) გამგეობა, მერია; გ) მუნიციპალიტეტი.

ამდენად, უდავოა, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ არ წარმოადგენს არც სახელმწიფო ორგანოს და მით უმეტეს, არც ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებას.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, მე-2 და მე-4 მუხლების, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, ასევე სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 08.12.2012 წლის №5 საერთო კრების გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების“ თანახმად, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ არის კანონის საფუძვლზე შექმნილი და პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული არც სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების არც ერთ შტოსთან და არც ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

რაც შეეხება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამ უკანასკნელით დადგენილია, რომ ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

ამდენად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი თავისი სტრუქტურით მითითებითი (ბლანკეტური) სახის ნორმაა, ნორმა არ მოქმედებს დამოუკიდებლად, მისი მოქმედება და გამოყენება დასაშვებია სხვა საკანონმდებლო (კანონქვემდებარე ნორმატიული) აქტების შესაბამის ნორმებთან ერთობლიობაში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ქმედითია და შედეგის მომტანი მარტოოდნ, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლთან ერთად და ერთობლიობაში (აგრეთ-

ვე იმ სხვა სახის ნორმებთან ერთობლიობაში, რომლებითაც „სხვა პირებს“, ანუ გარდა „თანამდებობის პირებისა“, აკრძალული აქვთ საადვოკატო საქმიანობა), რაც იმას ნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობის პირებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებსაც პირდაპირ კანონით აქვთ აკრძალული საადვოკატო საქმიანობა; სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტის მოსაზრებას მასზედ, რომ იგი (თ. ტ-ე) სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში თუმცა იკავებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობას, იგი არ გვევლინებოდა თანამდებობის პირად, იქიდან გამომდინარე, რომ ეს თანამდებობა არ არის გათვალისწინებული „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალში.

იმავე მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ამ კანონის IV თავის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ ასევე იგულისხმება ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელთა ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

თუმცა, სააპელაციო პალატამ აქვე განმარტა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა საერთოდაც არ იყო უფლებამოსილი, სადავო აქტის (ბრძანების) სამართლებრივი დასაბუთების მიზნით გამოყენებია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, რადგან ეს უკანასკნელი აწესრიგებს საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ არ შეიძლება იყოს ადვოკატი, აღნიშნული ნორმის ფარგლებში არ არის დადგენილი (ვერც იქნებოდა დადგენილი), თუ ვინ არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. იგულისხმება, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მომენტში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა მოქმედებდა თავისი საჯარო-სამართლებრივი ინტერესების ჭრილში, თუმცა მან აქტის დასასაბუთებლად გამოიყენა ისეთი ნორმა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი), რომელიც იცავს არა მისი, არამედ სხვა, ერთი კონკრეტული სუბიექტის – ადვოკატთა ასოციაციის ინტერესებს; მხოლოდ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის უფლებამოსილი, მიმართოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს და თანაც იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთს უპი-

რისპირდება ასოციაციისა და ასოციაციის წევრის ინტერესები ასოციაციის წევრად ყოფნა-არყოფნის თემაზე; მოცემული საქ-მის ფარგლებში ინტერესთა ასეთ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო პალატის შეფასებით, აპელანტი თ. ტ-ე არ გვევ-ლინება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის სუ-ბიექტად ისევ და ისევ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თანამ-დებობა, რომელსაც თ. ტ-ე იკავებდა სადავო აქტის გამოცემის მომენტში (გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ... გან-ყოფილების უფროსის თანამდებობა) არ შედის (არ შედიოდა) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კო-რუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათ-ვალისწინებულ თანამდებობათა ამომწურავ ჩამონათვალში. უდავოა, რომ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენი-ლი შეზღუდვები არ უნდა გავრცელებულიყო თ. ტ-ეზე, რადგან იგი (აპელანტი) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებ-ლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზ-ნებისთვის არ წარმოადგენდა თანამდებობის პირს.

რაც შეეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლს, თ. ტ-ე ასევე არ არის ამ ნორმის სუბიექ-ტი, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ თ. ტ-ის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქარ-თველოს კანონის 64-ე მუხლით და არც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინე-ბულ სამსახურებრივ/თანამდებობრივ შეუთავსებლობას. შესა-ბამისად, არასწორია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 104-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურში ინტე-რესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის ერთმანეთთან და-კავშირება; კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტით დად-გენილია, რომ „თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალ-დებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკა-ვებიდან 10 დღის ვადაში, თუ კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თა-ნამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა“. საქა-ლაქო სასამართლო დაეყრდნო რა ამ ჩანაწერს, მიიჩნია, რომ თ. ტ-ეს ადვოკატთა ასოციაციის წევრობაზე უარი უნდა ეთქვა ჯერ კიდევ 2011 წლის 04 თებერვლიდან (ანუ თანამდებობაზე გამ-ნესებიდან) 10 დღის ვადაში; რაც სააპელაციო სასამართლოს

შეფასებით დაუშვებელია, რადგან იგი, დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით, არ წარმოადგენდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს და შესაბამისად, მასზე ვერ იმოქმედებდა ამავე კანონის მე-13 მუხლის ვერც ერთი პუნქტი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის განმარტების პირობებშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ თ. ტ-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ამავე კანონის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შეუთავსებლობას, გამგეობა ვალდებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი პროცედურული წესების დაცვით ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო დაინტერესებულ პირს – თ. ტ-ეს სამსახურებრივი შეუთავსებლობის შესახებ თავისი მოსაზრებების წარდგენის, ასევე საჯარო სამსახურში დაკავებული თანამდებობასა და ადგომატა ასოციაციის წევრობას შორის არჩევანის გაევების, ანუ მისი სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების საფუძვლის აღმოფხვრის შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა.

კასატორი: საგარევოს მუნიციპალიტეტის გამგეობა;

მოწინააღმდეგე მხარე: თ. ტ-ე;

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკავილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

მატერიალური: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი, სააპელაციო სასამართლოს განმარტება ეფუძნება სამართლებრივ ნორმათა განმარტების სუბიექტურ თეორიას, გადაწყვეტილებაში მითითებულია კანონმდებლის ნებაზე, რომ რადგანაც კანონმდებელმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტში აკრძალვის ერთადერთ სუბიექტად მოიხსენია სახელმწიფო მოსამსახურე, ნორმის შინაარსი განმარტებული უნდა იქნეს მისი სიტყვა-სიტყვითი წაკითხვის გზით.

კასატორის განმარტებით, არსებობს წორმათა განმარტების სუბიექტური და ობიექტური თეორიები. სუბიექტური თეორიის მიხედვით (რომლებსაც განსახილველ შემთხვევაში ემხრობა სა-

აპელაციო სასამართლოს მოსამართლე) ნორმის შინაარსის განმარტებისას გათვალისწინებულია კანონმდებლის ისტორიული ნება. ნორმის სუბიექტური თეორია არ არის სრულყოფილი და გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომლის აშკარა მაგალითია კონკრეტული შემთხვევა. კანონმდებლის ნება გამოხატული კონკრეტულ ნორმაში არ უნდა ენინაალმდეგბოდეს თავად იმ საკანონმდებლო აქტის ძირითად მიზნებს და ამოცანებს, რომლის შემადგენელი ნაზილიცაა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის განმარტება უნდა მოხდეს ობიექტურად და დადგენილი უნდა იქნეს მისი რეალური შინაარსი ტელეოლოგიური ექსტენზიის გამოყენების გზით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დანესტებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“. აღნიშნული ნორმის განმარტებისას პირველ რიგში უნდა დადგინდეს თუ რას ემსახურება მითითებული ნორმა.

კასატორის განმარტებით, საჯარო მოსამსახურეთა უფლებებისა და მოვალეობების უნიფიცირება ან პირიქით გამიჯვნა არ შეიძლება ჩაითვალოს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ერთადერთ და საკმარის მიზნად. როგორც ცნობილია, მიზანი არის საბოლოო შედეგი, რომელიც მიიღწევა ჯერარსული სამართლის ნორმების არსში განხორციელების გზით. სადაც სამართლის ნორმის მიზანს წარმოადგენს საჯარო ინტერესების დაცვა საჯარო ხელისუფლების განხორციელებისას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის სიტყვა-სიტყვით განმარტება, როგორც ამას ახდენს სააპელაციო სასამართლო, გამოიწვევს ნინაალმდეგობას კანონის მიზნებთან – დაიცვას საჯარო სამსახური ინტერესთა შეუთავსებლობისგან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დანიშნულებაა უზრუნველყოს საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივი უსაფრთხოება, რათა არ მოხდეს საჯარო სამსახურში კერძო ინტერესების, ასევე განსხვავებული საჯარო ინტერესების აღრევა.

კასატორის მითითებით, თუ დავუშვებთ, რომ ზემოაღნიშ-

ნული მუხლი მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეებს ეხება, მაშინ დაუცველი აღმოჩნდება საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებაში ხორციელდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „საჯარო სამსახური საქართველოში ერთიანია, შესაბამისად, სამსახურებრივი შეუთავსებლობის ერთიანი მოთხოვნები წაეყენება ყველა მოხელეს, მიუხედავად იმისა, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეებს. გარდა ამისა სამსახურებრივი შეუთავსებლობა ეხება არა მარტო 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ თანამდებობის (სახელმწიფო სამსახური, სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში, წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოები), არამედ სხვა ნებისმიერი თანამდებობა, გარდა სამენარმეო სუბიექტის საკონტროლო, სამეთვალყურეო, სარეზერვო ორგანოს წევრობისა და მუდმივმოქმედი ხელმძღვანელისა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლი). აღნიშული დასკვნა გამომდინარეობს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, რომელიც წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას და დასაშვებად მიიჩნევს შეთავსებით სხვა ნებისმიერი თანამდებობის დაკავებას ან ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ თ. ტ-ე, თუნდაც ითვლებოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სუბიექტად, მასზე მაინც ვერ გავრცელდება სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები, რადგან მოსარჩელე არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია კი, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო სამართლის კორპორაციას, რაც არასწორია, ვინაიდან, თუ საადვოკატო საქმიანობას კარგად გავაანალიზებთ აშკარა გახდება, რომ საადვოკატო საქმიანობა თავისი არსით ენინაალმდეგება საჯარო სამსახურის ინტერესებს.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საადვოკატო საქმიანობა კი მოიცავს:

ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოიძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა ნევროპაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი კი ცალსახად მიუთითებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებს, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, საადვოკატო საქმიანობა ხორციელდება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონასწორების საფუძველზე კერძო პირთა ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით. საადვოკატო საქმიანობა, რომლის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს ანესრიგებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი, თავისი არსით ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის ინტერესებს. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობა წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევას. საადვოკატო საქმიანობა არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებათა სისტემაში, ამგვარად, გამორიცხულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის 64.3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა,, საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1 მუხლი, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი და მე-10 მუხლები, რამაც საბოლოოდ უკანონო გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ, ასევე არასწორად განმარტა, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, კერძოდ, სადავო ნორმის მიხედვით, ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. სააპელაციო სასამართლოს გამორჩა ტერმინის „კანონმდებლობით ეკრძალებას“ რეალური მნიშვნელობა და ის გააიგივა მხოლოდ პირდაპირ კანონით გათვალისწინებულ აკრძალვასთან, რაც არასწორია, რადგან: 1. საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტს და 2. აუცილებელი არაა საკანონმდებლო აქტში პირდაპირი მითითება, რომ ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა. არასწორად არის გაგებული აგრეთვე თანამდებობის პირს და სხვა პირს შერის კავშირის საკითხიც, სხვა პირი არ ნიშნავს – თანამდებობის პირს, თ. ტ-ე ნარმოადგენდა სწორედ სხვა პირს – ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს და არა თანამდებობის პირს, რაც გათვალისწინებულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით. ამგარად, თ. ტ-ე ნარმოადგენდა სწორედ იმ პირს, რომელსაც ეკრძალებოდა საადვოკატო საქმიანობა, როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით, ისე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, თუ რა კონტექსტში იქნა გამოყენებული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე ამავე კანონის 1-ლი, მე-5 მუხლის „ვ“ და „ბ“ ქვეპუნქტები, მე-20 მუხლი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ №988 ბრძანების დასასაბუთებლად „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების

ბის მართლზომიერებას, კასატორის შეფასებით, ამგვარი მოქმედებით შესაძლებელი გახდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის და ზემოთ მითითებული ნორმის ურთიერთკავშირის დადგენა და იმ ფაქტის გამოკვეთა, რომ საადვოკატო საქმიანობა და სამსახური საჯარო დაწესებულებაში ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს წარმოშობს. გარდა აღნიშნულისა, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ბლანკეტური ხასიათისაა და მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობაზეც.

მონინააღმდეგე მხარემ წარმოდგენილ შესაგებელში არ ცნო კასაცია და მოითხოვა მისი განუხილველად დატოვება, როგორც დაუშვებლის, შემდეგი მოტივით:

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე, ან ნებისმიერი სახის დარღვევაზე. საქმეს არ გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მიღებულია კანონის შესაბამისად და იგი არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან.

არასწორია კასატორის მოსაზრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1. მუხლის განმარტების თაობაზე, რამდენადაც იგი არ იყო სახელმწიფო მოსამსახურე და არ ეკავა სხვა თანამდებობა და არ ასრულებდა სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში და ამავე დროს არ ყოფილა ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, ხოლო აღნიშნულ მუხლში საუბარია სახელმწიფო მოსამსახურეზე და აგრეთვე, ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებაზე, რასაც მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია, რის გამოც გამოირიცხება 64-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა, მითითებულ მუხლში კანონმდებელი იყენებს კონკრეტული შინაარსის ცნებას – „სახელმწიფო მოსამსახურე“, რაც იმის დასტურია. რომ ამ ნორმით დადგენილი ვალდებულების, მოთხოვნისა და აკრძალვის სუბიექტები არიან მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეები. ასევე სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის არც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება, არც ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანო, ე.ი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის ისეთი დაწესებუ-

ლება, რომელში საქმიანობა და თანამდებობაზე ყოფნა აკრძალული აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1. მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო მოსამსახურეს.

მონინაალმდეგე მხარის მოსაზრებით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალი არის ამომნურავი და სრული ნუსხა იმ თანამდებობის პირთა, რომელზეც კანონმდებელი მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში, ხოლო „სხვა პირში“ თუკი კასატორი მოიაზრებს მის თანამდებობას, ეს არასწორია, რადგან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში ჩამოთვლილია ადგილობრივი თანამდებობის პირები – გამგებელი, მისი მოადგილე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები, ხოლო განყოფილების უფროსს კანონმდებელი არსად არ მოიხსენიებს თანამდებობის პირად.

მონინაალმდეგე მხარეს აბსურდულად მიაჩნია კასატორის მტკიცება – ერთი პიროვნების ორ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მუშაობის შესაძლებლობის ჰიპოთეზის შესახებ და მიაჩნია, რომ კასატორი ვერ ახდენს ადვოკატთა ასოციაციის წევრებსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გამგეობაში შტატით გათვალისწინებულ თანამდრომელთა შორის გამიჯვნას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა კ. ხ-მა წერილობითი მოსაზრებით მოითხოვა კასაციის დასაშენებად ცნობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემდეგი მოტივაციით:

საკასაციო საჩივარი დაშვებული უნდა იქნეს, რადგან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, კერძოდ:

1. აუცილებელია სათანადოდ განიმარტოს მოსაზრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1. მუხლის შინაარსი. სირთულეს წარმოადგენს მის დადგენა, თუ რა მიზანს ემსახურება ეს ნორმა და საკმარისად უნდა ჩაითვალოს თუ არა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ნორმის მიზანი საჯარო სამსახურში მყოფი პირების ამა თუ იმ სახის უფლებებისა და მოვალეობების უნიფიკაცია ან პირიქით, გამიჯვნა/დაყოფა. კასატორის აზრით, ამგენრი განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმის ერთადერთ და საკმარის მიზანდ, რადგან მიაჩნია, რომ ნორმის მიზანს წარმოადგენს საჯარო ინ-

ტერესების დაცვა საჯარო ხელისუფლების განხორციელებისას;

2. საქმის ობიექტურად გადაწყვეტისთვის საჭიროა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1. მუხლი განხილული იქნეს ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე მე-4 თავისა და 64-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან ერთობლიობაში, რა დროსაც უნდა დადგინდეს, საკარისა თუ არა მხოლოდ ნორმის სუბიექტური განმარტების თეორიის გამოყენება;

3. აუცილებელია განიმარტოს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთავგებადია თუ არა საადვოკატო საქმიანობა და იმავდროულად საჯარო სამსახურში საქმიანობა შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის დასაბუთებულობის პირობებში რით განსხვავდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა, როგორც საჯარო დაწესებულებათა ინტერესები;

4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64.1. მუხლი მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურებს ეხება. მსჯელობის მართებულობის პირობებში პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: დასაშვები იქნება თუ არა ერთი პიროვნების ორ სხეადასხვა მუნიციპალიტეტში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მუშაობა, ან არსებობს კი რეალობაში ამგვარი შემთხვევა, თუ ნორმის მოქმედება სააპელაციო სასამართლოს ინტერპრეტაციით ხდება, სინამდვილეში რატომ არ არის ამგვარი შედეგი.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური ნამდლვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის საკასაციო საჩივრი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით, თ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამდეობის 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის ნორმა, შედეგად, საქმეზე დაადგინა დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

კასაციის დაშვების წანამდლორის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:

წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის რიგი მუხლები და შეაფასოს კანონის შინაარსთან რამდენად შესაბამისად იყენებს მათ თვითმმართველობის ორგანო.

საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტის გავრცელების ფარგლების განსაზღვრა საჭიროებს საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების არსისა და მიზნის გარკვევას, შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის სამართლებრივი შეფასება, შედეგის (სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) კანონიერების დადგენა, შესაძლებელია, მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების სტატუსის, მათი უფლება-მოვალეობების, კანონით განსაზღვრული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად.

წინამდებარე საკასაციო საჩივრის მოტივი, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც სადავო სამართალურთიერთობაში გამოსაყენებელი ნორმების მიმართ საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აპსოლუტური კასაციის წანამდლვრები, შესაბამისად, მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, წი-

ნამდებარე საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული თვითმმართველობის მოსამსახურის სტატუსი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სტანდარტის გამოყენება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში;

2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სამსახურებრივი შეუთავსებლობის დამდების ნორმების სუბიექტთა წრე;

3. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანამდებობრივი შეუთავსებლობის დამდების ნორმების სუბიექტთა წრე;

4. საჯარო სამსახურში სამსახურებრივი შეუთავსებლობისა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის სტანდარტის დადგენის მიზანი;

5. საჯარო სამსახურში დასაქმებული ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებული ადვოკატის სამსახურებრივი თავსებადობის (შეუთავსებლობის) საკითხი;

6. განიმარტოს შრომით – სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოსამსახურის გათავისუფლების გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის სამართლებრივი წესი და განისაზღვროს მისი მიღების სტანდარტი.

ნინამდებარე საქმეში მოსარჩევე თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეა, რომელიც ადმინისტრაციამ გაათავისუფლა სამსახურიდან სამსახურებრივი შეუთავსებლობის საფუძლით.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი და შეფასება მისცა საქართველოს საჯარო სამსახურის დაწესებულებებში მთელ რიგ ტენდენციებს და დამკვიდრებულ პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 მაისის განჩინება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1635-1209(კ-05) კ. ს-ას სარჩელისა გამო, მოპასუხეების – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ტყიბულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიმართ; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 9 იანვრის განჩინება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-475-452(კ-06) დ. გ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის – აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს მიმართ; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის

განჩინება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-651-626(კ-13) ი. პისა და ო. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, მესამე პირების – ქ. ს-ისა და ო. ბ-ის მონაწილეობით; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-463-451(კ13) 6. მ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ), სადაც სამართალუროთიერთობის შინაარსი საჭიროებს განმაზოგადებელ მსჯელობას სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტთან დაკავშირებით, ამ მიმართებით რამდენად არის დაცული საჯარო მოსამსახურეთა შრომითი უფლებები, რამდენად პასუხობს სახელმწიფოს საჯარო მმართველობის სისტემა მმართველობის კანონიერების სტანდარტს, როგორც ნორმატიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელოდ რეკომენდდირებული სასამართლო შეფასებები და დასკვნები დღემდე სასამართლო აქტებში არ ასახულა, რის გამოც იგი ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემის მომავალი პრაქტიკისათვის და საჯარო მოხელეთა უფლებების განმტკიცებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ქვემდგომმა სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი დასკვნები, რაც ადასტურებს სამოხელეო სამართლის ინსტიტუტების თაობაზე დეტალური და სახელმძღვანელო განმარტებების მოხდენის საჭიროებას.

დავა წარმოშობილია საჯარო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციასა და თვითმმართველობის მოსამსახურებს შორის.

1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პრეამბულაშივე ახდენს დეკლარირებას, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადგილობრივი თვითმმართველობაში სამსახური ამ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით განეკუთვნება საჯარო სამსახურის ერთ-ერთ სახეს, რამდენადაც საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია და ეს სისტემა საქართველოს საჯარო შრომითი ურთიერთობების მოდელს წარმოადგენს. სწორედ ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამასახურის ცნებას, სახეებს, სამსახურში მიღების, დაწინაურების, წახალისების, დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებს და მათი დაკისრების, სამსახურიდან გათავისუფლების კრიტერიუმებს, სტანდარტებს, პროცედურასა და წესებს, შესაბამისად, ამავე კანონითვე არის დადგენილი საჯარო მოსამასახურეთა უფლება-მოვალეობათა ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო.

საკასაციო სასამართლო სადაცო სამართალურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს თვითმმართველობის მოსამასახურეს, რომლის სამართლებრივი მდგომარეობას განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. ამავე კანონის 2.4 მუხლის მიხედვით გამგობაში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, 4.2 მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფ პირს განიხილავს და მიიჩნევს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამასახურედ. შესაბამისად, მის მიმართ სრულად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი გარანტიები, როგორც საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „მოსამასახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა“ (მუხლი 13.5 „ი“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, როგორც სამოხელეო სამართალი, ასევე მუნიციპალური სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს, შესაბამისად, მათი მომწერლი გენერალური კანონმდებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს და იგი უნდა პასუხობდეს და შესაბამებოდეს ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების განმსაზღვრელ ძირითად სტანდარტს.

საჯარო მოსამასახურე წარმოადგენს საჯარო მმართველობაში დასაქმებულ პირს, რაც გულისხმობს, რომ იგი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, აღჭურვილი და გარანტირებული მოცემული სამართლის ინსტიტუტებით, უფლებამოსილებებითა და სტანდარტებით ისევე,

როგორც, დატვირთული ამ სამართლით დადგენილი საჯარო ვალდებულებების აღსრულებით.

2. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო სამსახურში სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხის განსაზღვრა არ-სებითი და პრინციპულია საჯარო სამსახურის სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირებისათვის.

სამსახურებრივი შეუთავსებლობის ცნება თავის არსში გულისხმობს იმგვარ ვითარებას, როცა საჯარო მოსამსახურის საქმიანობა კონფლიქტშია საჯარო სამსახურის მიზნებთან, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება შესაბამისი კვალიფიკაციის მოხდენა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე დავის კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტა საჭიროებს რამდენიმე საკანონმდებლო აქტის, კერძოდ: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის სამსახურებრივი შეუთავსებლობის დამდგენი ნორმების შინაარსის დეტალურ ანალიზს, ვინაიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 04 ივნისის №988 გასაჩინოებული ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე, 93-ე, 104-ე, 110-ე, 127-ე მუხლები;

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი;

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის 1-2 პუნქტები;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით განსაზღვრულია საჯარო სამსახურებრივი შეუთავსებლობის პირობები, რომლის ტექსტის მიხედვით ცალსახაა, რომ ნორმის სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურე.

კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით იგი დიფერენცირებულია სახელმწიფო სამსახურის და ადგილობრივ თვითმმართველობაში სამსახურის სახეებად.

ამავე კანონის მე-4 მუხლით საჯარო მოსამსახურის ცნება

მოიცავს სამსახურის ორივე სახეს, ამავდროულად მე-2 პუნქტით სახელმწიფოსთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი საჯარო მოსამსახურე იწოდება სახელმწიფო მოსამსახურედ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირი – ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურედ.

ცალსახაა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის არც ერთი ნორმა არ შეიცავს სტანდარტს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის სამსახურებრივ შეუთავსებლობად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საკითხის გასარკვევად აუცილებელია მსჯელობა – კანონის ნებასადა და მიზანზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მითითება გამომდინარეობს კანონის ნებიდან, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურე არის შებოჭილი სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტით და ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მეორე სახის – ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის მიმართ, თუ კანონის 64-ე მუხლის სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მითითება უნდა შეფასდეს, როგორც საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპის უგულებელმყოფი საკანონმდებლო ხარვეზი და იგი უნდა დაიძლიოს სამოსამართლო სამართლის ანუ სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის მეშვეობით.

ამ თვალსაზრისით უპირველესად უნდა გაანალიზდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავი „სამსახურებრივი მოვალეობანი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია 64-ე მუხლი. აღსანიშნავია, რომ კანონის ამ თავის 52-56-ე, 58-61-ე და 66-ე მუხლების სუბიექტს წარმოადგენს – „მოსამსახურ“, რომელშიც მოიაზრება როგორც სახელმწიფო, ასევე თვითმმართველობის მოსამსახურებს;

კანონის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 57-ე და 63-ე მუხლების სუბიექტს წარმოადგენს „მოხელე“, რომლის სახეებს ამავე კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენს სახელმწიფო მოხელე და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე;

მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ დადგენილი შეზღუდვები და აკრძალვები მოწესრიგებულია კანონის ამავე თავის 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე, 64-65-ე და 67-ე მუხლებით.

იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ ამ ნორმებით კანონის

ნებას წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ შეზღუდვებისა და აკრძალვების განსაზღვრა, ასეთ შემთხვევაში, სახეზე გვექნება, რომ მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეს ეკრძალება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პარტიული საქმიანობისათვის /61-ე მუხლი./, მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეს ეკრძალება იმ ორგანიზაციებიდან შემოსავლის მიღება, რომლებსაც სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების წესით უწევს ზედამხედველობას /62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი/, მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეს ეზღუდება განთავისუფლების დღიდან ვ წლის მანძილზე დასაქმება იმ დაწესებულებასა და საწარმოში, რომელსაც იგი სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად / 65-ე მუხლი/ მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მასობრივ აქციებში მონაწილეობის საკითხი რეგულირდება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით (თავის მხრივ, 1997 წლის 12 ივნისის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: ეს კანონი აწესრიგებს პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას – წინასწარი წებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარალოდ, როგორც ჭერქვეში, ისე გარეთ, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად: „ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლება არ ვრცელდება შეიარაღებული ძალების, შეიარაღებული სამართალდამცავი ორგანოების, სპეციალური და გასამხედროებული დაწესებულებების მოსამსახურებზე“ /კანონის 1.07.2011. რედაქცია/, აღნიშნულ კანონში გამოყენებულია ტერმინი – მოსამსახურე, თუმცა, ჩამოთვლილი სამსახურებში დასაქმებულები უდავოდ სახელმწიფო მოსამსახურებს წარმოადგენენ).

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის „სამსახურებრივ ზედამხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვა“ ტექსტი, რომლის 1-ლი პუნქტის სუბიექტის მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო მე-2 პუნქტისას – მოხელე წარმოადგნენს.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავის „სამსახურებრივი მოვალეობანი“ ნორმების საფუძველზე ასკვნის, რომ კანონმდებელმა მოწესრიგების სუბიექტის განსაზღვრისას აშკარად მოახდინა დიფერენცირება და ნორმის ადრესატებად რიგ შემთხვევებში დაადგინა მოსამსახურე, მოხელე, სახელმწიფო მოსამსახურე. საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მის-

ცეს საკანონმდებლო აქტში ადრესატების დიფერენცირების კრიტერიუმს, მისი კანონზომიერებისა და კანონის მიზნის დადგენის გამოსარკვევად, რაზეც საკასაციო სასამართლო იმსჯელებს ქვემოთ.

3. 1997 წლის 17 ოქტომბრის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით ეს კანონი ადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე არეგულირებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის სამართლებრივ პირობებსა და მექანიზმს (კანონის 27.03.2009. №1157 რედაქცია, ამოქმედდა 2009 წლის 1 ივნისიდან).

კანონის მე-2 მუხლში მოცემულია ტერმინ – „თანამდებობის პირის“ დეფინიცია შესაბამისი სუბიექტების ჩამონათვალით (ამომწურავი ჩამოთვლის პრინციპის („Numerus clauses“) გამოყენებით), თუ ვის განიხილავს ამ კანონის მიზნებისთვის თანამდებობის პირად, მათ შორის, 1-ლი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტში მითითებულია: საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე და რაიონის გამგების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კანონის 5.02.2014 №1973 რედაქცია, ამოქმედდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან).

ამავე კანონის მე-2¹ მუხლის (კანონის 27.03.2009. №1157 რედაქცია, ამოქმედდა 2009 წლის 1 ივნისიდან). 1-ლი პუნქტის მიხედვით დადგინდა, რომ ამ კანონის მიზნებისათვის, საჯარო მოსამსახურ არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურე, აგრეთვე, პირი, რომელიც საქმიანობს სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრებულ დაწესებულებაში, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საჯარო მოსამსახურედ არ ჩაითვლება დამხმარე მოსამსახურე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული კანონის ნორმების შინაარსის ანალიზის შედეგად განმარტავს, რომ საჯარო მოსამ

სახურე წარმოადგენს ამავე კანონის მე-3; მე-5; მე-5¹; მე-5²; მე-20¹ და მე-20³ მუხლების სუბიექტს, ხოლო III თავის – თანამდებობრივი შეუთავსებლობა მე-13 მუხლის მოთხოვნის ადრე-სატს მხოლოდ ამავე კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები წარმოადგენენ, რომელთა შორის ადგილობრივი თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სო-სუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) და მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი /„ფ“ ქვეპუნქტი/ და თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) მერი, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებლები და მათი მოადგილეები არიან/ „ქ“ ქვეპუნქტი/ (2012 წლის 29 ივნისის საკანონმდებლო ცვლილება). ზემოთ მოყვანილია კანონის 2014 წლის რედაციის ტექსტი, რომლის მიხედვით სუბიექტთა წრე გაზრდილია რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სახით.

საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მოცემულ საკანონმდებლო აქტშიც კანონმდებელმა მოწესრიგების სუბიექტის განსაზღვრისას აშეარად მოახდინა დიფერენცირება და ნორმის ადრესატებად რიგ შემთხვევებში დაადგინა ერთი მხრივ, საჯარო მოსამსახურე, მეორე მხრივ, თანამდებობის პირი.

4. საჯარო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განმარტავს, რომ საკანონმდებლო აქტებში გამოყენებულია სხვადასხვა სამართლებრივი ცნებები, კერძოდ, სამსახურებრივი შეუთავსებლობა და თანამდებობრივი შეუთავსებლობა. მოცემული ცნებების შინაარსისა და ნინაპირობების შესწავლის შედეგად უნდა გაირკვეს: კანონის მიზანს ერთგვაროვანი მიღებობის დამკაიდრება წარმოადგენს, თუ სტანდარტის გავრცელებისა და მოქმედების სუბიექტთა დიფერენცირება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე შემთხვევაში კანონის მიზანი ზოგადად, საჯარო ინტერესის უზრუნველმყოფი – საჯარო სამსახურის მიზნებთან შეუსაბამო საქმიანობის აკრძალვაა, ამასთან, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის სტანდარტი მხოლოდ საჯარო სამსახურის თანამდებობის პირთა მიმართ გამოიყენება, მაშინ როცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე

მუხლი გავრცელდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუ-
თავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანო-
ნის თანამდებობის პირის ჩამონათვალში მოცემული სუბიექ-
ტების (თუ ისინი ამავდროულად წარმოადგენენ სახელმწიფო
მოსამსახურებსაც) მიმართაც.

დადგენილია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ
სადაცო აქტით მოსარჩელის ქმედების კვალიფიკაციისას გამო-
იყენა ორივე საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული შეუთავ-
სებლობის სტანდარტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინალური
შეხედულებებით დასაბუთებულია, რომ კანონშემოქმედებით
საქმიანობაში კანონმდებელი შებოჭილია კონსტიტუციის ღი-
რებულებითი სტანდარტებით, სამართლის ნორმის შექმნისას
იგი ითვალისწინებს ამა თუ იმ ურთიერთობისათვის დამახასია-
თებელ თავისებურებებს, სამართლის ნორმის ადრესატების დი-
ფერენცირებისას კრიტერიუმის განსაზღვრა უნდა მოხდეს ღი-
რებულებითი შეფასების გზით, რა დროსაც გათვალისწინებუ-
ლი უნდა იქნეს ის მიზანი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, როდესაც სამარ-
თლის ნორმის ადრესატების ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფთან შე-
დარებით განსხვავებულად განიხილება, მოწესრიგების ლოგი-
კიდან გამომდინარე ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავე-
ბა უნდა ამართლებდეს დადგენილ უთანასწორობას, კავშირი
დიფერენცირების ნიშანსა და განსხვავებულად განხილვას შო-
რის უნდა იძლეოდეს რაციონალური ახსნის შესაძლებლობას და
სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არ-
სებული განსხვავების პროცესული უნდა იყოს.

შეფასებითი კრიტერიუმის მიხედვით, თანაზომიერების
სტანდარტის დარღვევა სახეზეა, მაშინ როდესაც: ა) დიფერენ-
ცირებულად განიხილება ერთნაირი შემთხვევები, გონივრული
და ობიექტური საფუძვლების გარეშე და ბ) არ არის დაცული
თანაზომიერება მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ
საშუალებას შორის.

კანონის წების გასარკვევად საკასაციო სასამართლომ უნ-
და შეაფასოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კა-
ნონის მე-4 თავის „სამსახურებრივი მოვალეობანი“ ნორმების
ადრესატების დიფერენცირების დადგენისას სახელმწიფო მო-
სამსახურესა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსა-
ხურეს შორის, ასევე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავ-
სებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის
ნორმების ადრესატების დიფერენცირების დადგენისას საჯა-

რო მოსამსახურესა და თანამდებობის პირს შორის განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტი არის თუ არა არსებული ფაქტობრივი განსხვავებულობის პროპორციული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ადრესატების დიფერენცირების დადგენის ლოგიკა უნდა აიხსნას თანამდებობის პირის მიმართ გაცილებით მეტად და მაღალი სტანდარტის განსაზღვრის საჭიროებით, ასე მაგ.: კანონის მე-4 თავის მხრივ თანამდებობის პირის ვალდებულებას განეკუთვნება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა, მაშინ როცა ამ კანონის მე-2 თავისა და მე-3 თავის მე-13 მუხლის 1-6 პუნქტების მოთხოვნების გაუვრცელებლობა საჯარო მოსამსახურის მიმართ შეუძლებელია საჯარო მოსამსახურესა და თანამდებობის პირს შორის არსებული ფაქტობრივი განსხვავებულობის პროპორციულად იქნეს მიჩნეული, რამდენადაც მე-7 – მე-10 მუხლების შინაარსის გათვალისწინებით გაუგებარია ადრესატთა დიფერენცირების აუცილებლობა.

სააპელაციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავის „სამსახურებრივი მოვალეობაზი“ ნორმების ადრესატების დიფერენცირების დადგენასთან დაკავშირებით განმარტა: „კანონით დადგენილი ტერმინებით, ცნებებითა და სამართლებრივი ინსტიტუტებით ამგვარი მანიპულაციის პირობებში კანონმდებლის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო სამსახურში მყოფ პირებს (მოხელეთა ჯგუფების) შორის ამა თუ იმ სახის უფლებებისა და მოვალეობების უნიფიკაცია, ან პირიქით – გამიჯვნა/დაყოფა“.

საკასაციო სასამართლო გარკევულნილად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი არ არის ბუნდოვანი, ორაზროვანი, თუმცა ვერ გაიზიარებს შეფასებას, რომ ნორმა არ ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს, რომ ნორმის განმარტების გზით მისი მოქმედების გავრცელება ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეებზე, დაუშვებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ხდება კანონმდებლის ნამდვილი ნების უარყოფა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკანონმდებლო აქტებით საჯარო სამსახურში სამსახურებრივი შეუთავსებლობისა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის სტანდარტის დადგენით განისაზღვრა სამართლის პოლიტიკა საჯაროსამსახურებრივ ურთიერთობებში, რაც გამომდინარეობს საჯარო სამ-

სახურის ინსტიტუციონალური დანიშნულებიდან, საჯარო სამსახურის კანონიერი ფუნქციონირება უშუალოდ ეფუძნება და განაპირობებს საჯარო მმართველობის კანონიერების სტანდარტის მიღწევას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის მასშტაბები დღის წესრიგში აყენებს საჯარო ადმინისტრირების სისტემის მისადაგებას, შესაბამისად, რეფორმის აუცილებლობას, რამდენადაც სწორად ორგანიზებული და ფუნქციონირებადი საჯარო სამსახური დიდწილად განაპირობებს სახელმწიფოში მდგრად პოლიტიკურ პროცესებს, საჯარო ადმინისტრირების კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მოსამსახურებს სწორედ რომ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საშინაო პოლიტიკის სტაბილურად გატარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სამსახურში სამსახურებრივი შეუთავსებლობისა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის სტანდარტის დაგენა პერსონალური პასუხისმგებლობის (რომლის გარეშე არ არსებობს არც ერთი სამსახური, მით უმეტეს საჯარო სამსახური) სახეებისა და ფარგლების დადგენას ნიშნავს. საჯარო მოსამსახურე უმნიშვნელოვანესი პერსონაა, რამდენადაც მათი კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება განსაზღვრავს ერთს მსახურების კულტურის დამკვიდრებას, რაც განაპირობებს ეროვნული საჯარო მმართველობის მოდელის ჩამოყალიბებას, როგორც ქართველი ხალხის ბიუროკრატის პოლიტიკური და კულტურული ისტორიის შედეგს, ვინაიდან სახელმწიფოში ადმინისტრირების სისტემის ამა თუ იმ სახით განვითარება უშუალო კავშირშია ტრადიციებთან, მათ შორის, მმართველობითი ურთიერთობების ფორმების, სტილის, ხასიათის, საზოგადოდ, მმართველის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გამტარებელი პერსონის მიმართ ტრადიციულად ჩამოყალიბებულ წარმოდგენებსა და მოლოდინებთან.

თანამედროვე ევროპული გამოცდილების მიხედვით არაერთი სახელმწიფო ითვალისწინებს თავის ქვეყნის სპეციფიკურ ისტორიას, პოლიტიკურ ფაქტორებს და ამის საფუძველზე აყალიბებს საჯარო მმართველობის მოდელს და მართვის სტილს.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არა-ერთგზის იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

წინამდებარე საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართვე-

ლოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლითაც საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა თანამედროვე საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში ბიუროკრატიის როლს, მის მნიშვნელობას საქართველოს სახელმწიფოს და მმართველობის ავტორიტეტის შექმნაში, კერძოდ:

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების ტემპი და ხარისხი დიდწილად არის დამოკიდებული საჯარო სამსახურის თანამედროვე, ეპოქის შესაბამისი სტანდარტებით ფუნქციონირებაზე, ვინაიდან საზოგადოების წევრების, კანონით გარანტირებული, როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების სრულფასოვანი რეალიზაცია უდევს საფუძვლად სახელმწიფოსა და ხალხის სიმტკიცეს, თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, განაპირობებს მატერიალური დოკუმენტის შექმნას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ეკონომიკურ-საფინანსო ინსტიტუტების შექმნას, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლას და აღორძინებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ახალი თაობებისთვის განვითარებისა და წინსვლის უკეთესი ნიადაგის მომზადებას და ა. შ.“

„საჯარო სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის საზოგადოების, მისი თითოეული წევრის კანონით დაცული ინტერესების მომსახურება, რისი გაუთვიცნობიერებლობა, ვალდებულებათა ჯეროვანი შეუსრულებლობა უშუალოდ აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე, ნაცონალური იდენტობის ხარისხზე, საკუთარი ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის თანაგანცდაზე, რომლის გარეშე საფრთხე ექმნება დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას.“

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო სამსახური თითოეული საჯარო მოსამსახურის შეგნებაში უნდა განიხილებოდეს, როგორც საპატიო მისია – ემსახურო, პირადი წვლილი შეიტანო საკუთარი ერის და სახელმწიფოს ანმყოს გაუმჯობესებაში, პატივი მიაგო მის წარსულს და აქტიური მონაწილეობა მიიღო უკეთესი მომავლის საძირკვლის ჩაყრაში, ამავდროულად, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა პირის კვალიფიკაციის გაზრდისა, სათანადო უნარ-ჩვეულების გაღრმავებისა, პროფესიული და მორალური ავტორიტეტის შექმნისა.

საჯარო მოსამსახურის მსოფლმხედველობის ადეკვატურო-

ბა თანამედროვე დემოკრატიულ მოთხოვნებთან, დაახლოებს და შეაკავშირებს საზოგადოებისა და ხელისუფლების ინტერესებს, მისწრაფებებს. ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სოლიდარობის მიღწევას, გააძლიერებს თანასწორუფლებიანობის განცდას, საზოგადოებრივი და სოციალური ჯგუფების კონსოლიდირებას, ზოგადად, სახელმწიფო სისტემის მდგრადობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე საქართველოს საჯარო მოსამსახურებს ეკუთვნით გადამწყვეტი სიტყვა, თუ რომელი ტიპის სახელმწიფოს შექმნის ქართველი ერი XXI-ე საუკუნეში. სწორედ პროგრესულ საჯარო მოსამსახურეთა კასტა უზრუნველყოფს მთელი ერის ინტერესების მსახურების სტანდარტის და სამართლებრივი ტრადიციის დამკვიდრებას, სწორედ მათი პრინციპულობა და შეუვალობა განსაზღვრავს საზოგადოების სწორი განვითარების დინამიკას, კანონიერი ადმინისტრირების შექმნის და დაფუძნების, ადამიანის უფლებების დაცვის უმნიერესი პრობლემების გადაწყვეტას“.

2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე საქმე №ბს-463-451(კ-13) ნ. მ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, საქართველოს უზენაესში სასამართლომ აღნიშნა: „საკასაციო სასამართლო თანამედროვე ევროპული სტანდარტებისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ სწორად ორგანიზებული და ფუნქციონირებადი საჯარო სამსახური არის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტური მმართველობის განხორციელების წინაპირობა. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესების, მიკერძოებულობის, არაეთიკური ქცევისა და დისკრეციის არ დაშვების გარეშე. საზოგადოების თანამონაწილეობის ხარისხი და მასშტაბი მმართველობის განხორციელებაში დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოსადმი, მისი ინსტიტუტებისადმი ნდობის, რწმენის ხარისხზე. მოსახლეობის ნდობის კოეფიციენტს კი რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, გამჭვირვალობა, კანონიერება, პროფესიონალიზმის დაფასება, ხელშეწყობა, წალისება, ობიექტურობა და ა. შ.“

„საკასაციო სასამართლო განმარტავს: სწორედ თანამედროვე ქართული ბიუროკრატია, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, განხორციელებული მოქმედებანი აყალიბებს საქართველოს სახელმწიფოს იმიჯს და ამ პასუხისმგებლობის გასიგრძეგანება თითოეული საჯარო მოსამსახურის (ნებისმიერი რან-

გის) საჯარო და პერსონალურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის სწორი მსოფლიმხედველობის ფორმირების, საჯარო სამსახურის მიზნებისა და როლის ჯეროვანი გაცნობიერების გარეშე შეუძლებელი გახდება ქვეყანაში კანონიერი ადმინისტრირების ორგანიზება, რომლის რეალიზების ხარისხი განაპირობებს საქართველოსა და მისი მოსახლეობის პროგრესულ განვითარებას ცხოვრების ყველა სფეროში“.

საჯარო სამსახურის უმნიშვნელოვანესი ამოცანების მიღწევის მიზნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის XV თავის – სახელმწიფო პოლიტიკა სამსახურის სფეროში, მიხედვით სახელმწიფო პოლიტიკას სამსახურის სფეროში განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, ხოლო საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და საჯარო სამსახურის სფეროში კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადების მიზნით, საქართველოს მთავრობასთან იქმნება საჯარო სამსახურის საბჭო /128-ე მუხლი/, რომელიც საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოა (კანონის 20.09.2013. №1262 რედაქცია). საჯარო სამსახურში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობას, თანამდებობის პირების თანამდებობასთან შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების ღონისძიებებს, თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი და ფინანსური რესურსების დეკლარირების ადმინისტრირებას კი სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო ახორციელებს (129-ე მუხლი) /კანონის 12.06.2009. №1178 რედაქცია/, რაც თავის მხრივ, მოიცავს საჯარო სამსახურში ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის დამკვიდრების, პირადი ინტერესების სამსახურებრივ (სახელმწიფო) ინტერესებთან შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, მოსამსახურის სამსახურისადმი დამოკიდებულების სტანდარტების ჩამოყალიბებისთვის სათანადო ღონისძიებების გატარებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოსამსახურები საქართველოში საქმიანობას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ თვითმმართველ ინსტიტუტებში. შესაბამისად, პერსონალის როლი ქვეყნის მართვასა და პოლიტიკაში საქმაოდ მაღალია. კანონიერი ადმინისტრირების სტანდარტი სახელმწიფოში ჯერ კიდევ 1999 წელს მიღებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგინდა. საქართვე-

ლოს უზენაესმა სასამართლომ 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ, აღნიშნა:

„ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სამოხელეო სამართალი, პრინციპებთან, როგორიცაა – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძობლობის, საქვეყნოობის, საიდუმლოების და ა. შ. სრულ შესაბამისობაში 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული – საქართველოში საჯარო სამსახურის პრინციპები, კერძოდ:

- * საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება;
- * საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;
- * ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;
- * საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უზარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად;
- * მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
- * საქვეყნოობა;
- * საჯარო სამსახურის უპარტიობა და საერო ხასიათი;
- * მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;
- * მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

აღნიშნული პრინციპების დადგენით კანონმდებელი ხაზს უსვამს საჯარო სამსახურის მიზნის და დანიშნულების მნიშვნელობას, მის გავლენას საზოგადოების ინტერესებზე, ხოლო საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი და მორალური ვალდებულებები ამავე პრინციპების კონტექსტში კონცენტრირებულია საჯარო მოსამსახურის ფიცის ტექსტში /მუხლი 28-ე/

საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერ აღსრულებას ემსახურება ქცევის ზოგადი წესების ანუ სპეციალური ეთიკის განსაზღვრა კანონის ახალი VI¹ თავის ნორმების დადგენით /2010 წლის 1 იანვარი/.

მითითებული ნორმების შინაარსი აყალიბებს თანამედროვე საქართველოს საჯარო მოსამსახურის პროფესიულ სახეს,

მთლიანად საჯარო სამსახურის იმიჯს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონიერი საჯარო მმართველობის კრიტერიუმების საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან პირნათლად შესრულება პირდაპირ და პროპორციულად აისახება ზოგადად ეროვნული მმართველობისადმი საზოგადოების ნდობის მოპოვებაზე, რომლის ტემპი დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ აღიარებული სტანდარტების დაცვის ხარისხზე, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა. სწორედ ადამიანის უფლებების შეღახვის, კორუფციის, უთანასწორობისა და დასერიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბები განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს, როგორც საჯარო პოლიტიკის წარმართვაუნარიანი ორგანიზმის ფუნქციონირების ფაქტს, რომელიც ვერ შედგება მთავრობასა და საზოგადოებას შორის წნევნისა და ნდობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გარეშე, რისი ერთ-ერთი ინდიკატორი კეთილსინდისიერი მმართველობა და კვალიფიციური საჯარო მოსამსახურები არიან, რომელთა პროფესიონალიზმი, ფართო გაგებით უნდა დავუკავშიროთ საზოგადოებრივ და კულტურულ კონტექსტს, რომელიც ქმნის ისეთ გარემოსა და პირობებს, სადაც ინტეგრირების პროცესები ფორსირებულად მიმდინარეობს, ხოლო ინტერესთა კონფლიქტის (ნებისმიერ ფორმაში გამოვლენილს) შემთხვევები და დონე სახელმწიფოს მასშტაბით კულების ტენდენციას ატარებს.

ამდენად, საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტის დადგენულ უშუალოდ ემსახურება საჯარო სამსახურის მიზნისა და ინსტიტუციონალური დანიშნულების განხორციელებას, საზოგადოების ინტერესებზე მისი ზეგავლენის ფაქტორის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლომ განსახილველი დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით უნდა იმსჯელოს ერთი მხრივ, 1. საჯარო – სამსახურებრივი შეუთავსებლობის სუბიექტების დიფერენცირების მიზანი გამომდინარეობს თუ არა საჯარო – სამსახურებრივი ურთიერთობის კანონისმიერი მოწესრიგების მიზნიდან და უზრუნველყოფს თუ არა მის მიღწევას, და მეორე მხრივ, 2. გამოსაყენებელი ნორმატიული დანაწესების კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

1. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რამდენადაც საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია, რაც თავის არსში მოიცავს საერთო საჯარო – სამსახურებრივი მიზნის არსებობას, რომ-

ლის მიღწევას კანონმდებელი მთელი რიგი სამართლებრივი ინ-სტიტუციებისა და სტანდარტების დამკვიდრებით უზრუნველ-ყოფს, მათ შორის, საჯარო – სამსახურებრივი შეუთავსებლო-ბის ინსტიტუტით, შეუძლებელია დავასკვნათ, რომ ამ კონკრე-ტულ შემთხვევაში კანონის მიზანს სამართლის ნორმის ადრე-სატების ერთი ჯგუფის (თვითმმართველობის მოსამსახურე), სხვა ჯგუფთან (სახელმწიფო მოსამსახურე) შედარებით გან-სხვავებულად განხილვა წარმოადგენდა, ვინაიდან მოწესრიგე-ბის ლოგიკიდან გამომდინარე ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება ვერ ამართლებს დადგენილ უთანასწორობას, კავ-შირი დიფერენცირების ნიშანა და განსხვავებულად განხილ-ვას შორის არ იძლევა რაციონალური ახსნის შესაძლებლობას და სამართლებრივად განსხვავებული შედეგები არ არის ფაქ-ტობრივად არსებული განსხვავების პროპორციული, შემდეგ გა-რემოვებათა გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვით-მმართველობის შესახებ“ ნორმებით საერთოდ არ არის დადგე-ნილი თვითმმართველობის მოსამსახურის სამსახურებრივი შე-უთავსებლობის სტანდარტი, განსაზღვრულია თანამდებობრი-ვი შეუთავსებლობის სტანდარტი თვითმმართველობის რამდე-ნიმე თანამდებობის პირის მიმართ. ანალოგიური ვითარებაა დღეისათვის მოქმედი – 2014 წლის 5 თებერვლის საქართვე-ლოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ტექსტშიც.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას კანონის განმარტების პროცესში არსებითა გაირკვეს არა კანონმდებლის ნება, არა-მედ კანონის ობიექტური მიზნები (კანონის ნება). საჯარო – სამ-სახურებრივი შეუთავსებლობის, როგორც ინტერესთა კონ-ფლიქტის პრევენციის ინსტიტუტის დადგენისას საკასაციო სა-სამართლოს შეფასებით, კანონის ნება გამომდინარეობს საჯა-რო – სამსახურებრივი ურთიერთობების დაცვის მიზნიდან, ანუ ნორმის მიზანი ბიუროკრატიისთვის იმგვარი სტანდარტის დად-გენა, რომელიც გამორიცხავს, მინიმუმამდე დაიყვანს საჯარო სამსახურის პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობას, როგორც თვისობრივად შეუსაბამოს, ერთი მხრივ, საჯარო მმართველობის ამოცანებთან, მეორე მხრივ, მმართველობის განმხორციელებელი პირისადმი საზოგადოების ლეგიტიმურ მოლოდინებთან.

საკასაციო სასამართლო საჯარო სამსახურის მოწესრიგე-ბელი კანონმდებლობის ამოცანებიდან გამომდინარე, საჯარო – სამსახურებრივი ურთიერთობების განვითარების ხარისხის

შესწავლისა და გაანალიზების შედეგად მიდის იმ შეფასებამ-დე, რომ ისეთი მსოფლმხედველობრივი საკითხი, როგორიცაა ხალხის მიერ დაქირავებული საჯარო მოსამსახურის საქმიანო-ბის კეთილსინდისიერების სტანდარტი, საჯარო სამსახურის პი-რადი კეთილდღეობის მისაღწევად გამოყენების მცდელობების ტენდენცია, საჭიროებს პრევენციული ინსტიტუტების კვალი-ფიციურ გაგება-გამოყენებას კანონის ნების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში მდგომარეობს საჯარო-სამსახუ-რებრივი შეუთავსებლობის, როგორც ბიუროკრატიის არაკე-თილსინდისიერი ქმედებების შემაკავებელი სტანდარტის დად-გენაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახუ-რის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავის „სამსახურებ-რივი მოვალეობაზე“ ნორმების ადრესატების სახელმწიფო მო-სამსახურესა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსა-ხურეს დიფერენცირების დადგენის კანონის ნებად დაკალი-ფიცირება მიგოყვანს იმ დასკვნამდე, რომ მაგ.: ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს უფლება აქვს/ექნება თა-ვისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის, რაკი ამ კანონის 61-ე მუხლის სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეა დადგენილი. ამგვარი დას-კვნა პირდაპირ და ცალსახად ენინაალმდეგება საჯარო სამსა-ხურის ფუნდამენტურ პრინციპს – საჯარო სამსახურის უპარ-ტიობა; ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახუ-რეს უფლება აქვს/ექნება მიიღოს შემოსავალი იმ ორგანიზაცი-ებიდან, რომლებსაც სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულე-ბის წესით უწევს ზედამხედველობას, რაკი ამ კანონის 62-ე მუხ-ლის 1-ლი პუნქტის სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფო მოსამ-სახურეა დადგენილი; ანალოგიური ვითარებაა კანონის 65-ე მუხლის ტექსტშიც.

ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (რომლითაც დაკვალიფიცირე-ბულია გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტში თვითმმართველობის მოსამსახურის ქმე-დება) შინაარსის მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ გაგება-გამოყენება მიგვიყვანს იმგვარ კონტექსტამდე, რომ ად-გილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს უფლება აქვს/ ექნება ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებ-დეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგი-ლობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნების-მიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგა-

ნოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ეს პრაქტიკულ შემთხვევაში განხორციელდება ამგვარად, მაგ.: თერჯოლის რაიონის გამგეობის იურისტი ან ფინანსისტი, ნებისმიერი თვითმმართველობის მოსამსახურე იმავდროულად შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი, ან აფხაზეთის ან/და აჭარის ა/რ პარლამენტის წევრი, სამინისტროს ან სასამართლოს საჯარო მოსამსახურე, ან ვანის რაიონის საკურადულოს წევრი. სამართლის ამ ნორმის მიზანი თუ ის არის, რომ სახელმწიფო მოსამსახურე არ შეიძლება იმავდროულად ასრულებდეს სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, რაღოგიყით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე შეიძლება იმავდროულად ასრულებდეს სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, რამდენადაც სახელმწიფო ორგანოში დასაქმება ან გარკვეული დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრობა მყისიერად ინვევს სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსის მინიჭებას, გაუგებარია და ობიექტურ ახსნას არ ექვემდებარება.

შეუძლებელია, კანონის ნებად მივიჩნიოთ ამგვარი დაშვება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსს, ან სხვადასხვა, რამდენიმე თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის სტატუსს პირი ერთდროულად ატარებდეს. ასევე, საჯარო სამსახურის არსთან შეუთავსებელია ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დანართის იმგვარი გამოყენება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს უფლება არა აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს, განსხვავებით სახელმწიფო მოსამსახურისაგან, რაკი ნორმის სუბიექტად მხოლოდ იგია მითითებული. ამგვარი გაგებით აღმოჩნდება, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის მოსამსახურეს ეკრძალება იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს, ხოლო სახელმწიფო მოსამსახურეს – არა, ანუ ადგილობრივ თვითმმართველობის მოსამსახურისთვის გაცილებით მაღალი და მკაცრი სტანდარტი იქნება დადგენილი.

იმისთვის, რომ მკაფიო გახდეს, თუ რა მასშტაბებს მიიღებს კანონის განმარტება-გამოყენების ზემომითითებული ლოგიკა, უნდა შევისწავლოთ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის – თვით-

მმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები (კანონის 28.12.2009. №2515 რედაქცია, მოქმედებს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან), რომლის მე-2 პუნქტის (თვალსაჩინოებისთვის მოგვყავს სრული ტექსტი) მიხედვით, ესენია:

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრძელვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განსახორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება; დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განსახორციელების მიზნით კანონით განსაზღვრული იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, საგაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა; მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა კანონით დადგენილი წესით; საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საგზაო მოძრაობისა და ავტოსატრანსპორტო გადაყვანის რეგულირება, კანონით დადგენილი ნებართვების

გაცემა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება (15.12.2010. №4056); გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება; გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობისა და კანალიზაციის მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამუშაოთა ნარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (16.03.2012. №5857); თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა; თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება; ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება; მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის-გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (12.07.2013 №824); თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების

ჯანსალი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება; თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება; შეკრებების, მიწინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება; ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია „ა“ – „ძ“ ქვეყნებტები/.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის ნების ამგვარი გაგება-გამოყენება, რაც გამოიწვევს შესაბამისი სამართლებრივი მიზანის და მიზანის უზრუნველყოფას, პრინციპულად ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ პირველივე მუხლში დეფინირებული ტერმინის – ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობას, კერძოდ: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“ /„ა“ პუნქტი/.

ადსანიშნავია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის №515 – II ს დადგენილებით) პრეამბულის შესაბამისად: „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენს ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს; მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის; სხორცედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია; ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა; ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს

დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის“, ხოლო საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავის „სამსახურებრივი მოვალეობანი“ ნორმების ადრესატების სახელმწიფო მოსამსახურესა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს შორის დიფერენცირების დადგენის გონივრული საფუძველი და ობიექტური ლოგიკა არ არსებობს, კანონის ნების გარკვევა ნორმის ტექსტის სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდით უსარგებლოა, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ნორმის მოქმედება ვერ გავრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომელთა სუბიექტებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურენი წარმოადგენენ და რომლის რეგულირებაც კანონის აშკარა მიზანს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო სამართლის ნორმის განმარტების ცნებისა და მეთოდების შესახებ დოქტრინის საფუძველზე განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის კანონის მიზანთან, სამართლის შემთხვევებისაგან და ეს სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების კეთილსინდისიერი მსახურების სტანდარტი, თანაბრად ვრცელდება საჯარო სამსახურის ორივე სახის მიმართ, რაკი ამ სამართლებრივი დაცვის მიღმა შეუძლებელია დარჩეს სრულიად თვითმმართველობის სისტემა და მეტიც, რისკი შეექმნას სახელმწიფო სამსახურში მისი უზრუნველყოფის გარანტიებს, შესაბამისად, როგორც ამ მუხლში, ასევე 62-ე

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მიზანი არის საჯარო სამსახურისა და მთლიანად საჯარო მმართველობის დაცვა სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევებისაგან და ეს სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების კეთილსინდისიერი მსახურების სტანდარტი, თანაბრად ვრცელდება საჯარო სამსახურის ორივე სახის მიმართ, რაკი ამ სამართლებრივი დაცვის მიღმა შეუძლებელია დარჩეს სრულიად თვითმმართველობის სისტემა და მეტიც, რისკი შეექმნას სახელმწიფო სამსახურში მისი უზრუნველყოფის გარანტიებს, შესაბამისად, როგორც ამ მუხლში, ასევე 62-ე

მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე, 65-ე მუხლების მოთხოვნების ადრესატად მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მითითება უნდა შეფასდეს, როგორც საკანონმდებლო ხარვეზი და დაძლეულ იქნეს სასამართლოსათვის მინიჭებული კონსტიტუციური ფუნქციის – სამართლის ნორმის პროგრესული, ლოგიკური და დინამიური ინტერპრეტაციის უფლებამოსილების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იდენტური ვითარებაა 1997 წლის 17 ოქტომბრის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლში, რომლის მოთხოვნის ადრესატს მხოლოდ ამავე კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები წარმოადგენ, რომელთა შორის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურებიდან მხოლოდ „თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) და მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარები და მათი მოადგილები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარები და საკრებულოს მდივანი „ფ“ ქვეპუნქტი/ და თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) მერი, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებლები და მათი მოადგილები არიან /ქ/ ქვეპუნქტი/ (2012 წლის 29 ივნისის საკანონმდებლო ცვლილება). ზემოთ მოყვანილია 2014 წლის რედაქციის ტექსტი, რომლის მიხედვით სუბიექტთა წრესთან დაკავშირებით პირდაპირ დათემაა გაკეთებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ IV თავის – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები, მე-20 მუხლში ჩამოთვლილია ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები: а) საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე; ბ) საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარები; გ) საკრებულოს ფრაქციითა თავმჯდომარები; დ) მუნიციპალიტეტის გამგებელი და თვითმმართველი ქალაქის მერი; გამგებლის (მერის) მოადგილე (მოადგილები); ე) გამგების (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგების (მერიის) რწმუნებული.

საინტერესოა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მიხედვით რიგი თა-

ნამდებობის პირების, კერძოდ: 33-ე მუხლის მე-7 პუნქტით საკრებულოს თავმჯდომარის, 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის, ხოლო 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის შეუთავსებლობის საკითხია მოწესრიგებული.

ამ ორი საკანონმდებლო აქტის ნორმების შედარებით თვალსაჩინოა, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები არასრულადაა მოცემული „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლში, რაც ბუნებრივია, კანონის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული და, ასევე, უნდა შეივსოს სამოსამართლო სამართლის საფუძველზე.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ადრესატების დიფერენცირების დადგენისას საჯარო მოსამსახურესა და თანამდებობის პირს შორის განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტი არის თუ არა არსებული ფაქტობრივი განსხვავებულობის პროპრიციული, ასევე უნდა შეფასდეს საჯარო სამსახურის მიზნისა და ამოცანების მიღწევაში საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი სტატუსის როლისა და პასუხისმგებლობის ტვირთის გამორკვევის შედეგად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული კანონის ნორმების შინაარსის ანალიზის შედეგად განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუ კანონის III თავის – თანამდებობრივი შეუთავსებლობა მე-13 მუხლის მოთხოვნის ადრესატს მხოლოდ ამავე კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები ნარმოადგენენ და ეს სტანდარტი არ უნდა გავრცელდეს მე-2 მუხლის ჩამონათვალის მიღმა დარჩენილი საჯარო მოსამსახურების მიმართ, მივიღებთ შემდეგ ნორმატიულ და ფაქტობრივ ვითარებას: რაკი მხოლოდ თანამდებობის პირს ეკრძალება – ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელი სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო სანარმოში, ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ სანარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამ-

დებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება; ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში; ფლობდეს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება; იყოს რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში რომელიმე სახაზინო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე ან მზრუნველი (1-6 პუნქტები), ხოლო საჯარო მოსამსახურები არ წარმოადგენს რა ამ ნორმის ადრესატებს, მათ ეს მოთხოვნები არ წაეყინებათ, შესაბამისად, უფლება აქვთ, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში; ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამენარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება და ა.შ., რაც ბუნებრივია, შეუძლებელია კანონის ნამდვილ ნებას წარმოადგენდეს და შესაბამისად, საჯარო სამსახურის სისტემისა და მთლიანად საჯარო მმართველობის კანონიერი და მიუკერძოებელი განხორციელების რაიმე სტანდარტს პასუხობდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ადრესატების დიფერენცირების დადგენისას საჯარო მოსამსახურესა და თანამდებობის პირს შორის განსხვავებული სამართლებრივი სტანდარტის არსებული ფაქტობრივი განსხვავებულობის პროპორციულიობის შემთხვევებზე უკვე იმსჯელა ზემოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოყვანილი საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოწესრიგებას მიიჩნევს შეუსაბამოდ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის კანონშემოქმედებითი პროცესის კვალიფიციურად შესრულების ვალდებულებასთან.

სამსახურებრივი შეუთავსებლობის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის ცნებების სამართლებრივი შემადგენლობის, სუბიექტთა წრის არაკვალიფიცი-

ურ მოწესრიგებას საკასაციო სასამართლო უკავშირებს საჯარო სამსახურის თვისობრივი რეფორმის განუხორციელებლობას, მოხელის ინსტიტუტის კლასიფიკაციის (პროფესიული საჯარო მოხელე; ვადიან ადმინისტრაციულ შრომით – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე; დამხმარე (დაქირავებული) მუშავი და უმაღლესი საჯარო მოხელე) სისტემის არარსებობას, რომელიც დამახასიათებელია ევროპის მრავალი ქვეყნის საჯარო სამსახურებისათვის. სწორედ მოხელეთა კლასიფიკაცია უდევს საფუძვლად მოხელეთა შეუთავსებლობის სტანდარტის და ფარგლების განსაზღვრას.

საკასაციო სასამართლო თანამედროვე ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლისა და ანალიზის შედეგად აღნიშნავს, რომ დღეისათვის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფო ებში არსებობს მთელი რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც განსაზღვრავს საჯარო – სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტს. საგულისხმოა, რომ საჯარო დაწესებულებებს ფუნქციური სპეციფიკადან გამომდინარე გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილება, თავად განსაზღვრონ სამსახურებრივი შეუთავსებლობის, ინტერესთა კონფლიქტის დამატებითი კრიტერიუმები შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ან ხელშეკრულებებში, იმ ვალებულების უზრუნველყოფით, რომ დადგენილი სავალდებულო ქცევის წესი იმთავით ვე ცნობილი უნდა გახდეს საჯარო მოსამსახურეთათვის.

2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე (საქმე №ძს-463-451(კ-13) ნ. მ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ), საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: „ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობით, ჯერ კიდევ არ არის გამიჯნული საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების კატეგორიები პროფესიული საჯარო მოხელისა და ვადიანი ადმინისტრაციული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნიშნით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროფესიული საჯარო მოხელე ეპროპული გამოცდილების მიხედვით არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება ან აირჩევა საჯარო მმართველობის განმახორციელებელ დაწესებულებაში შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელის თანამდებობაზე“.... „პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი არის საჯარო სამსახურის სტაბილურობის გარანტი, ხოლო მეორე კატეგორია აერთიანებს პირებს, რომელიც საჯარო მმართველობის განმახორციელებელ საშტატო თანამდებობაზე ინიშნება პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლე-

ბამოსილების ვადით, რადგან მას უკავია ისეთი თანამდებობა, რომლის ფუნქციათა განხორციელებაც პილიტიკური თანამდებობის პირის შეხედულებებსა და მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს“. ... „აღნიშნულ პირებთან შრომითი ურთიერთობა წესრიგდება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმით, რამდენადაც სუბიექტზე ხდება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების დელეგირება და ის ექცევა საჯარო სამსახურის პრინციპების მოქმედების სფეროში (მაგ: ერთგულების პრინციპი, სამსახურეობრივი შეუთავსებლობა) და მათზე ვრცელდება სამართლებრივი დაცვის გარანტიები – ადმინისტრაციული მართლმასაჯულება“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო პრაქტიკაში იშვიათი არ არის ამგვარი შემთხვევები, როცა ნორმები წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. სადაცო სამართლურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების წინააღმდეგობრივი ბუნება სასამართლო ინტერპრეტაციის შედეგად უნდა დაიძლიოს. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ იმსჯელა თავის გადაწყვეტილებებში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, მათ შორის: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-906-192-(კ-05) დ. ა-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არანინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებლი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხასიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს“.

საკასაციო სასამართლო განსახილველ დავაზე ქვემდგომი სასამართლების მიერ სამართლის ნორმის რადიკალურად განსხვავებული განმარტებების ჩამოყალიბების (რაიონულმა სა-

სამართლომ არ მიიჩნია მართებულად გამოსაყენებელი ნორმატიული დანაწესების სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის, ხოლო საპელაციო სასამართლომ – განვრცობითი განმარტების მეთოდის გამოყენება) გამო ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის ინტერპრეტაციისას ეროვნულმა სასამართლოებმა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყონ ამ უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილების კვალიფიციური გამოყენება, რათა სამართლის შეფარდება კონსტიტუციური მართლწესრიგისა და ღირებულებითი სტანდარტების უზრუნველყოფის კონტექსტში განხორციელდეს.

5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს საჯარო სამსახურში დასაქმებული, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული ადვოკატის სამსახურებრივი თავსებადობის (შეუთავსებლობის) საკითხი.

მოცემული დავის კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს საჯარო სამსახურის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, რამდენად თავსებადია ადვოკატის საჯარო მოსამსახურის, ისევე, როგორც საადვოკატო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით საჯარო მოსამსახურის ადვოკატის სტატუსში ერთდროული ყოფნა.

საკასაციო სასამართლო საადვოკატო საქმიანობის არსის და დანიშნულების გათვალისწინებით განმარტავს, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის ძირითადი ელემენტია, რის გამოც ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპს დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში. ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპის უზრუნველყოფა, თავის მხრივ, განაპირობებს ნდობისა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვის გარანტიას.

გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (მიღებულია გაერთიანებული ერების მერვე კონგრესის მიერ დანაშაულის აღმოფხვრისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ, პავანა, 27 აგვისტო – 7 სექტემბერი, 1990 წელი) განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად (მე-12); კლიენტის წინაშე ადვოკატთა მოვალეობაა:

ა) რჩევა მისცეს კლიენტს მისი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, კლიენტის უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში სამართლებრივი სისტემის მოქმედების შესახებ; ბ) დაქმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად; გ) დაქმაროს კლიენტს სასამართლოს, ტრიბუნალისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე (მე-13); ადვოკატებმა, მათი კლიენტების უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების ინტერესების ხელშეწყობისას, უნდა განამტკიცოს საერთაშორისო და შიდა-სახელმწიფოებრივი სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და ყოველთვის უნდა იმოქმედონ თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად (მე-14); ადვოკატებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ თავიანთი კლიენტის ინტერესებს (მე-15). ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. კერძოდ, მათ უფლება აქვთ მონანილობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან, ასევე, უფლება აქვთ შეუერთდნენ ან შექმნან ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და დაესწრონ მათ შეკრებებს, რაც გამომდინარეობს მათთა სხვა მართლზომიერი ქმედებებიდან ან სხვა კანონიერი ორგანიზაციების წევრობიდან, ყოველგვარი პროფესიული შეზღუდვების გარეშე. ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად (23-ე).

საინტერესოა 24-ე პრინციპის შინაარსი: ადვოკატებს უფლება აქვთ შექმნან თვითმმართვადი პროფესიული გაერთიანება საკუთარი ინტერესების წარმოდგენის, განათლებისა და პროფესიონალიზმის ხელშეწყობისა და მათი პროფესიული ღირსების დაცვის მიზნით. პროფესიული გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო არჩეულ უნდა იქნეს მისი წევრების მიერ და მოქმედებდეს ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის REK(2000)21 მე-3 პრინციპის – ადვოკატის როლის და მოვალეობების (1-ლი პუნქტი) მიხედვით, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს „დამოუკიდებლად, გულდასმით და სამართლიანად“ და ეყრდნო-

ბოდეს პროფესიული გაერთიანებების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და ქცევის კოდექსს, იგივე პრინციპი (მე-3 პუნქტი, „დ“ ქვეპუნქტი) ადვოკატებს ავალდებულებს, თავიდან აიცილონინტერესთა კონფლიქტი.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.1.1. მუხლით დადგინდილი პრინციპის თანახმად, ადვოკატის პროფესია მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან. კოდექსი პირდაპირ უთითებს გავლენის ორ სახეზე: „გავლენა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი ინტერესებიდან“ და გავლენა „გარეშე ზენოლისაგან“, ხოლო 2.5. მუხლის – შეუთავსებელი საქმიანობა 2.5.1. პუნქტით დადგენილია: იმისათვის რომ ადვოკატმა მისი ფუნქციები აუცილებელი დამოუკიდებლობის დაცვით და ისეთი ფორმით შესარულოს, რომელიც მის მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის ვალდებულებას შეესაბამება, მას ეკრძალება გარკვეული სახის საქმიანობა. 2.7 მუხლის მიხედვით: „პროფესიული ქცევის წესებისა და კანონების პირნათლად დაცვით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესები პირადი ან იურიდიული პროფესიის წევრების ინტერესების წინ დააყენოს“, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით კოდექსი უთითებს: კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტის არსებობის, ან ასეთის მნიშვნელოვანი რისკის არსებობის, ნდობის დარღვევის რისკის არსებობის, ადვოკატის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობის და მსგავს გარემოებებზე (მუხლი 3.2.).

აღსანიშნავია, რომ უნივერსალური და რეგიონალური ორგანიზაციის დოკუმენტებში ადვოკატის დამოუკიდებლობა ძირითადად აღიქმება, როგორც დამოუკიდებლობა სახელმწიფოს ზემოქმედებისგან.

2001 წლის 20 ივნისის საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის იმპერატიული დანაწესის მიხედვით საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ადვოკატი.

ადვოკატი არის: а) თავისუფალი პროფესიის პირი;

б) ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს;

გ) განევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ადვოკატის მიმართ დადგენილი მოთხოვნები ჩამოყალიბებულია კანონის მე-10 მუხლში, ხოლო ამ მუხლის მოთხოვნებ-

თან შეუსაბამობის, რისი დროული აღმოჩენაც გამოიწვევდა ად-ვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმას, გამოვ-ლენა ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, ამავე კანონის 213-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-8 მუხლის ინტერესთა შეუთავსებლობა, 1-ლი პუნქტის თანხმად ადვო-კატი ვალდებულია, არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით დაუშ-ვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრუ-ლება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსა-მართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამარ-თლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექ-სპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუ-სის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწი-ნებული სხვა უფლებამოსილებანი.

ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრუ-ლია, რომ „ადვოკატი არ შეიძლება, იმავდროულად იყოს „საჯა-რო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინე-ბული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებ-ლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელე-ბა“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მი-ერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული ადვოკატთა პროფე-სიული ეთიკის კოდექსის 1-ლი მუხლის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკი-დებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესე-ბის პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლო-ბა, კოლეგიალობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მე-2 მუხლით დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი: 1. ად-ვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზენოლი-საგან, მათ შორის, მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილე-ბა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. (08.12.2012.) 2. ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სა-სამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინ-

ტერესების სასარგებლოდ (08.12.2012.), ხოლო მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში (08.12.2012 წლის რედაქციით).

აღსანიშნავია, რომ ს.ს.ი.ძ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე №057/10, აღნიშნა: „7.12. ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: „სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისაგან, მათ შორის, სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე“ (www.gba.ge).

საკასაციო სასამართლო ზემომითობებულის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ საქართველოში პრაქტიკოსი ადვოკატები ფართო გაგებით, ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ, ადვოკატები, რომლებიც დამოუკიდებლად საქმიანობენ და ადვოკატები, რომლებიც საჯარო ხელისუფლების (ვგულისხმობთ, საჯარო დაწესებულებათა იურიდიულ სამსახურებს) სექტორში მხედარდენ, ეს უკანასკენები, პროკურორთა ჩათვლით, როგორც წესი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არ არიან. აგრეთვე, ქვეყანაში ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების სამსახური, რომელში დასაქმებული ადვოკატები, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაცვის ადვოკატები, ჰიბრიდულ კატეგორიას მიეკუთვნებიან, კერძოდ: ისინი მთავრობის მიერ არიან დაქირავებული, მაგრამ ამავდროულად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან. მხედველობაშია მისაღები, რომ ისინი არ იძენენ საჯარო მოსამსახურის სტატუსს. 2007 წლის „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით: იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, ხოლო მე-6 პუნქტის თანახმად, იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები მოქმედებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-18 მუხლით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა, ასე, მაგ.: ადვოკატს უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამენარმეო იურიდიული პირის სახით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გარდა აღნიშნულისა, ასევე, მნიშვნელოვანია მსჯელობა ისეთ სტრუქტურაზე, რომერიცაა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 24-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანო – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არასუბობის შემთხვევაში 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა, მე-2 პუნქტის მიხედვით: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ასევე კანონის მიხედვით საერთო კრება ირჩევს (და ათავისუფლებს) ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან, რომელიც იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას, კრება აგრეთვე ირჩევს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოქმედი კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას, პირი იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ პრაქტიკულ საადვოკატო საქმიანობას არ ახორციელებდეს. ზოგადად, ორგანიზაციის წევრობას ირგვარი ხასიათი გააჩნია, წევრობის აქტიური და პასიური ფორმები. მიუხედავად იმისა, პირი პრაქტიკულ საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს თუ არა, პასიური წევრობის საფუძველზე იგი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საერთო კრებაში.

საერთო კრების კომპეტენცია საკმაოდ სოლიდურად გამოიყერება, რის გამოც უნდა დაისვას კითხვები: რამდენად თავსებადია, რომ საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილე-

ბებში მონაწილეობას იღებდნენ საჯარო მოსამსახურეები, თუკი გავიზიარებთ მოსარჩელის ლოგიკას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატის იმავდროულად საჯარო მოსამსახურედ მუშაობის თავსებადობის თაობაზე, მისაღებია თუ არა ეს თავად ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუტისათვის, როგორც პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ინტერესებისთვის, ის გარემოება, რომ საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობას მიიღებენ საჯარო მოსამსახურეები, უნდა შეფასდეს თუ არა ამგვარად, რომ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი საჯარო მოსამსახურეების მონაწილეობით ადვოკატთა ასოციაციის ორგანოების არჩევაში არათუ ირიბ, არამედ პირდაპირ მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო, რომელიც საქართველოს შემთხვევაში, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტს, რამაც შეიძლება განაპირობოს, როგორც ცალკეული ადვოკატის, ასევე მთლიანად კორპორაციის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკი.

იმ პირობებში, როცა კანონის მიხედვით ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას იღებს ასოციაციის სახსრებიდან და მას თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა, ე.ი. ის იმავდროულად არ შეიძლება პრაქტიკოსი ადვოკატი იყოს, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ლოგიკური ვერ იქნება დასკვნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატები შეიძლება, იმავდროულად იყვნენ საჯარო მოსამსახურეები და ანაზღაურებას იღებდნენ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან, ამგვარი შეხედულების ლეგიტიმაცია კიდევ უფრო მიუღებელი გახდება, თუ განვავითარებთ ამგვარ დაშვებას, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედაც კი შეიძლება, აირჩეს ადვოკატი, რომელიც იმავდროულად იქნება საჯარო მოსამსახურე.

ამდენად, სამართლებრივი შედარების საგანია ადვოკატის საქმიანობის პრინციპები რამდენად თავსებადია საჯარო სამსახურის პრინციპებთან და მიზნებთან, რომლის მიხედვით საჯარო სამსახურის უპირველეს ლირებულებად განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულების პრინციპი, რომელიც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმთავითვე გამორიცხავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, კონფიდენციალობის, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპების რეალიზაციის შესაძლებლობას, მით უფრო მათი ერთობლიობაში

უზრუნველყოფის ჰიპოთეზას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპი სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას და შექმნას ქმედითი მექანიზმები ადვოკატის დამოუკიდებლობის სტანდარტის, როგორც ნორმატიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით და სრულიად მიუღებელია სხვადასხვა, თვისობრივად განსხვავებული ინსტიტუტების ამოცანებისა და მიზნების სათანადო, საფუძვლიანი გააზრების გარეშე კანონის ნების შეუსაბამო სასამართლო განმარტებების მეშვეობით პრინციპულ დონეზე გამიჯნული პროფესიული სტატუსების – საჯარო მოსამსახურისა და ადვოკატის სამსახურებრივი თავსებადობის დამკაიდრება.

იმისთვის, რომ უკვე საჯარო სამსახურის მიზნების რაკურსიდან გავარკვიოთ ადვოკატი შეიძლება თუ არა იმავდროულად მუშაობდეს საჯარო სამსახურში, უნდა გავაანალიზოთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი მუხლები, მათ შორის, საინტერესოა მე-17 მუხლით გათვალისწინებული საჯარო სამსახურში პირის მიღების გამომრიცხავი გარემოებები, რომლის მიხედვით საადვოკატო საქმიანობა ჩამონათვალში არ შედის.

ამავე კანონის მე-3 თავით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის უფლებები და გარანტიები, რომელთა დიდი ნაწილი შრომით-სამართლებრივ უფლებებს ეხება. კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით აღიარებულია საჯარო მოსამსახურის უფლება – გაერთიანდეს პროფესიულ კავშირებში, ხოლო მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლების რეალიზაცია რეგლამენტირებულია, კერძოდ, ეს შესაძლებელია სამსახურის-გან თავისუფალ დროს, რაც ნიშნავს არსამუშაო საათების პერიოდში მონაწილეობის უფლებას.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დათქმულია, რომ საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთავის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები, ისე შესაბამისი გამონაკლისი.

როგორც განსახილველ დავაში გამოსაყენებელი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ნორმებით, ასევე დღეისათვის მოქმედი – 2014 წლის 5 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ტექსტშიც თვითმმართველობის მოსამსახურის დამატებითი უფლებები, გარანტიები ან გამონაკლისები დადგენილი არ არის.

საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე განმარტა „საჯარო

სამსახურის „შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მიზანი, რაც არის საჯარო სამსახურისა და მთლიანად საჯარო მმართველობის დაცვა სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევებისაგან და დაასკვნა, რომ ეს სამართლებრივი ინტერესებს კეთილსინდისიერი მსახურების სტანდარტი, თანაბრად ვრცელდება საჯარო სამსახურის ორივე სახის მიმართ, რაკი ამ სამართლებრივი დაცვის მიღმა შეუძლებელია დარჩეს სრულიად თვითმმართველობის სისტემა და მეტიც, რისკი შეექმნას სახელმწიფო სამსახურში მისი უზრუნველყოფის გარანტიებს, შესაბამისად, როგორც ამ მუხლი, ასევე 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე, 65-ე მუხლების მოთხოვნების ადრესატად მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურის მითითება უნდა შეფასდეს, როგორც საკანონმდებლო ხარვეზი და დაძლეულ იქნეს სასამართლოსათვის მინიჭებული კონსტიტუციური ფუნქციის – სამართლის ნორმის პროგრესული, ლოგიკური და დინამიური ინტერპრეტაციის უფლებამოსილების მეშვეობით.

ზემომითითებული სასამართლო დასკვნიდან გამომდინარე, თვითმმართველობის მოსამსახურის მიმართ ვრცელდება რა სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტი, მუხლის არც ერთი პუნქტი პირდაპირი გაგებით არ მოიაზრებს საადვოკატო საქმიანობის დაუშვებლობის შემთხვევას. თუმცა, ამავდროულად, ასეთის დასაშვებად მიჩნევისთვის გამოსადევი არ არის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესიც, რამდენადაც განსაზღვრული უფლება – იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდულების გათვალისწინებით, მე-3 პუნქტშივე შეზღუდული, კერძოდ, ასეთი დასაშვებია მხოლოდ იმავე დანესებულების სისტემაში, რასთან დაკავშირებითაც სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატმა მოსამართლემ დასაბუთებულად იმსჯელა გადაწყვეტილებაში.

„საჯარო სამსახურის „შესახებ“ საქართველოს კანონის VI¹ თავის ნორმებით /2009 წლის 12 ივნისის საკანონმდებლო ცვლილება/ განისაზღვრა საჯარო მოსამსახურეთათვის ქცევის ზოგადი წესები ანუ სპეციალური ეთიკის სტანდარტები. აღნიშნული თავის 73⁴-ე მუხლით დადგენილია ქცევის ზოგადი წესები ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, რაც გულისხმობს, რომ ინტერესთა შეუთავსებლობა იმავდროულად საჯარო სამსახურის ეთიკური პრინციპია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივი

ტერმინის – ინტერესთა შეუთავსებლობის დეფინიცია მოცე-მულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კონუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში და მისი მნიშვნელობა განსაზღვრულია ამგვარად: „ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ არის საჯა-რო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების და-პირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან.

რამდენადაც კანონის დანარჩენ ტექსტში არ გვხვდება, თუ რას მიიჩნევთ კანონმდებლობა „სხვა პირადი ინტერესების და-პირისპირებაზე“ ან რას მოიცავს და რა ფარგლებს, ცხადი ხდე-ბა, რომ ნორმა საჭიროებს განმარტებას, როგორც კანონის ნე-ბის, ისე საზოგადოდ საჯარო სამსახურის ინტერესების განსაზ-ღვრის თვალსაზრისით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73⁴-ე მუხლით დადგენილი საჯარო სამსახურის ეთიკური პრინციპის – ინტერესთა შეუთავსებლობის უზრუნველსაყოფად მე-2 პუნ-ქტით განვითარილია საჯარო მოსამსახურის გალდებულებები, ეკრ-ძოდ:

ა) ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძ-ლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე;

ბ) მიიღოს ზომები ნებისმიერი ინტერესთა შეუთავსებლო-ბის შემთხვევის დაუშვებლობისათვის;

გ) განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესა-ბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე (არჩევამდე) ან დანიშვნის (არჩევის) შემდეგ, როგორც კი ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გახ-დება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თა-ვის – სამსახურიდან გათავისუფლება, ნორმებით დადგენილია საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების სა-ფუძვლები, მათ შორის, 98-ე მუხლში განვითარილია მოხელის და-კავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები, რომელთა შინაარსის მიხედ-ვით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამგვარ საფუძ-ვლად „ა-“-„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული არ არის ინტერესთა შეუთავსებლობის, სამსახურებრივი შეუთავსებლობის ან თა-ნამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახუ-რის სამსახურებრივი შეუთავსებლობის სტანდარტის მიღწევას ემსახურება ამავე კანონის 105-ე მუხლის – განთავისუფლება სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით, დანაწე-სი, კერძოდ, 1-ლი პუნქტის მიხედვით მოხელე თანამდებობი-

დან თავისუფლდება, თუ იგი აირჩიეს ან დანიშნეს სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე, გარდა შემთხვევისა, როდესაც იგი ირჩევა ან ინიშნება სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი სანარმოს მართვისა და ზედამხედველობის ორგანოს წევრად. მუხლის მე-3-4 პუნქტების მიხედვით ამ საფუძველზე განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე, თუ იგი აირჩიეს ან დანიშნეს სხვა შესაბამის სახელმწიფო თანამდებობაზე, არ წყვეტს სამსახურებრივ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, ... თუ განთავისუფლებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე აირჩიეს ან დანიშნეს ამავე ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში სხვა თანამდებობაზე, იგი არ წყვეტს სამსახურებრივ ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ერთეულთან.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ ზემომითითებული ნორმები არ არის გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2001 წლის 20 ივნის საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-2 მუხლის მიხედვით განმარტებულია საადვოკატო საქმიანობის ცნება (კანონის 24.09.2010. №3619 რედაქციით), კერძოდ,

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს:

1. ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი);

2. კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში;

3. მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას;

4. ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სავსებით დასაშვებია დარეალური, რომ საადვოკატო საქმიანობის განვითარების კლიენტის ინტერესები უპირისპირდებოდეს საჯარო ინტერესებს, საჯაროსამსახურებრივ მიზნებს. თუკი საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში კლიენტის წარმომადგენლობას ღია ფორმა გააჩნია, ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას, მესამე პირის

მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და ისე-თი იურიდიული დახმარების განევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას, შეიძლება ამგვარი გამჭვირვალობა არ ახასიათებდეს, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია. მაგ.: საჯარო სამსახურში დასაქმებულმა ადვოკატმა არ გასწიოს ამ საჯარო სამსახურის ან ზოგადად, საჯარო სამსახურის სისტემის ინტერესების წინააღმდეგ ან პირიქით, სასარგებლოდ, საადვოკატო საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში, დაუცველი აღმოჩნდებოდა, როგორც საჯარო-სამსახურებრივი ინტერესები, ასევე კლიენტის ინტერესები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონთა მიღებისას შეუძლებელია, კანონის ნება ამგვარი შემთხვევების დაშვების ლეგიტიმაციაში მდგომარეობდეს, რის გამოც სამოსამართლო დასკვნა ეყმარება ამ თვისობრივად განსხვავებული ინსტიტუტების მიზნებისა და ამოცანებისა და მათი განმხორციელებელი პროფესიული სტატუსის მატარებელი პირების გამიჯვნის აუცილებლობას (პრობლემა ვერ მოიხსენება იმ გარემოებითაც, რომ მოსარჩევეს საადვოკატო საქმიანობიდან ანაზღაურება არ მიუღია), რაც გამორიცხავს მათი სამსახურებრივი თავსებადობის თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული სასამართლო განმარტებებისა და სასამართლო დასკვნების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის ნორმების ნამდვილი შინაარსისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება-მიღება-გამოცემის კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 04 ივნისის №988 გასაჩივრებული ბრძანების კანონიერებას.

ქვემდგომი სასამართლოს მიერ სადაც სამართალურთიერთობის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებია:

მოსარჩევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 4 თებერვლის №94 ბრძანებით დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 2 აპრილის №550 ბრძანებით გათავისუფლდა თანამდებობიდან შტა-

ტების შემცირების საფუძვლით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 3 ივნისის №978 ბრძანების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 2 აპრილის №550 ბრძანება და მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამსახურში;

აღნიშნული ფაქტის გამო საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით შეწყდა თ. ტ-ის სარჩელზე საქმის წარმოება;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანებით, ანუ სამსახურში აღდგენის ბრძანების მიღებიდან მეორე დღეს მოსარჩელე კვლავ გაათავისუფლა სამსახურიდან, სამსახურებრივი და თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლით;

მოსარჩელე 2011 წლის 17 იანვრიდან დღემდე გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, წევრთა ერთიან სიაში ირცხება №5179, საერთო სპეციალიზაციით;

იმავდროულად მუშაობდა თვითმმართველობის მოსამსახურედ შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე;

ფაქტის – მოსარჩელის მიერ საადვოკატო საქმიანობის პრაქტიკულად გაწევის ან ანაზღაურების მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

კასატორს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტეზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

6. საკასაციო სასამართლომ შრომით-სამართლებრივი ადმინისტრაციული დავების კანონიერად გადაწყვეტის მიზნით თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოსამსახურის განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის სამართლებრივი წესი, განსაზღვრა სტანდარტი, რომელიც არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის, არამედ ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპების და პროცედურების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრეამბულის საფუძველზე განმარტავს, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, ანესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზ-

ლვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრა რა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და, შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურებს (მათ შორის, თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. ასევე აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დაწინაურების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 თავით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის უფლებები და გარანტიები, ხოლო X თავის ნორმებით დადგენილია სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები და წესი. კანონის 112-ე მუხლით გარანტირებულია მოხელის მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში, კერძოდ, მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ

ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გა-სამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამ-დებობრივი სარგოს ოდენობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოსამ-სახურის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით დეფინი-რებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლო საჯარო მოსამსახურის თანამ-დებობიდან გათავისუფლების ფორმის სამართლებრივი შეფა-სებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-713-300(კ-05) (6. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის, თელა-ვის რაიონის გამგეობის მიმართ) ჩამოყალიბებულ სამართლებ-რივ დასკვნას, კერძოდ, დიდი პალატა აღნიშნავს: „ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინის-ტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათ-ვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინი-ციის კველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინის-ტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ;
4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმე-ბა შემდეგი ელემენტი: „აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს“ / მი-მართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებ-რივ მდგომარეობას. ცნების ეს ელემენტი უცილობლად გულის-ხმობს, რომ საჯარო დაწესებულების ნების შესაბამისად, ღო-ნისძიება მიმართულია იქითკენ, რომ ცალმხრივად და შესას-რულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი წარმოშვას.“.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-ნონის ნორმების ანალიზის შედეგად განმარტავს, რომ კანო-ნით განსაზღვრული არ არის საჯარო მოსამსახურის თანამდე-ბობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცე-

დურა, თუმცა საჯარო სამსახურის ადმინისტრაცია ვალდებულია, გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ამგვარი გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, იგი უნდა პასუხობდეს აქტის მომზადებისა და გამოცემის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დაცების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობები მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშენონილობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია, შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით

დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფა-დობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის წორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი წიმინდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო მოსამსახურის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით უნდა პასუხობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, კერძოდ, 51-52-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მისი გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე

ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა.

ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე, უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას – ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია აღრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს, იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზაშენონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში, ასევე, არაერთგზის განმარტა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთების ვალდებულება, ხოლო ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში აქტის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემი-

სათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველ-მხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

სადაც სამართალურთიერთობაში საჯარო სამსახურის დაწესებულებასა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთობის ფორმა და მისი სამართლებრივი შედეგი უნდა შეფასდეს, როგორც საერთაშორისო აქტებით, ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სამართლებრივ ინსტიტუტებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპული მოთხოვნებისა და იმპერატიული დანაწესების სრული უგულებელყოფით, რაც ამავე კოდექსის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. შეუძლებელია მსჯელობა, რომ ბრძანება გამოცემულია მიუკერძოებლად, რამდენადაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 3 ივნისის №978 ბრძანების საფუძველზე (ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 2 აპრილის №550 ბრძანება) საჯარო სამსახურში აღდგენილი მოსარჩევე მეორე დღესვე, ამჯერად, სამსახურებრივი შეუთავსებლობის საფუძვლით გათავისუფლდა;

2. შეუძლებელია მსჯელობა, რომ ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოების (რაც მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საფუძველზე) ჩატარების შედეგად;

3. შეუძლებელია მსჯელობა, რომ ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოების დაინტერესებული მხარის (ამ შემთხვევაში – მოსარჩევის) საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული პროცედურული უფლებებით სარგებლობის რეალი-

ზაციის უზრუნველყოფით;

4. შეუძლებელია მსჯელობა, რომ პრძანება გამოცემულია კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების დაცვით, რამდენადაც ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს;

5. შეუძლებელია მსჯელობა, რომ პრძანება გამოცემულია დასაბუთებული სახით, რამდენადაც პრძანებაში ასახულია მხოლოდ მისი მიღების სამართლებრივი საფუძვლები;

6. შეუძლებელია მსჯელობა, რომ პრძანება გამოცემულია საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, ასევე იგნორირებულია მათი უზრუნველყოფის ვალდებულების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასკვნებით დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თვითმმართველობის მოსამსახურე თ. ტ-ე საჯარო სამსახურში აღდგენიდან მეორე დღესვე ისე გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ ამის თაობაზე საერთოდ არ იყო გაფრთხილებული, რის გამოც უგულვებელყოფილია საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტი საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი დაცვის თაობაზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-822-788(კ-06) ი. ჩ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხის გამგეობის მიმართ, მესამე პირების – ა. ჭ-ასა და მ. ს-ის მონაწილეობით, აღნიშნა: „საკასაციო სასამართლო ევროპის სოციალური ქარტიის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის №1876-რს დადგენილებით), 4.4. მუხლის საფუძველზე (საქართველო სავალდებულო შესასრულებლად აღიარებს მითითებულ პუნქტში ევროპის სოციალური ქარტიით დადგენილ მოთხოვნებს) განმარტავს, რომ დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში თითოეული მუშაკისათვის აღიარებულია შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე წინასწარი შეტყობინების /გაფრთხილების/ ვალდებულება აღმინისტრაციის მხრიდან, წარმოადგენს მუშაკის კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ გარანტიას, მომზადებული შეხვდეს სამუშაოდან გა-

თავისუფლების ფაქტს, რომ ეს არ იყოს მისთვის მოულოდნელი“.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საჯარო სამსახურის ადმინისტრაციამ საკუთარ თანამშრომელს, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ საჯარო მოსამსახურეს – თ. ტ-ეს არ მისცა შესაძლებლობა, სადაც აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც აქტის ადრესატს მონაწილეობა მიეღო, თუნდაც ახსნა-განმარტების მიცემის, ან საკუთარ მოსაზრებათა წარდგენის მეშვეობით, რითაც აბსოლუტურად უგულებელყოფილია ქვეყანაში სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად გარანტირებული კანონიერი ადმინისტრირების სტანდარტი და მმართველობის უმნიშვნელოვანესი – პირის კანონიერი ნდობის უფლების პრინციპი.

მიუხედავად იმისა, რომ ზემომითითებული სასამართლო განმარტებებისა და დასკვნების საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორი ადმინისტრაციული ორგანოს მოტივი და შეუთავსებლად მიიჩნია საჯარო სამსახურში ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებული ადვოკატის დასაქმება, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საჯარო სამსახურის ადმინისტრაციას არა აქვს უფლება, გადაწყვეტილება მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის ძირითადი უფლებების შელახვით, ვინაიდან ეს ცალსახად ეწინააღმდეგება საჯარო მმართველობის კანონიერებისა და კეთილსინდისიერი ადმინისტრირების სტანდარტს, შესაბამისად, გასაჩივრებული ბრძანება ვერ პასუხობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისა და დასაბუთებულობის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ადმინისტრაციულმა ორგანომ, მიიჩნია რა საჯარო მოსამსახურის იმავდროულად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანების ფაქტი საჯარო-სამსახურებრივ შეუთავსებლობად, იგი ვალდებული იყო ეცნობებინა აღნიშნულზე საჯარო მოსამსახურისთვის, რათა გამოერკვია მისი პოზიცია. სადაცომ ბრძანებით დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დანაწესი: მოხელე არ ექვემდებარება განთავისუფლებას, თუ განთავისუფლების საფუძველი აღმოითხვრა. საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამსახურის ადმინისტრაციის კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რიგ შემთხვევებში კი ვალდებულებაც, საჯარო მოსამსახურის განთავისუფლების თაობაზე, არ გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურის განთავისუფლება ადმინისტრაციის „თვით-

მიზნად“ ჩამოყალიბდეს, პირიქით, საჯარო მოსამსახურეს, იმ შემთხვევებში, სადაც ეს ობიექტურად შესაძლებელია, უნდა მიეცეს შესაძლებლობა – აღმოფხვრას განთავისუფლების მიზები, საფუძვლები, რომ მისი საჯარო-სამსახურებრივი საქმიანობა კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოში მოექცეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით განსაზღვრული სადაცო საკითხის გადაწყვეტილებად ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური საფუძვლები, რამდენადაც სადაცო აქტი გამოცემულია საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, შემდეგ გარემოებათა გამო:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძვლზე და მის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიშე მოქმედება.

აღნიშნული პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელნიფოს პრინციპიდან, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას -სამართლებრივი ნორმის სიცხადის და სამართლებრივი შედეგების განჭვრეტადობის უზრუნველყოფის თაობაზე.

იმ პირობებში, როცა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამსახურებრივი შეუთავსებლობის დამდგენი ნორმები ვერ პასუხობს მოთხოვნას – კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე, მათ საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასებისას საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-906-192-(კ-05) დ. ა-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-544-535(კ-12) გ. ბ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხების, საქართველოს ში-

ნაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიმართ; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-667-642(კ-13) სს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ, მესამე პირის – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაწილეობით): „საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფოს მიერ მკაფიო, განჭვრეტადი კანონმდებლობის შექმნის ვალდებულების ვერუზრუნველყოფის პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოების, როგორც ნორმათგამომყენებელი და ნორმათგანმმარტებელი ორგანოების დისკრეციის კანონისმიერი ფარგლები – განმარტონ და გამოიყენონ სამართლის ნორმა სამართლებრივი სახელმწიფოს და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების სულისკვეთებით, წარმოადგენს აუცილებელ და უპირობო სტანდარტს, საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონიერი მმართველობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად“.

„საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თუ კანონი აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს არ შეიძლება, პირს დავაკისროთ აქედან გამომდინარე რისკების თავიდან აცილების ტვირთი, თუნდაც მიზანშეწონილობის მოტივით. ტვირთი უნდა იკისროს სწორედ ვალდებულმა ორგანომ, რომელმაც დაუშვა კონკრეტული საყითხის მოწესრიგების გარეშე დატოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იქნება საფრთხე იმისა, რომ კანონმდებელი თუ კანონქვემდებარე აქტის გამოცემაზე ვალდებული ორგანო მოწესრიგების გარეშე დატოვებს რიგ საკითხებს და ამ არგუმენტით დაუსაბუთებს მისი უფლების შეზღუდვის საჭიროებას“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის მიმართ არსებობს სიზუსტის, განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ კანონის განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის აუცილებლობის თაობაზე აღნიშნა: „ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი, ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსა-

დაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა ადამიანის უფლებებში“.

„საკონსტიტუციო სასამართლომ ხარისხის მიხედვითაც უნდა შეაფასოს სადაც ნორმები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადაც ნორმა უხარისხოა, დადგინდება კონკრეტული უფლების დარღვევაც. ხარისხის თვალსაზრისით კანონს წაეყინება გარკვეული მოთხოვნები – ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი, არ იძლეოდეს ძალაუფლების პოროტად გამოყენების შესაძლებლობას“.

„დარღვეულია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და გულისხმობს, რომ ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი. ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებთან სადაც ნორმების შესაბამისობის ანალიზისას, უნდა დაადგინოს, ხომ არ გამოუწვევია უფლების დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ე. ლ-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, განმარტა რომ: „კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვის და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განსაზღვროს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში, შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძ-

ლებლობას, აუცილებლობას თუ გარდაუვლობას, სისწორესა თუ მართლზომიერებას".

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძვლზე, ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოებს – მიიღონ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება გულისხმობს არა მხოლოდ მის მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ ფორმალურ-სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობას (ფორმალური და მატერიალური კანონიერება).

საკასაციო სასამართლო საქართველოს საჯარო სამსახურების ადმინისტრაციათა მხრიდან საჯარო მოსამსახურეთა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე გათავისუფლების დამკვიდრებულ პრაქტიკას აფასებს უკიდურესად წევადიურად, თანამედროვე მმართველობის სტანდარტთან სრულიად შეუსაბამიდ, რაც აფერხებს, როგორც საკუთარი მოსახლეობის ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებას, ასევე, ქვეყნის მიერ ნაკისირი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რამდენადაც საჯარო-სამსახურებრივი შეუთავსებლობის მომწესრიგებელი, როგორც ამ ნორმატიული აქტების ხარისხიანობის, ასევე, მათ საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე მოთხოვნა დაცული არ არის, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საკითხზე ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელოდ რეკომენდირებული სასამართლო შეფასებები და დასკვნები დღემდე სასამართლო აქტებში არ ასახულა, შესაბამისად, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბებული არ იყო, რათა ამგვარი შედეგით აქტის გამოცემა ოეორიულად მაინც მოსალოდნებელი ყოფილიყო საჯარო მოსამსახურისთვის, მას უსათუოდ უნდა მიეცეს საპროცესო უფლებებით სათანადოდ სარგებლობის შესაძლებლობა, მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით, კერძოდ, საჯარო მოსამსახურეს – თ. ტ-ეს ნინამდებარე გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნებიდან გამომდინარე, საკითხის ხელახლა განხილვისას უნდა მიეცეს გონივრული ვადა და შესაძლებლობა – გააკეთოს არჩევანი პროფესიულ სტატუსებს შორის, რამდენადაც ეს არსებითია მისი პროფესიული და კარიერული განვითარებისათვის და მიიღოს შესაბამისი გა-

დაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დანაწესის – შრომა თავისუფალია, განმარტავს: კონსტიტუციური დათქმის აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს როგორც პირის იმ უფლებას, თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული და სად, ასევე, დასაქმების შემთხვევაში, იმ უფლებასაც, თუ რომელი პროფესიით ან სად, გააგრძელოს შრომითი საქმიანობა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით გარანტირებული შრომის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოფილ იყოს პიროვნების მიერ სამუშაოს საკუთარი სურვილისამებრ არჩევის უფლება, მათ შორის, არ მოხდეს პირისათვის მუშაობის უფლების უკანონოდ წართმევა. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ პიროვნების და მისი ლირსების პატივისცემა გამოიხატება სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებაშიც, რაც ხელს უწყობს პიროვნების განვითარებასა და მის სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოში საჯარო სამსახურის ამოცანების მიღწევა წარმოუდგენელია საჯარო მოსამსახურის უფლებებისა და ლირსების პატივისცემისა და დაცვის ვალდებულების სტანდარტის უპირობო დამკვიდრების გარეშე.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს თ. ტ-ის საკასაციო შესაგებელში მითითებას, რომელშიც არ ეთანხმება კასატორის წარმომადგენლის დაფიქსირებულ პოზიციას, რომ იგი თითქოს უარს აცხადებდა შეეწყვიტა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, რამდენადაც ასეთი არასდროს განუცხადებია, პირიქით, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე – თუ დადგებოდა არჩევანის საკითხი, შეიჩერებდა თუ არა ადვოკატის უფლებამოსილებას, „მე, რა თქმაუნდა დავადასტურე თანხმობა“. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გადამოწმების შედეგად აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ამგვარი შინაარსის განცხადება ნამდვილად არის დაფიქსირებული სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღნიშნული სახით მიღება გულისხმობს, რომ

ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის ხელახლა გამოცემისას უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, რა დროსაც ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, საჯარო მოსამსახურე – თ. ტ-ე ჩართული იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც დაინტერესებული მხარე და მისი ყველა პროცესუალური უფლების რეალიზაციის შედეგად გამოკვლეული და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მოახდინოს სამართლებრივი შეფასება და მიღებულ იქნეს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რითაც დარღვეულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-ნაწილის გ) ქვეპუნქტის მოთხოვნა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის ნორმა, შედეგად, საქმეზე დაადგინა იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება, ვინაიდან მოთხოვნა გასაჩინოებული

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშეუსაბამობის თაობაზე საფუძვლიანია და ექვემდებარება ნაწილობრივ გაზიარებას, სადაც აქტი, როგორც გამოცემული ფორმალური და მატერიალური კანონმდებლობის დანაწესების უგულებელყოფით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რამდენადაც სახეზეა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

თ. ტ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამო-სილების გამოყენება გამორიცხავს მოცემულ სტადიაზე მოსარ-ჩელის დანარჩენი მოთხოვნების საფუძვლიანობის განხილვა-გადაწყვეტის პროცესუალურ შესაძლებლობას და აღნიშნულ-ზე უნდა იმსჯელოს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 55-ე მუხ-ლის საფუძველზე მოპასუხე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 55-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ უ ვ ი ლ ა:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო სა-ჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწ-ყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნო-ბილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამ-გეობას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება, კანონით დადგენილ ვადაში;

5. თ. ტ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისროს 100 ლარის გადახდა სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბი-უჯეტის სასარგებლოდ;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

განჩინება

№პს-43-42(კ-14)

11 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: სამსახურიდან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.11.12წ. №3295 ბრძანებით პოლკოვნიკი მ. კ-ე, გათავისუფლდა რა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ... თანამდებობიდან (საშტატო კატეგორია „გენერალ-მაიორი“, შტატი №2/367-01), 2012 წლის 1 დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ატაშების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის (სამმართველო) ...-სა და ... თავდაცვის ატაშეს აპარატის თავდაცვის სამინისტროს ... ოფიცრად ...-ს ცენტრალურ სარდლობაში (ქ., ...) (საშტატო კატეგორია „ვი-ცე-პოლკოვნიკი“, შტატი №1/123-51). საქართველოს თავდაცვის მინისტრის 10.12.12წ. №963 ბრძანებით პოლკოვნიკი მ. კ-ე წარგზავნილ იქნა ქ. (...) ...-სა და ... თავდაცვის ატაშეს აპარატის ...-ს ცენტრალურ სარდლობაში თავდაცვის სამინისტროს ... ოფიცრად სამი (03) წლის ვადით, 2012 წლის 15 დეკემბრიდან 2015 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 12.01.13წ. №35 ბრძანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშების და სამოქალაქო წარმომადგენლების უფროსის (სამმართველოს) ...-სა და ... თავდაცვის ატაშეს აპარატის, თავდაცვის სამინისტროს ... ოფიცერი ...-ს ცენტრალურ სარდლობაში (ქ., ...) პოლკოვნიკი მ. კ-ე სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე 2013 წლის 10 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით მივლინებულ იქნა ქ. თბილისში.

13.01.13წ. ხელნერილით მოწმის სახით დაკითხულმა მ. კ-ემ საქართველოს მთავარი პროკურატურის გამომძიებლის წინაშე იკისრა ვალდებულებები არ დატოვოს ქვეყნის ტერიტორია, ასე-

ვე მეორე დღეს, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, გამოცხადდეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 17:00 საათზე 14.01.13ნ. № 13/3246 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, პოლკოვნიკი მ. კ-ეს ჩამოერთვა ხელწერილი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების თაობაზე.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის 14.01.13ნ. № 10-8/102 წერილით საქართველოს თავდაცვის მინისტრს ეცნობა, რომ პოლკოვნიკი მ. კ-ის 13.01.13ნ. ხელწერილიდან გამომდინარე, სადაც აღნიშნულია მისი ქვეყნიდან გაუსვლელობის პირობა, იგი ვერ შეასრულებს მასზედ დაკისრებულ თანამდებობრივ მოვალეობას და მიზანშენონილად იქნა მიჩნეული საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998ნ. № 609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების XV თავის 10¹ პუნქტის თანახმად, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში გადაყვანა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.01.13ნ. № 61 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის (სამმართველო) ...-სა და ... თავდაცვის ატაშეს აპარატის თავდაცვის სამინისტროს ... ოფიცერი ...-ს ცენტრალურ სარდლობაში (ქ. ..., ...) (შტატი № 1/123-51), პოლკოვნიკი მ. კ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 15.05.13ნ. № 1185 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი პოლკოვნიკი მ. კ-ე 2013 წლის 14 მაისიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში. მ. კ-ემ სარჩელი აღძრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 17.11.12ნ. დაინიშნა ...-სა და ... თავდაცვის ატაშეს აპარატის ... მეკავშირედ. 30.05.13ნ. ჩაბარდა 17.05.13ნ. ბრძანება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, რომლის საფუძველზეც მისთვის ცნობილი გახდა 14.01.13ნ. ბრძანებით მისი კადრებში გადაყვანის შესახებ. ბრძანების საფუძვლად მითითებული საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998ნ. № 609 ბრძანების მე-15

თავის 10¹ პუნქტი არ მოქმედებს მის მიმართ, ვინაიდან ამავე თავის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს, რომ სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა ხორციელდება სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციასა და შტატის შემცირებისას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მოსარჩევე არ ეთანხმება გერთიანებული შტატის მეთაურის მიმართვას თავდაცვის მინისტრის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ იმ მოტივით, რომ ის ვერ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებას. მე-15 თავის მე-10² პუნქტით განისაზღვრა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებიდან მეორე დღიდან. პროკურატურის მიერ ბრალდებულად ცნობის მიუხედავად აღკვეთი ღონისძიება მას არ შეფარდებია. მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.01.136. №61 ბრძანების და 17.05.136. №1185 ბრძანების ბათოლად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.09.136. გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი არ დაემაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. კ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.136. №3ბ/1286-13 გადაწყვეტილებით მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.09.136. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. კ-ის სარჩელი დაემაყოფილდა ნაწილობრივ, ბათოლად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.05.136., №1185 ბრძანება დათხოვნის შესახებ და სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათოლად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.01.136. №61 ბრძანება მ. კ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში გადაყვანის შესახებ, სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. კ-ის მიმართ. მ. კ-ის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ დაემაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 13.01.136.

ხელწერილით მოსარჩელემ იქისრა ვალდებულება არ დატოვოს ქვეყნის ტერიტორია, ქვეყნიდან გაუსვლელობის ვალდებულება ვრცელდებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მთელ პერიოდზე. მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და 13.01.13წ. ხელწერილის საფუძველზე დადგენილად იქნა მიწნეული, რომ მ. კ-ე ვერ შეძლებდა ატაშეს აპარატის ...-ს ცენტრალურ სარდლობაში თავდაცვის სამინისტროს ... ოფიცირის მოვალეობის შესრულებას, ... ოფიცირის მოვალეობების შესრულებლობა არ იყო გამოწვეული მ. კ-ის მხრიდან ამ ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით, აღნიშნული უკავშირდებოდა საქართველოს მთავარი პროკურატურის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას ქვეყნიდან გაუსვლელობის შესახებ. 13.01.13წ. მ. კ-ე გამოძახებულ იქნა მონმის სახით საქართველოს პროკურატურაში, მას ჩამოართვეს ხელწერილი ქვეყნიდან გაუსვლელობის შესახებ. მოვაიანებით მას წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 25, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 25, 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის, რაზედაც უდანაშაულოდ იქნა ცნობილი თბილის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 01.08.13წ. განაჩენით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებული „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელების შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის, მე-2 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებზე, მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებზე, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის „თ“ ქვეპუნქტებზე, მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე მითითებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თავდაცვის ატაშეს აპარატის თანამდებობის პირი, მათ შორის ... ოფიცირის თანამდებობაზე დანიშნული პირი, არის უმცროსი დიპლომატიური რანგის მქონე პირი. მ. კ-ე წარგზავნილ იქნა ... ოფიცირად სამი ნლის ვადით, 2012 ნლის 15 დეკემბრიდან 2015 ნლის 14 დეკემბრის ჩათვლით. „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლით განსაზღვრულია თავდაცვის ატაშესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების როტაციისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების

თანახმად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დანიშნული თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი და მისი აპარატის უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები წარიგზავნებიან ადგილსამყოფელ სახელმწიფოში როტაციის წესით, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და მოსამსახურის ვადაზე ადრე გამოწვევა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, კოორდინატორი სტრუქტურული ერთეულის უფროსის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დებულების 6.3 მუხლის თანახმად, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის ან ვადამდე გამოწვევის შემთხვევაში, თუ გამოწვევა თანამდებობის პირის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებას არ უკავშირდება, თანამდებობის პირი ინიშნება სამინისტროში ან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე, ხოლო შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის შემთხვევაში, მისი თანხმობით ირიცხება თავდაცვის სამინისტროს რეზერვი. სააპლაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მინისტრს სადაცო 14.01.136. №61 ბრძანებით უგულებელყოფილია ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნები, რითაც შეიღახა აპელანტის უფლებები. სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მ. კ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადამდე გამოწვევის აუცილებლობა (სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებისა და საქართველოდან გაუსვლელობის შესახებ ვალდებულების გამო) და აღნიშნული აუცილებლობა არ უკავშირდებოდა მ. კ-ის მხრიდან დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას. მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესი იმპერატიულად ავალდებულებდა სამინისტროს დაენიშნა მ. კ-ე სამინისტროში ან შეიარაღებულ ძალებში არსებულ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე, ვაკანტური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში, მ. კ-ის თანხმობით შესაძლებელი იყო თავდაცვის სამინისტროს რეზერვში ჩარიცხვა. სამინისტრომ საერთოდ არ განიხილა მ. კ-ის დასაქმების საკითხი სამინისტროში ან შეიარაღებულ ძალებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსარჩევის თანხმობის გარეშე ჩარიცხა იგი კადრების განცარგულებაში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით სადაცო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს შეადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 13.03.096. №188 ბრძანებით დამტკიცებული „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამ-

დებობების დასახელების „შესახებ“ დებულება, რომლითაც უშუალოდაა განსაზღვრული თავდაცვის ატაშესა და სამინისტროს წარმომადგენლის საქმიანობის წესები და არა საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. №609 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლების („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 14.1 მუხლი, შრომის კოდექსის 36-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი) არსებობის შესახებ, მ. კ-ის მიმართ ადგილი არ ჰქონია მოსამსახურის მიმართ საპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიების ან არასაპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღარებულია შრომის უფლება. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პროკურატურაში გამოცხადების ვალდებულების საფუძვლით პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მინისტრის სადაც 14.01.13წ. №61 ბრძანება ეწინააღმდეგება თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის გარეშე, რაც სასკ-ის 32.4 მუხლის „შესაბამისად გასაჩივრებული აქტის სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის საფუძველია. შესაბამისად, ბათილად უნდა იქნას ცნობილი ძირითადი გასაჩივრებული აქტის თანმდევი შედეგი – მინისტრის 17.05.13წ. №1185 ბრძანება. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად მინისტრის 14.01.13წ. №61 ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში, თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 6.3 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შესარულოს ამ ნორმით გათვალისწინებული ვალდებულება და განიხილოს მ. კ-ის თავდაცვის სამინისტროში ან შეიარაღებულ ძალებში არსებულ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი და მხოლოდ შესაბამის ვაკანსიის არსებობის დადგენის შემთხვევაში, იმსჯელოს სამინისტროს რეზერვში მის ჩარიცხვაზე შესაბამისი თანხმობის არსებობის პირობებში და ყოველივე აღნიშნულის თაობაზე გამოსცეს ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. კ-ის მიმართ. პალატამ მიუთითა აგრეთვე „სა

ჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეზე მნიშვნელოვანი გარემოებათა გამოკვლევის შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ მ. კ-ის შრომითი საკითხის გადაწყვეტასთან ერთად უნდა იმსჯელოს მისი უკანონოდ განთავისუფლების პერიოდში იძულებით გაცდენილი პერიოდის გამო გასამრჯელოს ანაზღაურებაზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეზე ერთდროულად ვრცელდებოდა როგორც სამხედრო მოსამსახურის სტატუსის, ისე დიპლომატიური სტატუსის მარეგულირებელი კანონმდებლობა. სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მიანიჭა უპირატესი იურიდიული ძალა თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას. კადრების განკარგულებაში მოსარჩელის გაყვანას საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 15.10 მუხლით გათვალისწინებული წესი, რომელიც მინისტრს ანიჭებდა სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გაყვანის დისკრეციულ უფლებამოსილებას. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე მითითებით კასატორი თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს აქტის საქმის გარემოებების გამოკვლევის, დასაბუთების და კანონმდებლობის შესაბამისად მომზადების, მიღების და გამოცემის გარემოებები, სასამართლო ხელმძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მიზანშეწონილობის მოსაზრებებით. სადაც გადაწყვეტილების მიღებისას მინისტრი მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, მის მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული აქტების გამოცემისათვის არსებითი მნიშვნელობის მეორე გარემოებები და შესაბამისი შეფასების შემდეგ მოსარჩელესთან მიმართებაში გამოიიცა აქტები. მინისტრი მოქმედებდა კანონით მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-15 თავის 10¹ პუნქტის საფუძველზე კადრების განკარგულებაში პირის გაყვანა ემსახურება მის თანამდებობრივ გადადგილებას შემდგომში დასაქმების მიზნით. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია იყო თუ არა სამინისტროში შესა-

ბამისი ვაკანტური თანამდებობა მ. კ-ის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში.

მ. კ-ებ საკასაციო შესაგებლით მიმართა საკასაციო პალატას, რომელშიც აღნიშნა, რომ სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებული დებულება და არა საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულება, რომლითაც დადგენილია სამხედრო სამსახურის გავლის წესები, ამ წორმატიული აქტით არ რეგულირდება სადავო სამართალურთიერთობა. დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში. კასატორი თავდად ადასტურებს, რომ მოსარჩელის გაყვანა კადრების განკარგულებაში მოხდა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შედეგად ანუ სხვა თანამდებობაზე დასაქმების საკითხის განხილვის გარეშე.

სს-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი განხილული იქნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლის, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება-კანონიერების შემომების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და პროცესუალურ ნინამდილორებს, გადაწყვეტილება კანონმდებლობის ნორმების დარღვევით არის გამოტანილი, სახეზეა სს-ის 393-ე მუხლით და 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

არ არის დასაბუთებული სადავო სამართალურთიერთობის გადაწყვეტა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებული „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელების შესახებ“ დებულების 6.3 მუხლის საფუძველზე. დებულების მიზანია განსაზღვროს თავდაცვის ატაშესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნარმომადგენლის, აგრეთვე, მათი აპარატების საქმიანობის წესები, სამართლებრივი

მდგომარეობა, მათი ფუნქციები და ამოცანები (1-ლი მუხ.). სა-დაცვო სამართალურთიერთობა უკავშირდება დიპლომატიურ სამსახურში დანიშვნამდე სამსახურებრივი მოვალეობის შეს-რულებისას კანონიერების დარღვევას, სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების შესრულების და საქმის სასამართლოში განხილვის საჭიროების გამო საზღვარგარეთ ატაშეს აპარატში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობას, რაც სცილდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებული დებულების რეგულაციას. დებულების 6.3 მუხლი ეხება როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის ან ვადამდე გამოწვევის შემთხვევას, თუ გამოწვევა თანამდებობის პირის მიერ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას არ უკავშირდება. დებულება არ ითვალისწინებს სამსახურში სისხლისამართლებრივი წესით დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიების და განხილვის საჭიროების შედეგად საზღვარგარეთ გამგზავრების შეუძლებლობის გამო ატაშეს აპარატის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხს, აღნიშნული სცილდება როტაციის ფარგლებს. დებულების დანაწესი სამინისტროში ან შეიარაღებულ ძალებში შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში პირის თანხმობით თავდაცვის სამინისტროს რეზერვში კადრების განკარგულებაში ჩარიცხვის შესახებ, ითვალისწინებს მივლინების ვადის ამონურვის გამო ან ვადამდე მოსამსახურის გამოწვევას დაკავშირებულს როტაციის წესით საკადრო გადაადგილებას, ასეთი წესით გათავისუფლებული პირის შემდგომ დასაქმებას. როტაცია არის მოსამსახურის დაგეგმილი, მიზანმიმართული საკადრო გადაადგილება სამსახურებრივი საჭიროების, მოსამსახურის კარიერული ზრდის გამო. მოცემულ შემთხვევაში გადაადგილების საჭიროება გამოწვეული იყო კანონდარღვევის გამოძიების და საქმის სასამართლოში განხილვის საჭიროებებით, რაც მოსამსახურის როტაციით არ არის მოცული. სადაც აქტების გამოცემამდე მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად განეკუთვნებოდა უმცროს დიპლომატიურ თანამდებობას, რაც არ გამორიცხავდა სამხედრო მოსამსახურის სტატუსის და, შესაბამისად, მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის მოსარჩელის მიმართ გავრცელების შესაძლებლობას, მით უფრო, რომ მ. კ-ეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის დროისათვის თავდაცვის მინისტრის 18.02.13წ. №106 ბრძანების საფუძველზე დიპლომა-

ტიური სტატუსი უკვე მოხსნილი პქონდა. ამასთანავე, მ. კ-ეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 18.02.136. №106 ბრძანება სადავოდ არ გაუხდია, ის ეთანხმებოდა იმას, რომ საქმის გარემოებებისა და განხილვასთან დაკავშირებით ვერ შეძლებდა ატაშეს აპარატის ... ოფიცრის მოვალეობის შესრულებას. დავის საგანი ეხება არა დიპლომატიური სამსახურიდან გამოწვევას, არამედ რეზერვში ჩარიცხვას და გათავისუფლებას, შესაბამისად არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის სენებული ნორმის საფუძველზე გადაწყვეტა იერარქიით ზემდგომი ნორმატიული აქტის – საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების გამოყენებაზე უარის თქმა.

საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების მე-15 თავის 10¹ პუნქტის მიხედვით, რომლის საფუძველზე მოხდა რეზერვში ჩარიცხვა, ითვალისწინებს პირის კადრების განკარგულებაში ჩარიცხვას შემდგომში დასაქმების საკითხის გადასაწყვეტად. დებულების მე-15 თავის მე-3 პუნქტის თანახმად, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს, აღნიშნული ვადის ამოწურვამდე სამხედრო მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ იქნეს სამხედრო სამსახურიდან, თუ აღნიშნული ვადის ამოწურვისას სამხედრო მოსასახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად. მოცემულ შემთხვევაში მ. კ-ე კადრების განკარგულებაში ყოფნის ოთხთვიანი ვადის ამოწურვისთანავე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი გარემოებები, კერძოდ, მ. კ-ის მიერ ატაშეს აპარატში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა, სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში წარდგენილი ბრალდების სიმძიმე, საჭიროებდა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და შემდგომი დასაქმების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტში გადაყვანის, აგრეთვე მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის დისკრეციის უარყოფას. ასეთს არ წარმოადგენს სააპელაციო პალატის მითითება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლზე, რომლითაც სააპელაციო პალატის აზრით აღიარებული და უზრუნველყოფილია შრომის უფლება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს,

რომ საქართველოს კონსტიტუციის 30.1 მუხლი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ შრომის თავისუფლებას, ე.ი. თავისუფალი შრომის უფლებას. სადაც აქტების გაუქმების პირზე არ ქმნიდა აგრეთვე მ. კ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოებისას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლიობა. აღნიშნული არ არის ხელმძღვანელობის დისკურსიული უფლებამოსილების გამომრიცხავი გარემოება, მით უფრო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 17.01.13ნ. განჩინებით მ. კ-ის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი იყო მისი კადრების განკარგულებაში ყოფნა. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იქონია მსჯელობა მეორე სადაც აქტის – საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.05.13ნ. №1185 ბრძანების გამოცემის საფუძველზე, რომლითაც მ. კ-ე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს მიერ მხოლოდ რეზერვში ჩარიცხვის შესახებ თავდაცვის მინისტრის 14.01.13ნ. №61 ბრძანების ბათილად ცნობის გამო.

სადაც აქტების გაუქმების საფუძველს არ ქმნის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 01.08.13ნ. განაჩენზე, რომლითაც მ. კ-ე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 25, 143.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 25, 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებისათვის წარდგენილ ბრალდებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 14.07.14ნ. №12-აპ-14 შემაჯამებელი გადაწყვეტილებით მ. კ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 342.1 მუხლის („სამსახურებრივი გულგრილობა“) საფუძველზე და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური პირის უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია, შეიძლება იყოს არა მხოლოდ სისხლისამართლებრივი, არამედ დისციპლინური რეაგირების მიზეზი. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი განსახილველ საქმეში მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს, რომელიც შეფასე-

ბას საჭიროებს. მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლები განსაზღვრულია სათანადო ნორმატიული აქტებით, სამოხელეო დანაშაული ბლანკეტური ხასიათისაა, უკავშირდება ატაშეს აპარატში ... ოფიციად დანიშვნამდე, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ... მე-... ქვეით ბრიგადის მეთაურად ყოფნის პერიოდში სამსახურებრივ უფლება-მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, კერძოდ, „საქართველოს შეიარაღებული ძალების შინაგანი წესდების“ მე-3 თავის 61-ე, 62-ე პუნქტებით განსაზღვრული ბრიგადის მეთაურის პირდაპირი სამსახურებრივი ვალდებულებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, რითაც არსებითად იქნა ხელყოფილი სამხედრო მოსამსახურების, საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი (იხ. სუს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №12აპ-14 განაჩენის 4.5.273). სამსახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობას შეეძლო ემოქმედა აგრეთვე ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე რეზერვში ჩარიცხული პირის შემდგომი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ, რაც ადმინისტრაციის დისკურსის სფეროს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იქონია მსჯელობა მეორე სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.05.13ნ. №1185 ბრძანების გამოცემის საფუძველზე, რომლითაც მ. კ-ე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან. ამასთანავე, ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სამხედრო სამსახურიდან ოფიცირის დათხოვნის მოთხოვნა (საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998ნ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 21.07.11ნ. №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) არ გამორიცხავდა თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესაძლებლობას იმ ნიშნის გამო, რომელშიც ობიექტური მხრივ თავის გამოხატულებას პოულობს სამსახურებრივი გულგრილობა, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, დაუდევარი დამოკიდებულება, სამსახურებრივი უფლებამოსისლებით გათვალისწინებული ზომების მიუღებლობით არსებითი ზიანის მიყენება. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს დანიშვნაზე უარის თქმის სა

უფრო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების დაცვის ფარგლები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არის დასაბუთებული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 13.03.09წ. №188 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მოპასუხისათვის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქვს ვალდებულება განიხილოს დანშვნის საკითხი და მხოლოდ მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში იმსჯელოს რეზიუმეში ჩარიცხვის საკითხზე, ნიშნავს სამინისტროსათვის არა დავის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალებას, არამედ სამსახურში მიღების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, რაც სცილდება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სასკ-ის 32.4 მუხლით დადგენილ დანაწესს და არის სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციისათვის აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის დაკრძალვილება. აღნიშნული ცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაცვო აქტები, კერძოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.01.13წ. №61 ბრძანება მ. კ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში გაყვანის შესახებ, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 17.05.13წ. №1185 ბრძანება მ. კ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, შეიცავენ სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაზღლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, შესაბამისად, დავის საგანს შეადგენს სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-მდებლობასთან. ხსენებული დაცის საგნის სარჩელის შესაბამი-სი სახეობა არის შეცილებითი სარჩელი ანუ სარჩელი ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვ-ნით (სასკ-ის 22-ე მუხ.). სამსახურში აღდგენის შესახებ მოთ-ხოვნა არ საჭიროებდა აქტის გამოცემის დავალებას, საკმარისი იყო სადავო აქტების გაუქმება, საქმის მასალებით დასტურდე-ბა, რომ აღძრული იყო არა მავალებრელი (სასკ-ის 23-ე მუხ.), არა-მედ შეცილებითი (სასკ-ის 22-ე მუხ.) სარჩელი. საქმის მასალე-ბით დასტურდება აგრეთვე, რომ მოსარჩელე ვერ შეძლებდა უფლებამოსილების შესრულებას საზღვარგარეთ, ამასთანავე მას არ მიუმართავს ხელმძღვანელობისათვის სხვა სამსახურში დასაქმების მოთხოვნით, შესაბამისად, არ დასტურდება მავა-ლებელი სარჩელის აღდვრის სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალის-წინებული დასაშებების საპროცესო პირობების არსებობა. ის გარემოება, რომ სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ სამსახურში აღდგენის შე-სახებ აქტის გამოცემა დასტურდება აგრეთვე გადაწყვეტილე-ბის სამოტივაციო ნაწილის მითითებით, რომ ახალი ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს მ. კ-ის უკანო-ნოდ გათავისუფლების პერიოდში იძულებით გაცდენილი პერი-ოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურებაზე მოქმედი კანონ-მდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საკასაციო პალა-ტია აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულ-მა ორგანომ უნდა აანაზღაუროს სამი თვის თანამდებობრივი საარგო. ამავე კანონის 127.6 მუხლი ითვალისწინებს 112-ე მუხ-ლით დადგენილი ოდენობით განაცდური ხელფასის ანაზღაუ-რებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში, სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფა-სი არ ანაზღაურდება. ამდენად, სააპელაციო პალატის გასაჩივ-რებული გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტების გაუქმება არ იძლეოდა გადაწყვეტილების სა-მოტივაციო ნაწილში უკანონო გათავისუფლებით იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება-ზე მითითების, დანიშვნის შესახებ აქტის გამოცემის დავალე-ბის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკეთუ სააპელაციო სა-სამართლო მოსარჩელის სამსახურში აღსადგენად საჭიროდ

თვლიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის დავალებას, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ ითხოვდა ატაშეს აპარატში მეკავშირე ოფიცრის თანამდებობაზე აღდგენას, ამასთანავე იმის გათვალისწინებით, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 38.1 მუხლის თანახმად მოსარჩელე იყო უფროსი ოფიცრების შემადგენლობის საჯარო სამხედრო წოდების მქონე პირი, ხოლო უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრის სამსახურში აღდგენა კანონმდებლობის მიხედვით („სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების შე-9 თავის მე-5 პუნქტი, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21.3 მუხ.). ხდება არა თავდაცვის მინისტრის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის მიერ, სასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმის განხილვაში შესაბამისი სტრუქტურა უნდა ჩაბმულიყო.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს შორის მიიჩნია, რომ 13.01.13წ. ხელნერილით აპელანტმა (მოსარჩელემ) იყისრა ვალდებულება არ დაეტოვა ქვეყნის ტერიტორია. ქვეყნიდან გაუსვლელობის ვალდებულება ვრცელდებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მთელ პერიოდზე. 13.01.13წ. ხელნერილის და მოსარჩელის მიერ მიცემული განმარტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 15.01.13წ. მ. კ-ე უნდა გამოცხადებულიყო სამსახურში...-ში მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მისთვის ბრალის წარდგენის შემდეგ ის ვეღარ შეძლებდა ქ. ... (...) ...-სა და ... თავდაცვის ატაშეს აპარატის ...-ს ცენტრალურ სარდლობაში თავდაცვის სამინისტროს ... ოფიცრის მოვალეობის შესრულებას. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ამ ფაქტობრივ გარემოებას არ ემყარება სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ პროკურატურაში გამოცხადების ვალდებულების საფუძვლით არ დაიშვებოდა პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. ამდენად, გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, სასამართლო დასკვნა არ ემყარება სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. რეზერვში გადაყვანას და გათავისუფლებას საფუძვლად დაედო არა პროკურატურაში და სასამართლო სხდომაზე გამოცხადების საჭიროება, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ...-ში გამგზავრების შეუძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, ის მოკლებულია სატანადო სა-

მართლებრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზეა როგორც სსკ-ის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევა, გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. შესაბამისად, სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „პ“ ქვეპუნქტით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ადგილი:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.13ნ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

განჩინება

№პს-355-345 (კ-13)

19 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ჰ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-ა 1992-1996წ.წ. მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს
ცენტრალურ ... კომისიის უფროსად. თავდაცვის მინისტრის
05.12.1996წ. №842 ბრძანებით ნ. გ-ა გათავისუფლდა დაკავე-
ბული თანამდებობიდან და დაინიშნა კადრების მთავარი სამ-
მართველოს განკარგულებაში. თავდაცვის მინისტრის 28.06.97წ.
№306 ბრძანებით ნ. გ-ა 1997 წლის 25 თებერვლიდან დათხოვ-
ნილი იქნა სამსახურიდან სამსახურებრივი შეუსაბამობის მო-
ტივით. ნ. გ-ამ განცხადებებით მიმართა თავდაცვის სამინის-
ტროს, რის შედეგადაც მიღებული იქნა თავდაცვის სამინის-
ტროს 15.01.2001 ნ. №34 ბრძანება, რომლის პირველი პუნქტით
გაუქმდა თავდაცვის მინისტრის 28.06.97წ. №306 ბრძანების
პუნქტი კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში
მყოფი ... სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკ ნ. გ-ას დათხოვნის შე-
სახებ და ნ. გ-ა აღდგენილი იქნა კადრების მთავარი სამმარ-
თველოს განკარგულებაში 1997 წლის 25 თებერვლიდან.

ნ. გ-ამ 04.06.2001წ. სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაი-
ონულ სასამართლოში თავდაცვის სამინისტროს მიმართ, თავ-
დაცვის სამინისტროს თანამდებობაზე აღდგენის, იძულებითი
განაცდურის და მორალური ზიანის 10.000 ლარის ანაზღაურე-
ბის მოთხოვნით. სასამართლოების მიერ საქმის არაერთხელ
განხილვის შედეგად, საბოლოოდ, საკასაციო სასამართლოს
30.07.2004 ნ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლ-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადა-
სახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 01.03.2004წ. გადაწყვე-
ტილება, რომლითაც თავდაცვის სამინისტროს ნ. გ-ას სასარ-

გებლოდ დაეკისრა 4 თვის სახელფასო დავალიანების – 168 ლარის გადახდა, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს 30.07.2004 წ. განჩინების შესაბამისად თავდაცვის მინისტრმა გამოსცა 16.06.2006წ. №1446 ბრძანება, რომლითაც გაუქმდა თავდაცვის მინისტრის 15.01.2001წ. №34 ბრძანების მე-2 პუნქტი, რომლითაც 6. გ-ა აღდგენილი იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში 1997 წლის 25 თებერვლიდან და 6. გ-ა ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 1997 წლის 15 ივნისიდან „სამსედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად (რეორგანიზაციით და შტატების შემცირებით).

6. გ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა თავდაცვის მინისტრის 16.06.2006წ. №1446 ბრძანების ბათილად ცნობა, 6. გ-ასთვის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭება, 2005 წლის 28 დეკემბრიდან ავამყოფობის გამო მისი სამხედრო ძალებიდან დათხოვნის და ამ მომენტამდე განაცდური პერიოდის სპეციალობით ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ მოპასუხისათვის ბრძანების გამოცემის დავალება, ასევე 2005 წლის 28 დეკემბრიდან სამხედრო ძალების რიგებიდან პოლკოვნიკის სტატუსის მქონე სამსედრო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ყველა სარგოს და 2004 წლის 1 ივლისიდან შრომის წიგნაკის ჩაბარებამდე სამხედრო ძალებიდან დათხოვნის თაობაზე ბრძანების გამოუცემლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით.

საქმის სასამართლო ინსტანციებს შორის არაერთგზის განხილვის შედეგად საკასაციო სასამართლოს 15.07.2009წ. განჩინებით სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16.07.2006წ. №1446 ბრძანება 6. გ-ას 1997 წლის 25 ივნისიდან, საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის ნაწილში და თავდაცვის სამინისტროს დაევალა ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ ბრძანებაში დათხოვნის საფუძვლად მითითებულია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული კანონის 21-ე მუხლით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლები, მაგრამ გასაჩივრებულ ბრძანებაში დათხოვ-

ნის საფუძვლად მითითებული კანონი მიღებული იქნა 1998 წელს, ხოლო მოსარჩევე ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით დათხოვნილად ჩაითვალა 1997 წლიდან, ამ კანონს უკუქცევითი ძალა არ გააჩნია და მისი გამოყენება წინა პერიოდში დათხოვნის დროს დაუშვებელია. „ხორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის I პუნქტზე, რომლის თანახმად ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადაცო აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და თავდაცვის სამინისტროს დაევალა გამოეკვლიოს და შეფასება მისცეს ზემოაღნიშნულ გარემოებებს და ამის შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. გ-ას მიმართ სადაცო სამართლებრივი ურთიერთობის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს 15.07.2009წ. განჩინების შესრულების მიზნით თავდაცვის სამინისტროს შეირ მიღებული იქნა 01.06.2012წ. №1402 ბრძანება, რომლის მიხედვით გაუქმდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 25 იანვრის №34 ბრძანების მე-2 პუნქტი და ნ. გ-ა ჩაითვალა დათხოვნილად საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 1997 წლის 25 აპრილიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კანონით) „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 თავის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად (შტატების შემცირების გამო)“.

ნ. გ-ამ 09.07.2012წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა თავდაცვის მინისტრის 01.06.2012წ. №1402 ბრძანების ბათილად ცნობა. 25.10.12წ. განცხადებით ნ. გ-ამ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა თავდაცვის მინისტრის 01.06.2012წ. №1402 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ, თავდაცვის მინისტრის 01.06.2012წ. №1402 ბრძანებიდან ამოღებული იქნას სიტყვები: „საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ“ და „საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნის შესახებ“. მოსარჩელემ მიუთითა,

რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას თავდაცვის სამინისტრომ დაარღვია სზაკ-ის 53.5, 96.1 და 96.2 მუხლების ნორმატიული დანაწესი. შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნისას ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია შტატების შემცირება, თუმცა მას ადგილი არ ჰქონია. მოსარჩევე მუშაობდა შეიარაღებული ძალების ცენტრალური ... კომისიის თავმჯდომარედ, ამ შტატის შემცირება კომისიის არსებობისას შეუძლებელია. ეს მხოლოდ ორგანოს ლიკვიდაციისას არის დასაშვები, 1997 წელს შეიარაღებული ძალების ცენტრალური ... კომისია ფუნქციონირებდა. ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნდა ნ. გ-ას თანამდებობის შემცირებულად მიჩნევის საფუძველი, სამართლებრივი საფუძველი ეცლება გასაჩივრებულ 01.06.2012წ. №1402 ბრძანებას, რადგან მასში დათხოვნის საფუძვლად შტატების შემცირებაა დასახელებული. ბრძანებაში მხოლოდ ფორმალურად არის მითითებული, რომ იგი გამოცემულია არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, რადგან შტატების შემცირების საკითხი არ გამოკვლეულა. მოსარჩევემ მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს 15.07.09წ. გადაწყვეტილების მოთხოვნა არ შესრულებულა, რითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია სსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.12წ. განჩინებით ნ. გ-ას სარჩელი არ დაკამაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონზე, რომლითაც განსაზღვრული იყო საქართველოს მოქალაქეთა მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდის წესი. კანონის 35-37-ე მუხლებზე მითითების შედეგად მიიჩნია, რომ ზღვრული ასაკის შესრულებამდე ოფიციური შეიძლება დათხოვნილი ყოფილიყვნენ სამხედრო სამსახურიდან, შტატების შემცირების გამო. სასამართლომ, ასევე, მიუთითა სსკ-ის 102-ე მუხლზე, სასკ-ის მე-17, 22-ე, 32-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არ აქვს სზაკ-ის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას. გასაჩივრებული აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის და სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.12წ. განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ამ და მოითხოვა განჩინების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.13ნ. გადაწყვეტილებით ნ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.12ნ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 01.07.2012 ნ. ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. გ-ას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს 01.07.2012 ნ. ბრძანების ჰირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნა სიტყვები: „საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ“ და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.07.2012ნ. №1402 ბრძანების „საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის №1446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ბ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება ნ. გ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნის შესახებ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათ გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს 15.07.09ნ. გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად სადაც აქტის ბათილად ცნობით სამინისტროს დაევალა ახალი აქტის გამოცემა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ახალი ბრძანების გამოცემისას ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა არ მომხდარა, რადგან სამინისტროს წარმომადგენელს მიაჩნია, რომ 15.07.09ნ. გადაწყვეტილებით სამინისტროს დაევალა მხოლოდ 1997 წელს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დათხოვნის აქტის მითითება. პალატამ სზაკ-ის 53.5, 96.1, 96.2 მუხლებზე და სასკ-ის 32.4 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმატიული დანაწესით გათვალისწინებული ნინამდღვრების არსებობის პირობებში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოკვლეულ – საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებას, რაც გამორიცხავს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრების მართებულობას იმის შესახებ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.2009ნ. გადაწყვეტილებით მას დაევალა ახალი აქტის გამოცემა მხოლოდ იმ ფარ-

გლებში, რომ სადავო ბრძანებაში მითითებული ყოფილიყო გა-
თავისუფლების სწორი სამართლებრივი საფუძველი, მომხდა-
რიყო ბრძანების სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დრო-
ისათვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვა-
ნა, რაც სადავო ბრძანების გამოცემით შესრულდა. პალატამ მი-
იჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ბრძანე-
ბა გამოცემულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანუ-
ლი კანონის მე-4 მუხლის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის მე-10 მუხლის მოთხოვნების დარღვევით, უსაფუძვლოდ
მიიჩნია თავდაცვის სამინისტროს მხრიდან რეორგანიზაციის და
შტატების შემცირების ფაქტის დადასტურების მიზნით, თავ-
დაცვის მინისტრის 1997 წლის 28 თებერვლის №44 ბრძანებაზე
მითითება, რამდენადაც აღნიშნული მტკიცებულება ადმინის-
ტრაციული ორგანოს მიერ განხილვისა და შეფასების საგანი არ
ყოფილა და სადავო აქტის გამოცემას იგი საფუძვლად არ დას-
დებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 29.03.136. გადაწყვეტილება საკასაციო წე-
სით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რო-
მელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი გან-
ხილვისათვის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მო-
ითხოვა. თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივარში მიუ-
თითა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მი-
ღებისას არასწორად გამოიყენა სასკ-ის 32.4 მუხლი, რითაც და-
არღვია სასკ-ის მე-4, მე-19 და სასკ-ის 105.2 მუხლის მოთხოვნე-
ბი. კასატორი მიზანშეუწონლად მიიჩნევს სასკ-ის 32.4 მუხლის
გამოყენებას, რადგან თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში
საქმეში არსებული მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს,
რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ დაინტერესებული პირის აქ-
ტიური ჩართულობით გამოკვლეული იქნა საქმისათვის მნიშვნე-
ლობის მქონე ყველა გარემოება. თავდაცვის მინისტრის
25.12.1996 წ. №842 ბრძანებით ნ. გ-ა 1996 წლის 25 დეკემბრი-
დან გათავისუფლდა ცენტრალური ... კომისიის ... თანამდებო-
ბიდან. რასაც წინ უძღვოდა თავდაცვის მინისტრის 24.12.96წ.
№360 ბრძანება, რომლითაც გაუქმდა ცენტრალური ... კომისია
და შეიქმნა ახალი კომისია – ცენტრალური ... კომისია ახალი
სამტატო ნომრით. აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი მი-
იჩნევს, რომ 25.04.1997 წ. გავიდა ნ. გ-ას კადრების განკარგუ-
ლებაში ყოფინის 4-თვითან გადა და ამ დროისათვის თავდაცვის
სამინისტროში უკვე გაუქმებული იყო ის საშტატო ერთეული,
რომელიც ეკავა ნ. გ-ას. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო

უფლებამოსილი იყო დაეთხოვა ნ. გ-ა შტატების შემცირების მოტივით 25.04.1997 წელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.03.2013წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 03.03.1992 წ. №23 ბრძანებით კაპიტანი ნ. გ-ა დაინიშნა ცენტრალური ... სამმართველოს სამხედრო ... კომისიის ... მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 01.07.1.992წ. №100 ბრძანებით ნ. გ-ა დაინიშნა ცენტრალური ... კომისიის თავმჯდომარედ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.12.1996წ. №842 ბრძანებით ნ. გ-ა გათავისუფლდა ცენტრალური ... კომისიის ... თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 28.07.1997წ. №306 ბრძანებით ნ. გ-ა სამსახურებრივი შეუფერებლობის მოტივით დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 1997 წლის 25 თებერვლიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.01.01წ. №34 ბრძანებით გაუქმდა თავდაცვის მინისტრის 28.07.1997წ. №306 ბრძანების მე-2 პუნქტი კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში მყოფი ... სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკ ნ. გ-ას დათხოვნის შესახებ, ნ. გ-ა აღდგენილ იქნა 1997 წლის თებერვლიდან კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკასაციო სასამართლოს 26.03.03წ. განჩინებით ძალაში შევიდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 22.01.02წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. გ-ას უარი ეთქვა სამსახურში აღდგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, გადაწყვეტილება სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის. თბილისის საოლქო სასამართლოს 01.03.04წ. გადაწყვეტილებით ნ. გ-ას სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ, სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4 თვის სახელფასო დავალიანების – 168 ლარის გადახდა. საკასაციო სა

სამართლოს 30.07.04ნ. განჩინებით ნ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საოლქო სასამართლოს 01.03.04ნ. გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 9.6 პუნქტის თანახმად, ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაცვანით ან მის მიერ დროებით მოვალეობის შესრულება არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს და მის შესაბამისად კასატორისათვის განსაზღვრა ასანაზღაურებელი სახელფასო დავალიანების ოდენობა – 168 ლარი. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კასატორის ამჟამადაც კადრების განკარგულებაში ყოფნა წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული ბრძანებულების მოთხოვნის დარღვევას და არ წარმოშობს კადრების განკარგულებაში ყოფნის მთელი პერიოდის სახელფასო დაცვალიანების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლოს 30.07.04ნ. განჩინებისა და თავდაცვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს 06.06.06ნ. მიმართვის საფუძველზე, მინისტრის 06.06.06ნ. №1446 ბრძანებით გაუქმდა მინისტრის 25.01.01ნ. №34 ბრძანების მე-2 პუნქტი და ნ. გ-ა ჩაითვალა დათხოვნილად საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვი 1997 წლის 25 ივნისიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის (რეორგანიზაციით და შტატების შემცირებით) თანახმად. ნ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა მინისტრის 16.06.06ნ. №1446 ბრძანების ბათილად ცნობა, მისთვის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების თაობაზე ბრძანების, ასევე 2005 წლის 28 დეკემბრიდან ავადმყოფობის გამო მისი სამხედრო ძალებიდან დათხოვნისა და ამ მომენტამდე განაცდური პერიოდის სპეციალობით ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ მოპასუხისათვის ბრძანების გამოცემის დავალდებულება, ყველა სარგოს და 2004 წლის 1 ივლისიდან შრომის წიგნაკის ჩაბარებამდე სამხედრო ძალებიდან დათხოვნის თაობაზე ბრძანების გამოუცხადებლობით ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლოს 15.07.09ნ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მინისტრის 16.07.06ნ. №1446 ბრძანება ნ. გ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე

მა, დანარჩენ ნაწილში ნ. გ-ას მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლოს 15.07.09ნ. გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.06.12ნ. №1402 ბრძანებით გაუქმდა 25.01.01ნ. №34 ბრძანების მე-2 პუნქტი და ვიცე-პოლკოვნიკი ნ. გ-ა ჩაითვალა დათხოვნილად საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვში 1997 წლის 25 აპრილი-დან „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის VII თავის 37-ე მუხლის „გ“ ქვე-პუნქტის (შტატების შემცირების გამო) თანახმად.

სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასეთ შემთხვევაში სასამართლო დაავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაბუთებას და ემყარება მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ სამინისტრომ სადაც აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია შტატების შემცირების არსებობის საკითხი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, წარმოებაში ნ. გ-ას ჩართვა, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად გამოიცა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.06.12ნ. №1402 ბრძანება, რომლითაც მოსაზრებელები ჩაითვალა დათხოვნილად რეზერვში შტატების შემცირების გამო. სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სამინისტრომ არ გამოიკვლია კადრების შემცირების არსებობის საკითხი, არ ქმნის სადაც აქტის გაუქმების საკმარის საფუძველს, ვინაიდან შტატების შემცირების არსებობის საკითხის გარკვევის შესაძლებლობა სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო, მით უფრო, რომ სადაც საკითხზე სამინისტროს მიერ მანამდე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საკასაციო სასამართლოს 15.07.09ნ. გადაწყვეტილებით ერთხელ უკვე გაუქმდა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესის საფუძველზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოიცა საკასაციო სასამართლოს ორი აქტის – 15.07.09ნ. გადაწყვეტილებისა და

30.07.046. განჩინების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ ათავი-სუფლებს სასამართლოს საქმის განხილვის გარემოებების დად-გენა-გამოკვლევისაგან. საკასაციო პალატის 15.07.096. განჩი-ნებაში, რომლითაც მინისტრის ანალოგიური აქტი (16.06.066. №1446 ბრძანება) სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გაუქმდა, ყურადღება გამახვილდა მინისტრის ბრძანებაში გათავისუფ-ლების სამართლებრივი საფუძვლის უსწორო მითითებაზე, კერ-ძოდ, გათავისუფლების საფუძვლად ისეთი საკანონმდებლო აქ-ტის („სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის) მითითებაზე, რომელიც შეიარაღებული ძალებიდან 6. გ-ას დათ-ხოვნის მომენტში ჯერ არ იყო მიღებული. საკასაციო სასამარ-თლოს 15.07.096. გადაწყვეტილება, რომლითაც თავდაცვის მი-ნისტრის 16.06.066. №1446 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი 6. გ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში და ადმინისტრაციულ ორგანოს დაეგალა ახალი აქტის გამოცემა, აქტის ბათილად ცნობის სა-ფუძვლად არ უთითებს შტატის შემცირების არარსებობას, 15.07.096. გადაწყვეტილების არც სამოტივაციო და არც სარე-ზოლუციო ნაწილები არ შეიცავენ მითითებას დათხოვნის კონ-კრეტული საფუძვლის (რეორგანიზაციით და შტატების შემცი-რებით) უსწორობაზე. საკასაციო პალატის 15.07.096. გადაწყვე-ტილების საფუძველზე გამოცემული – მინისტრის 01.06.126. №1402 სადაცო ბრძანებაში შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნის საფუძვლად მითითებულია კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის (4 თვის) ამონურვის დროისათ-ვის მოქმედი საკანონმდებლო აქტი – „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანო-ნი, ამასთანავე საკასაციო პალატის 15.07.096. გადაწყვეტილე-ბა არ გამორიცხავდა გათავისუფლების საფუძვლად, მინისტრის წინარე 16.06.066. ბრძანების მსგავსად, შტატების შემცირების მითითებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კადრებს გან-კარგულებაში ყოფნის ვადის განმავლობაში თანამდებობაზე არ დანიშნვა, თავისთავად ქმნიდა სამხედრო მოსამსახურის შეია-რაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის საფუძველს. ხე-ლახლად ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული იყო დანტერესებული პირი – 6. გ-ა, ადმინისტრაციული წარ-მოების ჩატარების შედეგად შეიცვალა არა მხოლოდ საკანო-მდებლო აქტი, არამედ დაზუსტდა რეზერვში დათხოვნის თა-რილი (6. გ-ა 25.06.1997წ. ნაცვლად 25.04.1997წ. ჩაითვალა რე-ზერვში დათხოვნილად). ამასთანავე, სასკ-ის 32.4 მუხლის სა-

ფუძველზე წინა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართელებრივი აქტის გაუქმება არ წინავს უპირობოდ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემული აქტით წინარე აქტის მსგავსი შედეგის დადგომის შესაძლებლობის გამორიცხვას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალების მიხედვით საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.12.1996წ. №842 ბრძანებით ნ. გ-ა განთავისუფლდა ცენტრალური ... კომისიის ... თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, ხსენებული ბრძანება არ გასაჩივრებულა და ძალაშია. სამხედრო მოსამსახურის შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში ჩარიცხული პირის რეზერვში ყოფნა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს, კადრების განკარგულებაში ყოფნის ოთხვიანი ვადის ამონურვის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად აღნიშნული ვადის ამონურვიდან მეორე დღეს (საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის წესის“ მე-9 თავის მე-6 პუნქტი). კანონიერ ძალაში მყოფი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 22.01.02წ. გადაწყვეტილებით ნ. გ-ას უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის ზღვრული ვადა ამონურულია, მით უფრო, რომ 08.09.1997წ. ნ. გ-ა დაინიშნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ... ინსპექციის უფროსის მოადგილედ. იმუამად მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 20.10.1993წ. №748 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში რთვიცერთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების მეექვსე თავის 39-ე პუნქტი სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ოფიცირებს უკრძალავდა შეთავსებით მუშაობას. კადრების განკარგულებაში ვადის ამონურვის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა („საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ 29.12.1992წ. საქართველოს რესპუბლიკის კანონი და მის საფუძვლზე მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ოფიცირთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 1 თავის მე-7 პუნქტი)

ითვალისწინებდა ოფიცირების დათხოვნას სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის, სამსახურებრივი შეუთავსებლობის, შტატების შემცირების, ოფიცირის დამამცირებელი საქციელის გამო. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. გ-ა უარყოფს გათავისუფლების ყველა ხსენებულ საფუძველს, თვლის, რომ მისი გათავისუფლების საფუძველი არ არსებობდა მაშინ, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით მას უკვე უარი აქვს ნათქვამი სამსახურში აღდგენაზე, გარდა ამისა, თავდაცვის მინისტრის 25.12.1996წ. №842 ბრძანება, რომ-ლითაც ნ. გ-ა სასატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში, ძალაშია და საერთოდ არ გასაჩივრებულა. ამასთანავე, კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში ყოფნის ოთხვანი ვადის გასვლის მომენტისათვის ცენტრალური ... კომისია მინისტრის 24.12.96წ. №360 ბრძანებით უკვე გაუქმებული იყო, მის ნაცვლად შეიქმნა ახალი სტრუქტურა – ცენტრალური ... კომისია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. გ-ას შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში ჩარიცხვამდე გამოცემული „თავდაცვის სამინისტროს ჯარებში საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.02.1997წ. №44 ბრძანებით ცენტრალური ... კომისიის №22/115-51, 3/128-51, 19/912-52 შტატები გაუქმდა. სააპელაციო პალატას არ მიუცია შეფასება ხსენებული ბრძანებისათვის, არ უმსჯელია გამოიწვია თუ არა საშტატო განრიგის ცვლილებამ შტატების შემცირება, შეეხო თუ არა ის კომისიის თავმჯდომარეს, სააპელაციო პალატას არ შეუსწავლია გაუქმებული და ახლად შექმნილი კომისიის უფლებამოსილება. მხედველობაშია მისაღები, რომ ლიკვიდაციის ნაცვლად რეორგანიზაციის განხორციელება თავისთვად არ გამორიცხავს კადრების შემცირებას, რეორგანიზაციას შესაძლოა თან სდევდეს შტატების შემცირება („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 19.2 მუხ., 97-ე მუხ.). კომისიის თავმჯდომარის თანამდებობის არსებობა თავისთავად არ უარყოფს კადრების შემცირებას, შტატების შემცირების გარკვევა საჭიროებს რეორგანიზაციამდე და მის შემდეგ სტრუქტურის სტატუსის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, უფლებამოსილებათა წრის, ნ. გ-ას ახალი თანამდებობისადმი მონაცემების შესაბამისობის დადგენას. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ახალი სტრუქტურის თავმჯდომარის ფუნქციონალური დატვირთვაზე, ფუნქციონალურ-კომპეტენტური მოთხოვნების ცვალებადობაზე, რაც არ

იძლევა საკასაციო ინსტანციაში დავის არსებითი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე ინსტანციის სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, 412-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.2013წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამუშაოზე აღდგენა

სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-651-626(კ-13)

29 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა; სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ი. პ-ი

მოპასუხე: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მესამე პირები – ქ. ს-ი, მ. ბ-ი

სარჩელის სახე: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
2013 წლის 28 თებერვლის №1-123 ბრძანების კანონიერება, სამ-
სახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩევე 2004 წლიდან მუშაობდა გორის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს შინდისის ტერიტორიული ორ-
განოს უფროს სპეციალისტად, მისი სამსახურიდან განთავისუფ-
ლება განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით, ადგილი აქვს პო-
ლიტიკური მოსაზრებების გამო დისკრიმინაციას.

სამართლებრივი: სადაც ბრძანებით დარღვეულია ორგა-
ნული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კა-
ნონის 33-ე, 39-ე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე,
99-ე, 52-ე მუხლები.

მოპასუხე – გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესა-
გებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხეს ფაქტობრივ გარემოებებზე არ მი-

უთითებია.

სამართლებრივი: მოსარჩელეს არ მიუთითებია ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის რომელი პუნ-ქტი დაირღვა სადავო აქტის მიღების დროს. „საჯარო სამსახუ-რის შესახებ“ კანონის 52-ე, 93-ე და 99-ე მუხლების დარღვე-ვასთან დაკავშირებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ ორგანული კა-ნონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 33-ე მუხ-ლის მესამე პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კა-ნონის 39-ე მუხლის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის მოსამსახურეთა წახალი-სებისა და მათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკის-რების შესახებ, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

2. მოსარჩელე: ი. კ-ი

მოპასუხე: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე პირები – ქ. ს-ი, ი. ბ-ი

სარჩელის სახე: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 28 თებერვლის №1-121 ბრძანების კანონიერება, სამ-სახურში აღდგენა, გახაცდურის ანაზღაურება

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლება განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით, ადგილი აქვს პოლიტი-კური მოსაზრებების გამო დისკრიმინაციას.

სამართლებრივი: სადავო ბრძანებით დარღვეულია ორგა-ნული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კა-ნონის 33-ე, 39-ე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე, 99-ე, 52-ე მუხლები.

მოპასუხე – გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესა-გებლი:

ფაქტობრივი: მოპასუხეს ფაქტობრივ გარემოებებზე არ მი-უთითებია.

სამართლებრივი: მოსარჩელეს არ მიუთითებია ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის რომელი პუნ-ქტი დაირღვა სადავო აქტის მიღების დროს. „საჯარო სამსახუ-რის შესახებ“ კანონის 52-ე, 93-ე და 99-ე მუხლების დარღვე-ვასთან დაკავშირებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ ორგანული კა-ნონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 33-ე მუხ-ლის მესამე პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კა-ნონის 39-ე მუხლის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარე

იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის მოსამსახურეთა წახალი-სებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკის-რების შესახებ, რის გამოც სასამართლო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის განჩი-ნებით აღნიშნული სარჩელები გაერთიანდა წარმოებით სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 მაისის განჩი-ნებით საქმეში მესამე პირებად ადმინისტრაციული საპროცე-სო კოდექსის 16.2. მუხლის საფუძველზე მოწვეულ იქნენ მო-სარჩელეთაგან გამოთავისუფლებულ ვაკანსიებზე დანიშნული მოხელეები: – შინდისში – ჟ. ს-ი, ვარიანში – ო. ბ-ი.

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის სასა-მართლო სხდომაზე მოსარჩელეებმა სარჩელის ტრანსფორმა-ციის ინსტიტუტის მეშვეობით მოითხოვეს სადავო აქტების არა-რად აღიარება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუ-ციო:

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გა-დაწყვეტილებით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტები არარად იქნა აღიარებუ-ლი, იმულებითი განაცდური აუნაზღაურდათ არა უმეტეს 3 თვის სარგოს ოდენობით.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე უდავო ფაქტობრივი გარემოებები არ დადგენილა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

2013 წლის 30 იანვარსა და 5 თებერვალს გორის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოში სოფლების – ვარიანისა და შინდისის მაცხოვრებელთა სახელით დარეგისტრირდა განცხადებები ი. პ-ისა და ო. კ-ის ნინა საარჩევნო შეხვედრებისას ქმედებების შესახებ, რომლის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით, 2013 წლის 26 თებერვალს გამგეობამ ჩაატარა ზეპირი მოსმენა, სადაც გა-მოქვეყნდა ინტერნეტით გავრცელებული კადრები, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულმა განყოფილებამ მოხსენებითი ბარათები წარუდგინა გამგებელს მოხელეთა მი-მართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, აღნიშ-ნულის შედეგად, გამგებელმა მოხსენებითი ბარათებით მიმარ-თა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მო-სარჩელეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან განთავისუფლების შეფარდების შესახებ.

სასამართლოს მიერ სადაცოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

სასამართლოს დასკვნები: ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „თ“ და „მ“ ქვეპუნქტების თანახმად, გამგებელი (მერი) „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს; საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაცისრების შესახებ. სასამართლოს განმარტებით, ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით საკრებულოს თავმჯდომარეს, ზოგადად, მინიჭებული აქვს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება, თუმცა, 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „თ ქვეპუნქტის დანაწესი-დან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამგეობის თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლების შეფარდების უფლებამოსილება საკრებულოს თავმჯდომარეს არ გააჩნია. აღნიშნული მუხლის მიხედვით ამგვარი კომპეტენცია მხოლოდ გამგებელს გააჩნია, კერძოდ, გამგებელს ენიჭება გამგეობის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების უფლება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით, რაც სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ გამგებელს უფლება აქვს, მოსამსახურე გაათავისუფლოს სამსახურიდან, როგორც პირადი განცხადების დაკავილების, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან განთავისუფლების დაკისრების შემთხვევაშიც. სასამართლომ მიუთითა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლის შოთხოვნაზე, რომ მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს და მიიჩნია, რომ ნორმა სრულ შესაბამისობაშია იერარქიით ზემდგომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტთან, რამდენადაც გამგებელს ენიჭება უფლება, გაათავისუფლოს სამსახურიდან ის მოხელე, რომლის სამსახურში მიღების უფლებაც აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სზაკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სა-

დავონ აქტები მიიჩნია არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცე-
მულად, ცნო ისინი არარად, შესაბამისად, დაადგინა, რომ მო-
სარჩელენი აღდგენილ უნდა იქნენ თანამდებობებზე და მიე-
ცეთ იძულებითი განაცდური არა უმეტეს 3 თვის თანამდებობ-
რივი სარგოსი.

აპელანტი: გორის მუნიციპალიტეტი
მოწინააღმდეგე მხარეები – ი. პ-ი, ი. კ-ი
მესამე პირები – ჟ. ს-ი; ო. ბ-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/: გორის
რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტი-
ლების გაუქმება, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწ-
ყვეტილების მიღებით ი. პ-ისა და ი. კ-ის სარჩელის დაქმაყოფი-
ლებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:
ფაქტობრივი: ფაქტობრივ გარემოებებზე აპელანტს პრე-
ტენდია არ წარუდგენია

სამართლებრივი: რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა
კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო ამ საქმისადმი
იმპერატიულობაში მყოფი კანონმდებლობა განმარტა არასწო-
რად, ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
შესახებ“ 33-ე და 39-ე მუხლები, აპელანტის მიჩნევით, სრულ-
ყოფენ ერთმანეთს, რადგან მუნიციპალიტეტის გამგებელს გამ-
გების მოსამსახურეთა დანიშვნისა და განთავისუფლების უფ-
ლება კუთხით საკადრო პოლიტიკაში, მართალია, „საჯარო სამ-
სახურის შესახებ“ კანონით გააჩნია, მაგრამ ამ ორი საკანონ-
მდებლო აქტის (ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმარ-
თველობის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანო-
ნის), სამართლებრივი ბუნებით სირთულეს არ წარმოადგენს იმ
უფლებამოსილებათა გამიჯვნა, რომ მუნიციპალიტეტის გამ-
გებლის უფლებამოსილება განხილულ უნდა იქნეს მოსამსახუ-
რის მიერ ნების თავისუფლად გამოვლენის ფარგლებში, რად-
გან ორგანული კანონის 33-ე და 39-ე მუხლების პირველი პუნ-
ქტების შედარებისას მარტივია იმის დანახვა, რომ საკრებუ-
ლოს თავმჯდომარე არის არა მარტო საკრებულოს, არამედ, მთე-
ლი თვითმმართველობის ხელმძღვანელი, ხოლო გამგებელი ამ
თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც ძირითადად,
თვითმმართველობის მენეჯერის/კოორდინატორის ფუნქციე-
ბი გააჩნია და გამგების მოსამსახურეთა მიმართ დისციპლი-
ნის ზომის გამოყენების გადაწყვეტილების უფლებამოსილებას
კანონმდებელი მას დამოუკიდებლად არ ანდობს.

მოწინააღმდეგის შეპასუხება: ი. პ-ისა და ი. კ-ის წარმო-

მადგენელმა კ. კ-ემ არ ცნო აპელაცია და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოტივები: დასაბუთება წარმოდგენილი არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აპელაცია დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. პ-ისა და ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად იქნა ცნობილი, ისინი აღდგენილ იქნენ თანამდებობებზე და იძულებითი განაცდური აუნაზღაურდათ 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

სასამართლოს მოტივაცია: სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასებები ნორმათა განმარტების ნაწილში, კერძოდ, სადაც აქტები არ არის გამოცემული უფლებამოსილი პირის მიერ, როგორც ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია განსხვავებული სამართლებრივი ხედვით გასაჩივრებული აქტების არარად თუ ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით. სასამართლოს მსჯელობით, პრაქტიკაში დღემდე პრობლემურია ბათილი და არარა აქტების გამიჯვნის პრობლემა. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემა ცალსახად არ იწვევს მის არარა აქტად აღიარების შესაძლებლობას. იმ პირობებში, როდესაც ცალკეულ თანამდებობის პირთა კომპეტენცია მკვეთრად არ არის გამიჯვნული, საკამათოა და კომპეტენციის დადგენა შესაძლებელია შხოლოდ ნორმათა ერთობლიობაში გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია აქტის არარაობის საფუძვლებზე მითითება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორედ ამ ორი ინსტიტუტის გამიჯვნის ნათელ მაგალითს განეკუთვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი და 60.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლში მითითებულია უფლებამოსილებების გადამეტებით მიღებულ აქტზე, ხოლო 60.1 „ბ“ ქვეპუნქტი მიუ-

თითებს აქტის არარაობაზე იმ პირობებში, როდესაც აქტი გა-
მოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსი-
ლი პირის მიერ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორგანოს ან პირის
უფლებამოსილება აქტის გამოცემის პროცესში იმდენად ცალ-
სახა და თვალში საცემია, რომ ეს აშკარა უკანონობა ადრესატს
აძლევს შესაძლებლობას, ასეთ აქტს არ გაუწიოს ანგარიში, რაც
წარმოადგენს ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთგამიჯვნის მთა-
ვარ მახასიათებელს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სა-
სამართლომ დასკვნა, რომ სადავო აქტების კანონდარღვევით
მიღება არ იძლევა აქტების არარად აღიარების საფუძველს და
იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღიარებითი სარჩელი
ამკვიდრებს მატერიალური უფლების დაცვის უფრო მაღალ
სტანდარტებს, აქტის არარად აღიარებას მოჰყვება უფრო მძი-
მე შედეგი, ვიდრე ბათილობას, შესაძლებლად მიიჩნია სადავო
აქტების ბათილად ცნობა სარჩელის ნაწილობრივ დაკამაყოფი-
ლების გზით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელეთა
მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად – სამსახუ-
რიდან გათავისუფლების შეფარდების თაობაზე, მიიჩნია იგი და-
უსაბუთებლად საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების
გამოკვლევის და დადგენის შედეგად.

კასატორი: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მოწინააღმდეგე მხარეები: ი. პ-ი, ი. კ-ი

მესამე პირები: ქ. ს-ი, ო. ბ-ი

კასაციის საგანი და მოცულობა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების
გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფი-
ლებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

კასატორი ძირითადად უთითებს იმავე მოტივებზე, რაზეც
სააპელაციო საჩივარში და დამატებით აღნიშნავს: ორივე სასა-
მართლო ინსტანციას აპნევს ის სამართლებრივი ბერკეტი, რომ
„სამსახურიდან განთავისუფლება“, როგორც დისციპლინური
ზომა შედის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 79.1 მუხ-
ლის შემადგენლობაში და მისი თვითმმართველობაში გამოყე-
ნების სამართლებრივ ადმინისტრაციულ/პროცესუალურ მიდ-
გომას მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით ხდავს.
აქედან გამომდინარე, კასატორის საპელაციო სასამართლოს მი-
ერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის გამო-
ყენება უსაფუძვლოდ მიაჩნია. კასატორის აზრით, სააპელაციო

სასამართლომ უპასუხოდ დატოვა საკითხი – ორგანული კანონის იმპერატიული ნორმა საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებად დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებასთან მიმართებით, რომ თუ საკრებულოს თავმჯდომარეს არ გააჩნია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად „სამსახურიდან განთავისუფლების“ გამოყენება (როგორც ეს გადაწყვეტილებაშია), გამგეობის მოსამსახურეთა მიმართ, მაშინ გაუგებარია, როგორ შეიძლება ჰქონდეს სხვა დისციპლინური ზომების გამოყენების უფლება. კასატორის აზრით, საკრებულოს თავმჯდომარეს ეს უფლებამოსილება ან აქვს ან არა. აგრეთვე, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი და დავის გადაწყვეტისას უპირატესობა არ მიანიჭა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის უფლებამოსილებათა დამდგენი ნორმების შინაარსს.

მოწინააღმდეგე მხარეებმა წარმოდგენილ შესაგებელში არ ცნეს კასაცია და მოითხოვეს მის დაუმაყოფილებაზე უარის თქმა, ამასთან, მიუთითეს, რომ მათი აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი იმ გაეტიო, რომ გასაჩივრებული აქტები ცნო ბათილად და არა არარად, რამდენადაც მიაჩნიათ, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს არ ჰქონდა უფლებამოსილება ამგვარი აქტების გამოცემისა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ წერილობითა მოსაზრებით მოითხოვა კასაციის დასაშვებად ცნობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემდეგი მოტივაციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ცალსახად განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციას, მიიღოს გადაწყვეტილება ამავე კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად, გამგეობის მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. აქვე ცალსახადაა გამიჯნული გამგებლის კომპეტენცია საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგინოს წინადადებები გამგეობის მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. სასამართლოს მსჯელობა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს შეუძლია შენიშვნა მისცეს გამგეობის თანამშრომელს, ხოლო სამსახურიდან გათავისუფლების უფლება არ გააჩნია, რადგან გამგებელი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის 39.3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თა-

ნამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგეობის თანამშრომლებს, გაურკვეველია. კასატორის აზრით, გაუგებარია ორგანული კანონის ჩანაწერი 33.3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტში, რომელიც განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციას, მიიღოს გადაწყვეტილება ამავე კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად, გამგეობის მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ და არ არის გამიჯნული, თუ რომელი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების უფლება გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასპეციალური ნანამძღვრები:

საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კასაცია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც ასლოლუტური კასაცია, საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ი. პ-ისა და ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს; არარა აქტებად იქნეს აღიარებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №1-123 და №1-121 ბრძანებები; ი. პ-ი და ი. კ-ი აღდგენილ იქნენ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაკავებულ თანამდებობებზე, გორის მუნიციპალიტეტს დაეკისროს მოსარჩელების სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობივი სარგოს ანაზღაურება.

კასაციის დაშვების ნანამძღვრის განმარტება კონკრეტულ საქმეზე: ნინამდებარე საკასაციო საჩივრის მოტივი, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც სადაც სამართალურ-თიერთობაში გამოსაყენებელი ნორმების მიმართ საკასაციო სა-

სამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამდლენები, შესაბამისად, მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ უნდა განიმარტოს:

1. ადგილობრივ ოფიციალური თვითმმართველობის ორგანოებში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის (მერის) კომპეტენციის დამდგენი ნორმების შინაარსი საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით;

2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სტანდარტის გამოყენება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში;

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარებისა და ბათილად ცნობის სხვადასხვა საფუძვლების ლოგიკა და აღნიშნულიდან გამომდინარე;

4. ადმინისტრაციული სარჩელების სახეების, როგორც უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივ საშუალებათა გამიჯვნა, ადმინისტრაციული სარჩელების სახეთა გამოყენება და მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპებიდან გამომდინარე სამართლო კონტროლის ფარგლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები ხელს შეუწყობს, როგორც ადმინისტრაციულ მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების სწორ, კვალიფიციურ გაზრებასა და მართებულ გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში. ადმინისტრაციული სარჩელების სახეების მეშვეობით უფლების დაცვის სპეციფიკა მოითხოვს მათ მკაფიოდ გამიჯვნას და გარდა დავის ობიექტისა, უნდა განისაზღვროს ის წინაპირობები, რა შემთხვევაშია შესაძლებელი ამა თუ იმ სარჩელის სახის გამოყენება. საკასაციო სასამართლო იმედოვნებს, რომ მოცემული განმარტება ასევე სასარგებლო იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემისა და მუნიციპალური მოსამსახურეთათვის, შესაბამისად, სახელმძღვანელო მათი პრაქტიკული საქმიანობისთვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ქვემდგომმა სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი დასკვნები, რაც ადასტურებს

ადმინისტრაციული, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ინსტიტუტების თაობაზე დეტალური და სახელმძღვანელო გან-მარტებების მოხდენის საჭიროებას.

დავა წარმოშობილია საჯარო შრომითი სამართლებრივი ურ-თიერთობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრა-ციასა და თვითმმართველობის მოსამსახურეთა შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გა-დაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მატერია-ლური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გა-მოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, სასამარ-თლომ არასწორად განმარტა კანონი, რითაც დარღვეულია სასკ-ის 393.2 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სააპელაციო სასამარ-თლომ არასწორად განმარტა ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და არარად ცნობის საფუძ-ვლები, არასწორად განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსის 5.3 მუხლი. აგრეთვე, არასწორად გამოიყენა ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლით მინიჭებული უფ-ლებამოსილება სადაც აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რამ-დენადაც სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული სარჩევლის სახე – ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვ-ნით, როგორც ადმინისტრაციული კოდექსის 32.1 მუხლის გა-მოყენების წინაპირობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე დავის კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტა საჭიროებს „ადგილობ-რივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით განსაზ-ღვრული თვითმმართველობის თანამდებობის პირების – საკრე-ბულოს თავმჯდომარისა და გამგებლის კომპეტენციების ანა-ლიზსა და ფარგლების დადგენას.

ცალსახაბა, რომ ორგანული კანონის 33.1 მუხლის მიხედვით კანონმდებელი თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელ პირად განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდო-მარეს, ამავე კანონის 39.1 მუხლის თანახმად გამგებელი (მერი) წარმოადგენს თვითმმართველობის საჯარო მოხელეს, რომელ-საც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, თა-ნამდებობაზე წიშნავს და ათავისუფლებს საკრებულოს თავ-მჯდომარე საკრებულოს თანხმობით.

ამავე მუხლის მე-3 წარილში ჩამოთვლილია საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი უფლებამოსილებები. წინამ-დებარე დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, გაანალიზ-

დეს ამ თანამდებობის პირების კომპეტენციების დადგენისა და განაწილების ლოგიკა საჯარო მრომითსამართლებრივი ურთიერთობების კონტექსტში.

ორგანული კანონის 33.3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციას განეკუთვნება გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა იმ დათქმით, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს ამავე კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად. თავის მხრივ, ორგანული კანონის 39-ე მუხლი ადგენს გამგებლის (მერის) უფლებამოსილებათა ნუსხას. 33.3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული დათქმა „39-ე მუხლის შესაბამისად“ საკასაციო სასამართლოს აზრით, ლოგიკურად გულისხმობს 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დანაწესს – „გამგებელი (მერი) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის (მერის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“, რაც ერთიანობაში ნიშნავს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციის – გამგეობის (მერის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების რეალიზაცია დამოკიდებულია გამგებლის მიერ 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული კომპეტენციის რეალიზებაზე (წარუდგენს წინადადებებს). აღნიშნული თავის მხრივ, ბოჭავს გამგებელს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახადასკვნა უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს გააჩნია კომპეტენცია, გამგეობის მოსამსახურეთა მიმართ მიიღოს გადაწყვეტილება წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ, მხოლოდ იმ ვითარებაში, როცა გამგებელი მას ამგვარი წინადადებით მიმართავს.

საკასაციო სასამართლო ორგანულ კანონში განხორციელებული ურიცხვი ცვლილებების შესწავლის შედეგად საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის ამგვარი ურთიერთდამოკიდებული უფლებამოსილების რეგლამენტაცია სწორედ საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგია. ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქცია /2005წ.16.12/ 33-ე მუხლში ადგენდა რა საკრებულოს თავმჯდომარის, ხოლო

39-ე მუხლში გამგებლის (მერის) უფლებამოსილებებს, 39.4 მუხლის „პ“ ძველუნქტის მიხედვით გამგებელი იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოხელეების წახალისებისა და მათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

სადაც ატების გამოცემის მომენტში „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციით თვისობრივად არის შეცვლილი საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის უფლებამოსილებები, თვალსაჩინოს საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებათა დაიპაზონის გაზრდა, შესაბამისად, გამგებლის უფლებამოსილებათა სფეროს მინიმალიზება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლმა გამგებლის (მერის) გამგეობის თანამშრომელთა მიმართ დისკიპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ უფლებამოსილება დაიყვანა საკრებულოს თავმჯდომარისადმი წინადადების წარდგენის ფუნქციამდე, ანუ მას ამგარი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აღარ გააჩნია, პარადოქსულია, რომ დაუტოვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარება-შეწყვეტის უფლებამოსილება გამგეობის თანამშრომელებთან.

ამდენად, ორგანული კანონით შექმნილია იმგვარი სამართლებრივი ვითარება, რომ საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს – ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციას უფლება აქვს, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველობის მოსამსახურეთა სამსახურში დანიშვნის ან განთავისუფლების თაობაზე, თუმცა, ამავე თანამშრომელთა წახალისებისა და დისკიპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. საინტერესოა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის ეს რედაქცია უტოვებს რა გამგებელს თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, არ ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით დისკიპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ზომად განსაზღვრულია სამსახურიდან გათავისუფლება, რამდენადაც ამშემთხვევაზე არაფერია დადგენილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორგანული კანონის ეს რედაქცია წინააღმდეგობრივია, რამდენადაც იგი შეიძლება გაგებულ იქნეს რამდენიმე გვარად:

1. მხოლოდ გამგებელია უფლებამოსილი დანიშნოს და გაათა-

ვისუფლოს გამგეობის თანამშრომელი /მოსარჩელის ვერსია/;

2. მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეა უფლებამოსილი სამსახურიდან გაათავისუფლოს გამგეობის თანამშრომელი, თუ ეს გათავისუფლება წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შედეგს, თუმცა მხოლოდ გამგებლის წინადადების შემთხვევაში;

3. ორივე თანამდებობის პირი უფლებამოსილია, გაათავისუფლოს გამგეობის თანამშრომელი;

4. გამგებელი მხოლოდ მოხელის ნების გამოვლენის შემთხვევაშია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ, ხოლო თუ გათავისუფლება წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების სახეს, მაშინ გამგებელმა წინადადებით უნდა მიმართოს საკრებულოს თავმჯდომარეს და ის უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება /მოპასუხის ვერსია/.

საკასაციო სასამართლო ამგვარ საკანონმდებლო მოწესრიგებას მიიჩნევს, როგორც აშკარა შეუსაბამოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის კანონშემოქმედებითი პროცესის კვალიფიციურად შესრულების ვალდებულებასთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო პრაქტიკაში იშვიათია არ არის ამგვარი შემთხვევები, როცა ნორმები წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. სადავო სამართალურ-თიერთობის მომწესრიგებელი ნორმების წინააღმდეგობრივი ბუნება სასამართლო ინტერპრეტაციის შედეგად უნდა დაიძლიოს. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ იმსჯელა თავის გადაწყვეტილებებში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, მათ შორის: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაში აღმინისტრაციულ საქმეზე №ბს-906-192-(კ-05) დ. ა-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზ-

ლუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხასიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს.“

აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, საგულისხმოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – საქმეზე მ. ნ-ე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში №2/2-389 ჩამოყალიბებული განმარტებები:

„საკონსტიტუციო სასამართლომ ხარისხის მიხედვითაც უნდა შეაფასოს სადაცო ნორმები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადაცო ნორმა უხარისხოა, დადგინდება კონკრეტული უფლების დარღვევაც. ხარისხის თვალსაზრისით კანონს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები – ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი, არ იძლეოდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას“.

„დარღვეულია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპითან და გულისხმობს, რომ ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი. ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებთან სადაცო ნორმების შესაბამისობის ანალიზისას, უნდა დაადგინოს, ხომ არ გამოუწვევია უფლების დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ე. ლ-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ: „კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვის და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განსაზღვროს სა-

ჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში, შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აუცილებლობას თუ გარდაუვლობას, სისწორესა თუ მართლზომიერებას".

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მოქმედ 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის, რომლითაც დადგენილია გამგებლის/მერიის უფლებამოსილებანი, I ნაწილის „ა.გ“ და „ა.დ“ ქვეპუნქტების მიხედვით იგი ნიშნავს და ათვისუფლებს, როგორც გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს, ასევე გამგეობის/მერიის მოსამასახურებს.

„ა.ზ“) ქვეპუნქტის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის/მერიის მოსამასახურეთა ნახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

ორგანული კანონის მოქმედი რედაქცია, რომელიც სრულ ჰარმონიაშია „საჯარო სამსახურის კანონით“ განსაზღვრულ სამართლებრივ სქემასთან, ადასტურებს, რომ კანონმდებელს რაიმე „მოდელის“ (სადაც საჯარო მოსამასახურის მიმართ შრომით-სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია ორ თანამდებობის პირს შორის იქნებოდა განაწილებული) შექმნის პოლიტიკის გატარება არ ჰქონია მიზნად, არამედ სახეზეა საკანონმდებლო ხარვეზი, რაც მოქმედ რედაქციაში გონივრულად აღმოფხვრილია.

2. საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ ორგანული კანონის წინააღმდეგობრივი ნორმების სწორი ინტერპრეტაცია უნდა დაეფუძნოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სტანდარტს, ვინაიდან საკასაციო სასამართლო სადაც სამართალურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ მოსამარჩევები წარმოადგენდნენ თვითმმართველობის მოსამსახურებს, რომელთა სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. ამავე კანონის 2.4 მუხლის მიხედვით გამგეობაში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, 4.2 მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფ პირს განიხილავს და მიიჩნევს ადგილობრივი თვითმმართველობის

მოსამსახურედ. შესაბამისად, მათ მიმართ სრულად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი გარანტიები, როგორც საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა“ (მუხლი 13.5 „ი“).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც სამოხელეო სამართალი, ასევე მუნიციპალური სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს, შესაბამისად, მათი მომწერივებელი კანონმდებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს და იგი უნდა პასუხობდეს და შესაბამებოდეს ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების განმსაზღვრელ ძირითად სტანდარტს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოსამსახურე წარმოადგენს საჯარო მმართველობაში დასაქმებულ პირს, რაც გულისხმობს, რომ იგი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, აღჭურვილი და გარანტირებული მოცემული სამართლის ინსტიტუტებით, უფლებამოსილებითა და სტანდარტებით, /, ისევე, როგორც/, დატვირთული ამ სამართლით დადგენილი საჯარო ვალდებულებების აღსრულებით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პრეამბულაშივე ახდენს დეკლარირებას, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადგილობრივ თვითმმართველობაში სამსახური ამ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით განეკუთვნება საჯარო სამსახურის ერთ-ერთ სახეს, რამდენადაც საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია და ეს სისტემა საქართველოს საჯარო შრომითი ურთიერთობების მოდელს წარმოადგენს. სწორედ ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის ცნებას, სახეებს, სამსახურში მიღების, დაწინაურების, წახალისების, დისციპლინურ გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებს და მათი დაკისრების, სამსახურიდან გათავისუფლების კრიტერიუმებს, სტანდარტებს, პროცედურასა და წესებს, შესაბამისად, ამავე კანონით ვე არის დადგენილი საჯარო მოსამსახურთა უფლება-მოვალეობათა ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს,

რომ თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამის დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილით ასევე იმპერატიულად არის განსაზღვრული, რომ მოხელის დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამომყენებელი ანუ გადაწყვეტილების მიმღები პირი არის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე თანამდებობის პირი ან დაწესებულება, ხოლო 93-ე მუხლი ასევე იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე პირს ან დაწესებულებას.

საკრებულოს თავმჯდომარისათვის თვითმმართველობის მოსამსახურთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების უფლებამოსილების მინიჭება იმ პირობებში, როცა იგი ორგანული კანონითვე არ წარმოადგენს მათ დანიშვნა-გათავისუფლებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს, მთლიანად არღვევს იმ სამართლებრივ სქემას, რომელიც საჯარო სამსახურის პრინციპულ ღერძს წარმოადგენს.

ამგვარად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურის მიმართ, როგორც ადმინისტრაციული (დანიშვნა, გათავისუფლება) ისე დისციპლინური (პასუხისმგებლობის სახეები) გადაწყვეტილების მიღება ურთიერთგადაჯაჭვულია და ერთი და იმავე თანამდებობის პირის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრინციპული ხასიათის დამოკიდებულება საჯარო მოხელის მიმართ ნებისმიერი შრომით-სამართლებრივი ტიპის გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილი პირის განსაზღვრასთან დაკავშირებით პრიორიტეტულია და მას უნდა შეესაბამებოდეს საჯარო სამსახურის ორივე სახის, როგორც სახელმწიფო, ასევე, თვითმმართველობის მომწესრიგებელი ორგანული კანონმდებლობა. საკანონმდებლო ლოგიკიდან გამომდინარე, დაუმცვებელია საჯარო მოხელის მიმართ შრომით საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილი თანამდებობის პირის კომპეტენციის ამგვარი არაკვალიფიციური მოწესრიგება.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებათა პრიორიტეტს პირდაპირ უკავშირებს საჯარო მოხელის უფლებრივ სტატუსს და მის კანონიერ მოლოდინს – მის მიმართ გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს იმ ძირეული სამართლებრივი პრინციპების დაცვით, რომლის საფუძველ-

ზეც იგი ამ სტატუსს ატარებს.

საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ფუნდამენტური დებულებების საწინააღმდეგოდ რომელიმე საკანონმდებლო აქტით დადგინდეს მოწესრიგება, რომელიც არ ექვემდებარება საკანონმდებლო ლოგიკას და ლახავს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს – საჯარო მმართველობის კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონიერი ნდობის უფლების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას, რომ ორგანული კანონით დადგენილი გამგებლის კომპეტენცია ინტერპრეტირებულ იქნეს იმგვარად, რომ გამგებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გამგებობის თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება, როცა ეს მოხელის ნების გამოვლენის შემთხვევაში ხდება, ხოლო დისციპლინური გადაცდომის პირობებში პასუხისმგებლობის ზომის სახით – სამსახურიდან გათავისუფლების შეფარდების კომპეტენცია მას არ გააჩნია, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანონის დანაწესის ამგვარი განმარტების პირობებში, სახეზე გვექნება თვითმმართველობის მოხელის მიმართ შრომით-სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაზე ორი უფლებამოსილი თანამდებობის პირი. საკასაციო სასამართლო თანამდებროვე ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლისა და ანალიზის შედეგად განმარტავს, რომ ამგვარი დაშვება არ გვხვდება არც ერთ საჯარო სამსახურის მოდელში (მაგ. ფრანგული, რომანულ-გერმანული, ბრიტანული), არც ერთ სამართლებრივ სისტემაში საჯარო მოხელის მიმართ სამსახურებრივ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებები არ არის გადანაწილებული სხვადასხვა თანამდებობის პირებს შორის. ამდენად, საქართველოს შემთხვევაში ორგანული კანონის ტექსტი ემყარება არა რომელიმე საჯარო სამსახურებრივი მოდელის კონცეფციას, არამედ მხოლოდ არაკავალიფიციური კანონშემოქმედების რეზულტატს წარმოადგენს. შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა, რომ სასამართლო ხელისუფლებამ ამგვარი „ახსნა“ მოუქებნოს კანონის ხარვეზიან ნორმებს, გაუმართლებელია და ენიანააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. კანონმდებელი ვალდებულია, აღმოფხვრას საკანონმდებლო ტექსტში წინააღმდეგობა, რომელიც შეუსაბამოა საჯარო სამსახურის კონცეფციასთან, სამოხელეო და ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპთან – გადაწყვეტილების მი-

ლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ /კანონიერების პრინციპი/. ხოლო რა ტიპის მოწესრიგებას აირჩევს კანონმდებელი ანუ რომელ თანამდებობის პირს – საკრებულოს თავმჯდომარეს თუ გამგებელს მიანიჭოს შრომით სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, ნარმომადგენლობითი ხელისუფლების დისკრეციას წარმოადგენს. აյ არსებითია ის საკითხი, რომ საჯარო მოხელის მიმართ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენცია კონცენტრირებული უნდა იყოს ერთი თანამდებობის პირის უფლებამოსილებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტისას თვითმმართველობის მოხელთა მიმართ დისკიპლინური სახდელის შეფარდების სახით – სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის დადგენა უნდა გადაწყდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სტანდარტის მიხედვით და არა ორგანული კანონის ურთიერთშეუსაბამო და სამოხელეო სამართლის ფუნდამენტალური პრინციპის უგულებელყოფა ნორმების სამართლებრივი და უფლებრივი თვალსაზრისით არასწორი, არალოგიკური და არაკონცეპტუალური განმარტების შედეგად, რამდენადაც სამართლის ნორმის ინტერპრეტაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების თვითშემოქმედებას, სამართლის ნორმის ინტერპრეტირებისას სასამართლო შებოჭილია სტანდარტით: ნორმა უნდა განიმარტოს პროგრესულად, ლოგიკურად და დინამიურად.

სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, საჯარო სამსახურის არსისა და საჯარო მოხელის უფლებრივი დაცვის, თანამდებობის პირის კომპეტენციის მეაცრი ჩარჩოს გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორგანული კანონის წინააღმდეგობრივი ნორმები გაგებულ უნდა იქნეს ამგვარად:

ვინაიდან, გამგებელი არის გამგეობის თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ამავე თანამშრომელთა მიმართ დისკიპლინური პასუხისმგებლობის ზომების შემფარდებელი ანუ გადაწყვეტილების მიღებაზე კომპეტენციური პირიც მხოლოდ ის შეიძლება იყოს.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება ემყარება იმ ლოგიკას, რომ დისკიპლინური გადაცდომა და დისკიპლინური პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამოხელეო სამართლის

– საჯარო სამსახურის ინსტიტუტს, შესაბამისად, ეს სამართალი განსაზღვრავს მის გამოყენებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს, კერძოდ: 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 79.1 მუხლი ამგვარ კომპეტენციას ანიჭებს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე თანამდებობის პირს ან დაწესებულებას, ხოლო

2. ორგანული კანონი გამგეობის თანამშრომლის დანიშვნის უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირად ადგენს გამგებელს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – კანონიერების პრინციპი მოიცავს ორ ასპექტს:

1. გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ;

2. გადაწყვეტილების მიღება კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად.

ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი – სამოხელეო სამართალი ადგენს საჯარო მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის შემფარდებელ უფლებამოსილ თანამდებობის პირს, კერძოდ, ასეთი უფლებამოსილება გააჩნია იმ თანამდებობის პირს, რომელსაც მისი დანიშვნის უფლება აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა თანამდებობის პირი, რომელსაც საჯარო მოხელის დანიშვნის უფლება არ გააჩნია, განხილულ უნდა იქნეს, როგორც არაუფლებამოსილი თანამდებობის პირი, ხოლო დისციპლინური გადაცდომის საკითხზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მიხედვით – არარა აქტი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონთან მიმართებით ორგანული კანონის, როგორც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით იერარქიულად მაღლა მდგომი საკანონმდებლო აქტის გამოყენების თაობაზე, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, კერძოდ, საჯარო სამსახურებრივ საკითხებზე საჯარო მოხელის მიმართ ორგანული კანონით განისაზღვრება რამდენიმე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რაც წარმოადგენს არა უბრალო წინააღმდეგობას ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებს შორის, არამედ ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილის ფუნდამენტური პრინციპის – უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების (ხოლო, უფლებამოსილი შეიძლება იყოს

მხოლოდ ერთი თანამდებობის პირი საჯარო შრომით-სამართლებრივ საკითხებზე) იგნორირებას.

3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს არასწორი მსჯელობა სადავო აქტების არარა თუ ბათილად ცნობის საფუძვლებთან დაკავშირებით, რაც სააპელაციო სასამართლომ თავის დასკვნაში ასახა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლის საფუძვლებზე სადავო აქტის ბათილად ცნობის დადგენით, იურიდიულ თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შინაარსის ერთობლივი წაკითხვიდან, კერძოდ: 2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დაკონკრეტდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი ხასიათი და მისი გაუქმების სამართლებრივი შედეგები. შედეგად, მივიღეთ მე-60 მუხლი – აქტის არარა და აღიარების, მე-60¹ მუხლი – გამოცემისთანავე უკანონო აქტის ბათილად ცნობის და 61-ე მუხლი – გამოცემისას კანონიერი, თუმცა შემდგომში ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოების გამო უკანონო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60¹ და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა არარა, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საკითხი, კერძოდ, არარა აქტს მიღებისთანავე არა აქტს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (მე-60¹) და უკანონო (61-ე) ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია 4 შემთხვევა, რომლებიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა და აღიარების საფუძველს, კერძოდ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო და დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისამართლებრივ ან ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უკავშირდება აქტის არარად აღიარების სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძველი – აქტის გამოცემა არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედ რედაქციაში ფორმულირებული იყო აქტის ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძვლად, შესაბამისად, 5.3 მუხლის დანაწესი ადეკვატური იყო 2005 წლის 24 ივნისამდე მოქმედ მე-60 მუხლის ტექსტთან. მას შემდეგ, რაც ეს საფუძველი განეკუთვნა აქტის არარად აღიარების შემთხვევას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლი შესაბამისობაში უნდა მოსულოყო მოქმედ მე-60.1 მუხლთან, რაც არ განხორციელდა. ეს ფაქტი საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას და არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული 5.3 მუხლის ტექსტისთვის რაიმე სხვა გამოყენების თვალსაზრისის შემუშავება, რადგან ასეთ პირობებში, მთლიანად ინგრევა ის ლოგიკური სქემა, რომელიც კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართლის თეორიის და მისი ინსტიტუტების კვალიფიციური გააზრებით ჩამოაყალიბა 2005 წელს. ამდენად, 5.3 მუხლისათვის რაიმე განსხვავებული, ახალი შინანარსის მინიჭება სრულიად ნინაალმდეგობრივი და არასწორია. ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინა აქტის არარად აღიარების საფუძველს – არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა, არ ჰყოფს ტერიტორიულად და საგნობრივად არაუფლებამოსილების კუთხით, ნებისმიერი გადაცდომა კომპეტენციის ფარგლებიდან ინვევს აქტისათვის იურიდიული ძალმოსილების გამოცლას და მისი აღსრულება დაუშვებელია.

არარა აქტან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებაში /ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელისა გამო ქ. ბათუმის მერიასა და მ. დ-ძის მიმართ/ ჩამოყალიბებულ განმარტებას: „საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია თავად არარა აქტის ბუნებით. ვინაიდან ამგვარი აქტი აღსრულების ძალმოსილების ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, მისი მოქმედების შეწყვეტა ვერ მოხდება. კერძოდ, სა-

მართლებრივი აქტის იურიდიული ძალა სწორედ მისი მოქმედების ანუ აღსრულების ფუნქციაშია. აქტის გაუქმება ნიშნავს მისი მოქმედების შეწყვეტას, ასე, მაგალითად: აქტის ბათილად ცნობა ნიშნავს, აქტის მოქმედების შეწყვეტას ამა თუ იმ მომენტიდან: ა)გამოცემის მომენტიდან; ბ) გამოცხადების მომენტიდან; გ) მომზალში კონკრეტული თარიღის დათქმით, ან ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს, რომ აქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან. ვინაიდან, გამოცემისას უკანონო და გამოცემისას კანონიერი აქტები იურიდიული ძალის მქონე აქტებია და მათი მოქმედება დამოკიდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ან ადმინისტრაციული სარჩელის აღდვრაზე ან გამომცემი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მაშინ, როცა არარა აქტი ვერ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და მისით განსაზღვრული მოწესრიგება არ შეიძლება ძალაში შევიდეს, როგორც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო მოვლენა, ამდენად, აქტის არარა აღიარება მიზნად ისახავს მისი იურიდიული ძალმოსილების არმქონე დოკუმენტად სასამართლო წესით დადასტურებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი აქტის აღსასრულებლად გადაცემა, ხოლო აღსრულების შემთხვევაში – მისი შედეგების გაქარნებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოებს – მიიღონ კანონ-საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მათ შორის, კომპეტენციის აღრევით, სხვა მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში შემცვალ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება საფრთხეს წარმოადგენს საჯარო წესრიგისათვის და სამართლებრივი სახელმწიფოს სტაბილური მმართველობის განხორციელებისათვის. ვინაიდან არც ერთი საზოგადოება დაზღვეული არ არის ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღების პიპოთეზისაგან, კანონმდებელმა მმართველობით ორგანოებში, ქაოსის თავიდან ასაცილებლად, ასეთი აქტებისათვის ნულოვანი სამართლებრივი შედეგი განსაზღვრა. ამავდროულად ეს იცავს მოქალაქეებს, რადგან მათ გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სწორედ კანონიერების პრინციპის საფუძველზე მმართველობის განხორციელებისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედი რედაქცია იურიდიული ძალის არმქონე აქტებად აცხადებს მე-60 მუხლის ჩამონათვალში მოცემულ აქტებს, ხოლო მე-60¹

მუხლი ეხება იმ აქტების გაუქმების საკითხს, რომელსაც გააჩნიათ იურიდიული ძალა, მიუხედავად იმისა, რომ გამოცემისთანავე ეწინააღმდეგება კანონს, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში აღსრულებასაც კი ექვემდებარება“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შემდეგზე: „იმ პირობებში, როდესაც ცალკეული თანამდებობის პირთა კომპეტენცია მკვეთრად არ არის გამიჯონული, საკამათოა და კომპეტენციის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნორმათა ერთობლიობაში გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია აქტის არარაობის საფუძვლებზე მითითება“, ვინაიდან ნორმატიული წინააღმდეგობები, არაკვალიფიციური დანაწესები, სამართლის ნორმის საკამათო შინაარსი ვერ შეცვლის არარა და კანონსაწინააღმდეგო აქტების სამართლებრივი შედეგების არსს. თანამდებობის პირის კომპეტენციის არაკვალიფიციური დადგენა დაძლევადია სასამართლოს მიერ ლოგიკური ინტერპრეტაციის მეშვეობით, სამართლებრივი აქტი ან არის არარა ან კანონსაწინააღმდეგო შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს დასკვნის მიხედვით ბუნდოვანი დარჩა სადავო აქტები უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ არის თუ არა გამოცემული, რითაც ხარვეზიანი საკანონმდებლო ნორმა კვლავ დარჩა სათანადო განმარტების გარეშე, ხოლო სამართლურთიერთობა სამართლებრივი სახელმიწიფოსათვის შეუსაბამო და არაკვალიფიციური მოწესრიგების ამარა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლი 2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას ასევე უნდა შეცვლილიყო იმ შინაარსით, რომ უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ აქტს არ აქვს იურიდიული ძალა და არარად უნდა იქნეს აღიარებული და სწორედ ამ გაგებით უნდა იყოს ინტერპრეტირებული მე-60 და მე-60¹ მუხლების შინაარსიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „უფლებამოსილების გადამეტება“ ადმინისტრაციულ სამართალში არ არის გამიჯონული არაუფლებამოსილ თანამდებობის პირთან/ადმინისტრაციულ ორგანოსთან. იმგვარი პრაქტიკული შემთხვევები, როცა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოსცეს გადაწყვეტილება კონკრეტულ საკითხზე, მაგრამ გადაამეტა უფლებამოსილების ფარგლებს, ასევე ნიშნავს, რომ აქტი გამოიცა არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-

ული ორგანოს და მისი თანამდებობის პირების უფლებამოსი-ლება წარმოადგენს მათი გარკვეული ფუნქციის სფეროს, სტა-ტუსის და ფარგლების კანონისმიერ ჩარჩოს, რომელშიც მას შეს-წევს საკითხების გადაწყვეტა-გადაწყვეტილებათა მიღება, მოქმედებათა განხორციელება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას პირველ რიგში უნდა გაირკვეს ადმინისტრაციუ-ლი ორგანოს იურისდიქციის საკითხი /უწყებრივი ქვემდებარე-ობა/. უწყებრივი ქვემდებარეობის გარკვევა დაკავშირებულია ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების შტოებისა და მეორე მხრივ, ხელისუფლების დონეებს /სახელმწიფო ხელისუფლე-ბა, ა/რ ხელისუფლება, რეგიონალური ხელისუფლება, თვით-მმართველობა/ შორის გადანაწილებული ძალაუფლებისა და მოქმედების არეალის გამორკვევა-გაანალიზებასთან.

სწორედ ადმინისტრაციული ორგანოების უწყებრივი ქვემ-დებარეობის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმართ გამოიყენება უფლებამოსილების სტანდარტის კვლევა.

საკასაციო სასამართლომ თავის 2013 წლის 28 მაისის განჩი-ნებაში საქმეზე №122-115(2კ-13) შპს „...“ სარჩელისა გამო-პასუხის თბილისის მერიისა და თბილისის მერიის ზედამხედვე-ლობის საქალაქო სამსახურის მიმართ განმარტა, რომ: „ადმი-ნისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება სამი კრიტერიუმის გამოყენებით:

- ა) განსახორციელებელი ამოცანების მიხედვით – საგნობრი-ვი უფლებამოსილება;
- ბ) უფლებამოსილებათა იერარქიის მიხედვით – ინსტანციუ-რი უფლებამოსილება;
- გ) ტერიტორიული პრინციპით – ტერიტორიული უფლებამო-სილება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სწორედ ამ ერი-ტერიტორიუმების საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული ორ-განოს იურისდიქციაში /უწყებრივი ქვემდებარეობა/ შემავალ საკითხებზე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტი არ პასუხობს თუნდაც ერთ ზემო-მითითებულ კრიტერიუმს, აქტი ითვლება არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამო-ცემულად.

უფლებამოსილების გადამეტება უსათუოდ იქნება ზემოჩა-მოთვლილი კრიტერიუმთაგან ერთ-ერთის ფარგლებში, რადგან საგნობრივ, ინსტანციურ და ტერიტორიულ უფლებამოსილებას თავისი ზღვარი, ჩარჩო გააჩნია და იმ პირობებში, როცა მმარ-

თველობითი ხასიათის ღონისძიებების მოწესრიგება სცდება დადგენილ ფარგლებს, იგი გამოსულია სამართლებრივი ჩარჩოდან, რამდენადაც განეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილებათა სფეროს და ამგვარ აქტის არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიული ძალა მმართველობითი ორგანოების სამართლებრივ წესრიგს დაქვემდებარებულ ფუნქციონირების საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტების მიმართ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 61-ე მუხლებით დადგენილი სტანდარტი - აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მხოლოდ უწყებრივი ქვემდებარეობის და უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული აქტი /ანუ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება აქტის არარად აღიარების საფუძველი/, ექვემდებარება მის კანონთან შესაბამისობის საკითხის გამორკვევა-შეფასებას.

4. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას პროცესუალური თვალსაზრისითაც, რამდენადაც უგულებელყოფილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული სარჩელის და მათთან დაკავშირებით მისაღები სასამართლო გადაწყვეტილების სახეების სპეციფიკური სისტემა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებული კონფლიქტების არაერთგვაროვანი სამართლებრივი ხასიათი განაპირობებს ადმინისტრაციული სამართლარმოების მკვეთრ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა საპროცესო წესების და საპროცესო მოქმედებათა დადგენით გამოიხატება, მათ შორის, თვისობრივად განსხვავებულია კანონმდებლის მიღებომა ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით, მაგ. სამოქალაქო სამართალნარმოებისაგან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით მოწესრიგებულია უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების – სარჩელის დასაშვებობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. სარჩელის ობიექტის მიხედვით სარჩელის ეს სახეები ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი კლასიკური ფორმების – სამართლებრივი აქტის, რეალაქტის, აქტის გამოცემის დავალების, კანონიერების შემოწმების საპ-

როცესო მოთხოვნას ემსახურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლების პროცესუალური დაცვის სამართლებრივ საშუალებას, სარჩელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.1 მუხლის შესაბამისად, აღიძერება აქტის არარად აღიარების, ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით, თუ მოსარჩელეს აქვს ამის ვანონიერი ინტერესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, კერძოდ, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღიძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძვლზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენი; გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად კი, ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონის ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და არარად აღიარება ემყარება სრულიად სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებს, ამგვარი აქტი გამოცემისთანავე არარა, ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, არ შეუძლია, შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა. შესაბამისად, თუ არსებობს აქტის არარად მიჩნევის სამართლებრივი საფუძველი, რაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპზე, აღარ არსებობს მისი კანონსანინააღმდეგობის მტკიცების საჭიროება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახე – ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე აღიძერება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე

მუხლით – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას (ან ასეთის ვარაუდისას).

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ადმინისტრაციული სარჩელების განხილვის წინაპირობად დასაშვებობის სტადიას ითვალისწინებს, რა დროსაც სასამართლო ამონტებს სადაც აქტების მიმართებას მოსარჩელის სუბიექტურ უფლებასთან. კერძოდ, მოსარჩელის სათანადობის გარკვევა აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს, სარჩელი აღმრულია თუ არა იმ პირის მიერ, ვის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ზიანს აყენებს ან უკანონოდ უზღუდავს უფლებას აქტი (22-ე მუხლით), ხოლო აქტის არარად აღიარებისადმი პირს უნდა გააჩნდეს კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მისი აღძვრა შესაძლებელია სამ ობიექტთან მიმართებაში:

1. აქტის არარად აღიარების მოთხოვნით;
2. უფლების არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ მოთხოვნით;
3. სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ მოთხოვნით.

სამივე შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს მოთხოვნისადმი მისი კანონიერი ინტერესი.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელი განიხილა, როგორც აღმული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელი – აქტების არარად აღიარების მოთხოვნით, ხოლო გადაწყვეტილება გამოიტანა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული სახის გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახის – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ, ისე რომ არ გამოუყენებია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლით გათვალისწინებული ინსტიტუტი – სარჩელის ტრანსფორმაცია, მხარეთა მიერ უფლებების დასაცავად გამოყენებული აღიარებითი სარჩელის მიმართ გამოიყენა სხვა სახის ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილების სახე.

ადმინისტრაციული სარჩელების სახეების საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობის სწორ გამოყენებასთან დაკავშირი

რეპიოთ, საკასაციოო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებაში /საქმეზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელისა გამო, მოპასუხე ქუთაისის რეგიონული ცენტრის მიმართ/ ჩამოყალიბებულ განმარტებას:

„ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სა-სარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მთარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციოო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობა გაგებულ უნდა იქნეს ამგვარად, რომ კანონმდებელმა სიტყვა „ტრანსფორმაციას“ მიანიჭა სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც განმარტებულ უნდა იქნეს თავად მისი შინაარსიდან გამომდინარე. ტრანსფორმაცია გულისხმობს გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას, შესაბამისად, ტერმინის სამართლებრივი კონტექსტი ნიშნავს სა-სარჩელო მოთხოვნის გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიკის პრინციპის რეალიზაციას, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებაში გულისხმობს ად-მინისტრაციული სარჩელის სახის – რაც განისაზღვრება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გარდაქმნის, სახეც-ვლილების, შეცვლის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ სა-მართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ამონტებს განმწერიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძვლებს. სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსა-მართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიცი-ალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ. ვინაიდან სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძრას სხვა სახის სარჩელი და სწორედ პროცესის ეკო-ნომიკის პრინციპს ემსახურება სარჩელის სახის გარდაქმნის, სა-ხეცვლილების შესაძლებლობა; აგრეთვე, დაბალი სამართლებ-რივი კულტურის პირობებში შესაძლებელია მოსარჩელემ კვა-ლიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა“.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ტრანსფორმაციის შეუთავაზებლობის პირობებში /მით უმეტეს, როცა ასეთის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები საერთოდ არ არის სახეზე/ ერთი სახის სარჩელის სხვა სახის სარჩელად მიჩნევა ენინა-აღმდეგება საპროცესო სამართლის ძირულ პრინციპს – მხარეთა დისპოზიციურობის შესახებ, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, სწორედ მხარეა უფლებამოსილი თავად განსაზღვროს, თუ რა სახის სარჩელი გამოყენოს თავისი უფლების დასაცავად. ამასთან, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ აღიარებითი სარჩელი დააქმაყოფილა ნაწილობრივ და ბათილად ცნო სადაც აქტები, რითაც დაუშვა პრეცენდენტი, რომ აქტის არარად აღიარების მოთხოვნის ფარგლებში შესაძლებელია აქტის კანონსაწინააღმდეგოდ, ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ამ კონკრეტული თვალსაზრისით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინსტიტუტის არასწორი გაგება-გამოყენება შეიცავს გარკვეულ რისკს ეროვნულ სასამართლოებში მის პროცესუალურ პრაქტიკაში დამკვიდრების თაობაზე, რაც პრევენციის მიზნით საჭიროებს დამატებით განმარტებებს, რომელიც სახელმძღვანელო გახდება და ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული საპროცესო წესების გამოყენებისას ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის ობიექტის – სადაც აქტის არარად აღიარების საფუძვლების არარსებობისას სასამართლომ არ უნდა დააქმაყოფილოს სარჩელი, რამდენადაც სარჩელი შედგება ორი ელემენტის გან: საგანი და საფუძველი.

მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, როცა სასამართლო შებოჭილია მხარეთა მოთხოვნებით, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებს განსაზღვრავს, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელებს არ მოუთხოვიათ სააპელაციო სასამართლოსათვის სადაც აქტების ბათილად ცნობა მისი კანონთან მატერიალური ან ფორმალური ნიშნით შეუსაბამობის საფუძლით, არამედ მოთხოვნა ემყარება აქტის არარად აღიარების მისი არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემის საფუძ-

ვლით. ანუ სასამართლომ დავის საგანთან მიმართებით იმსჯელა იმ საფუძვლით, რომლითაც მოსარჩელენი არ ითხოვდნენ.

ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა სა-დავო აქტების განსხვავებულ საფუძველს შეიცავს და თუ ის ტრანსფორმირებული არ იქნა, სხვა დამოუკიდებელი სარჩელის ობიექტს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, იმ პირობებში, როცა მხარებს – მოსარჩელებს არ გამოუხატავთ ნება სარჩელის ტრანსფორმაციაზე, ამგვარი არც სასამართლოს შეუთავაზებია (ასე-თი საპროცესო მოქმედება არ არის სხდომის ოქმში დაფიქსირებული), მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი არ არის საკასაციო სასამართლოში შემოტანილი წერილობით შეპასუხებაში მონინააღმდეგენი აკრიტიკებენ სასამართლოს მიერ სადავო აქტების ბათილად ცნობას, ნაცვლად მათ მიერ მოთხოვნილი არარად აღიარებისა, შესაძლებელია, საპე-ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულიერების ახალი გადაწყვეტილება სააპელაციო სამართლარმოების სტადიაზე განსახილველი სარჩელის მიხედვით და ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში მოცემული არგუმენტაციის საფუძველზე სარჩელი ექვემდებარება და კამაყოფილებას, სადავო აქტები არარად აღიარებას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე და ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 60.1 „ბ“ ქვეპუნქტის საფუძვლის დადასტურების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაწილობრივ გაზიარებულ უნდა იქნეს საკასაციო საჩივრის მოტივი გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის და იურიდიული დაუსაბუთებლობის თაობაზე, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი. პ-ისა და ი. კ-ის სარჩელი და კამაყოფილდეს. არარად იქნეს აღიარებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 28 თებერვლის №1-123 ბრძანება და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №1-121 ბრძანება; ი. პ-ი და ი. კ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაკავებულ თანამდებობებზე; გორის მუნიციპალიტეტს დაევალოს აუნაზღაუროს ი. პ-სა და ი. კ-ს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 25-ე; ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის მე-60.1 და სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ტ ა:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩი-ვარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გა-დაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქ-ნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. პ-ისა და ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. არარად იქნეს აღიარებული გორის მუნიციპალიტეტის საკ-რებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 28 თებერვლის №1-123 ბრძანება და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №1-121 ბრძანება;
5. ი. კ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარანის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თა-ნამდებობაზე;
6. ი. პ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თა-ნამდებობაზე;
7. ი. პ-სა და ი. კ-ს აუნაზღაურდეთ იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო 3 თვის თანამდებობრივი სარ-გოს ოდენობით;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპირელი

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები	
პირადი განცხადების საფუძველზე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმება	3
სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები	52
სამხედრო პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	138
სამსახურიდან გათავისუფლება მტატების შემცირების გამო	154
2. სამუშაოზე აღდგენა	
სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	167